ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№032(12711) 10 თებერვალი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# ასათიანი დინამოში დაბრუნდა

ინტერვიუ

» 2

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# თარსი



## ესლა გვაკლდა: შაშიაშვილიც დაგვაკლდა

რამდენიმე დღეა, რაც **კახა კალაძემ** ტრავმის შემდეგ ვარჯიში დაიწყო, **ლაშა სალუქვაძე** ისეა დაშავებული, დუბლინში ვერ გაჰყვა ნაკრებს, **ზურაბ ხიზანიშვილს** სათამაშო პრაქტიკა აკლია, **დავით კვირკველია**, პირადი პრობლემების გამო, გუნდს ყველაზე გვიან შეუერთდა... თითქოს, დაცვას პრობლემები აკლდაო და აი, ერთი უსიამოვნო ამბავიც - დუბლინში ვერ ჩავიდა ავსტრიული „შტურმის" მცველი **გიორგი შაშიაშვილი**.

ავსტრიაში სეზონი არ დაწყებულა, თუმცა ტრავმა ისეთია, ფეხბურთელს სად არ წამოეწევა. შაშიაშვილს ავსტრიაში გუშინ შევეხმიანეთ: *„საზარდული დამეჭიმა, რაც მალევე ვერ მოვირჩინე, მოგეხსენებათ, მის მკურნალობას დრო სჭირდება. ექიმებმა თამაში და ვარჯიში ამიკრძალეს, ჯერ 10 დღე მხოლოდ უნდა იძუნძულოო. ვიფიქრე, ნაკრებში მაინც წავალ და გამაყუჩებლით ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ ექიმებმა მითხრეს, ასეთ დროს დიდია იმის შანსი, რომ საზარდული გაგიწყდესო. ამიტომაც ვერ წავედი* **დუბლინში**".

**შაშიაშვილი** არ არის პატარა დანაკლისი ჩვენი **ეროვნული გუნდისთვის**, გამოცდილი ფეხ**ბურთელია** და ოსტატობითაც არა ერთს ჯობია, **კლაუს ტოპმიოლერის** დროსაც ნაკრების ერთ-**ერთი** საკვანძო მოთამაშე იყო. შაშიაშვილის არ**ყოფნა** კუპერს უთუოდ მოუმატებს საფიქრალს.

**დაცვის** გარდა, ტრავმების გამო ორი მთავა**რი** შემტევიც გამოგვაკლდა - **ლევან ყენია** და **ლევან მჭედლიძე**. ღმერთმანი, დათარსულია ჩვენი ნაკრები...

**დავით თავართქილაძე**

# სკოლარი ჩელსიდან დაითხოვეს



ორი გადაჯენება პრემიერლიგაში

» 6

# კალაძემაც ივარჯიშა...

დუბლინში მყოფ საქართველოს ნაკრებს გუშინ მზადების მეორე დღე ჰქონდა. ირლანდიის დედაქალაქი ქართველებს ცივი და ღრუბლიანი ამინდით შეხვდა. ჯერჯერობით არ წვიმს, ჰაერის ტემპერატურა, საუკეთესო შემთხვევაში, პლუს 8 გრადუსია, ნალექიც ყოველ წუთსაა მოსალოდნელი...

**ექტორ კუპერმა** კვირა საღამოს მხოლოდ ერთი მსუბუქი ვარჯიში ჩაატარა, ორშაბათიდან კი ორჯერად წვრთნაზე გადავიდა. გუშინ დუბლინში ჩასულმა ყველა ფეხბურთელმა ივარჯიშა, მათ შორის, ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემაც**. თუმცა 11 თებერვლის შეხვედრაში „მილანის" მცველის მონაწილეობის საკითხი ჯერაც კითხვის ნიშნის ქვეშაა. წვრთნაში მონაწილეობდა თბილისის "დინამოს" მცველი **გურამ კაშიაც**, რომელიც ასევე ტრავმირებული იყო. ვარჯიშის დროს კაშია წელის ტკივილმა შეაწუხა, თუმცა საგანგაშო არაფერია.

დღეს, ადგილობრივი დროით 17:30 საათზე, ჩვენი ნაკრები „კორკ პარკზე" მატჩისწინა ბოლო ვარჯიშს ჩაატარებს. მანამდე ექტორ კუპერის პრესკონფერენციაა დაგეგმილი. დღესვე, მედიას ირლანდიის ნაკრების დამრიგებელი **ჯოვანი ტრაპატონიც** შეხვდება.

**დავით ცაბაძე**





Independent.ie

# ახლა კუპერის რევანშის დროა

ჯოვანი ტრაპატონი: საქართველოს ნაკრებს კუპერის ხელი დაეტყო

» 2

# მომატყუეს!



ჰუნტელაარი რეალიდან გარბის

» 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდია-საქართველო

ირლანდიური პრესაში

# ახლა კუპერის რევანშის დროა

საქართველოსა და ირლანდიის ნაკრებთა დუბლინური შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს. ირლანდიური მედია ინტენსიურად აშუქებს წინასამატჩო ვითარებას. ადგილობრივი პრესა უმთავრეს ყურადღებას თავის გუნდს უთმობს, ბევრს საუბრობენ **რობი კინის** ტრანსფერზე, **სტივ ფინენისა** და **პოლ მაკშეინის** ტრავმებზე, 20 წლის **ედი ნოლანის** გამოძახებაზე და ასე შემდეგ. თუმცა არც ჩვენი ნაკრები და მისი სახელიანი მწვრთნელი **ექტორ კუპერი** რჩებათ ყურადღების მიღმა.

„აირიშ თაიმსმა" გამოაქვეყნა ჟურნალისტ **კარლ ო'მელის** სტატია, სათაურით - „უფრთხილდით გუნდს, რომელიც პატრიოტული შემართებით თამაშობს". ო'მელი წერილში ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ნაკრებმა ჯერ **კლაუს ტოპმიოლერის** ხელში, შემდეგ კი ექტორ კუპერის თავკაცობით პროგრესი განიცადა და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. „აირიშ თაიმსი" მიიჩნევს, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ნიჭიერი თაობა ეზრდება - **ყენიას, მჭედლიძის, მაკარიძისა** და სხვების სახით...

კიდევ უფრო საინტერესო სტატია „ინდეპენდენტმა" გამოაქვეყნა. გამოცემის კორესპონდენტი **სარა მარკუსი** თბილისშიც კი იმყოფებოდა და ნაკრების მწვრთნელის პრესკონფერენციასაც დაესწრო. აი, მისი სტატიის - „კუპერთან ერთად" - შემოკლებული ვარიანტი:

*„ნახევარი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ტანკები შეიჭრნენ. ამან მთელ მსოფლიოს შოკი მოჰგვარა. ხუთი თვეა გასული, რაც ექტორ კუპერმა ოფიციალურ მატჩში პირველად უხელმძღვანელა ომისგან დაზაფრული ქვეყნის ნაკრებს ირლანდიის წინააღმდეგ, გერმანულ მაინცში, ნეიტრალურ მოედანზე... როცა ოთხშაბათს, ქართველები „კროკ პარკზე" სათამაშოდ გავლენ, ისინი ძალიან ბევრ სტუმარ გუნდზე მეტად შემართულები იქნებიან. მას შემდეგ, რაც მათ აგვისტო-სექტემბერში გამოიარეს, ეს სრულიად ბუნებრივი იქნება. ბევრ მათგანს ხომ მხოლოდ იმიტომ არ მოუწია ომის საშინელებასთან შეხება, რომ ნაკრების ფეხბურთელია...*

*ქართველები ახლაც ნანობენ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო მატჩი თბილისში, საკუთარი მაყურებლის თვალწინ ვერ ითამაშეს. მაშინ კუპერი ამტკიცებდა, რომ დედაქალაქში თამაში შესაძლებელი იყო. ამ დღეებში მისი საუბრიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ქართველთა თავკაცი ახლაც ნანობს, ის მატჩი საქართველოში რომ არ ჩატარდა. „ყველაზე ცუდი ისაა, რომ მაინცის მატჩი 1:2 წავაგეთ. ნეიტრალურ მოედანზე თამაშმა უპირატესობა ირლანდიის ნაკრებს მისცა. არ ვამტკიცებ, რომ ჩვენ აუცილებლად მოვიგებდით, თუკი თბილისში ვითამაშებდით, მაგრამ იმ შეხვედრაში მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდებოდა", - ამბობს კუპერი.*

*კუპერს მოსწონს მეტოქე გუნდი: „ირლანდიის ნაკრების დაცვა მჭიდროდ თამაშობს, ამიტომ, ჩვენი შეტევები რაც შეიძლება სწრაფი უნდა იყოს. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ თავდაცვა. ჩვენ ეს ხაზი უნდა გავაძლიეროთ".*

*ჩვენი მეტოქის ბანაკს პრობლემები მოსძალებია - ტრავმები და კლუბები, რომელთაც ნაკრებში ქართველი ფეხბურთელების გაშვება არ სურთ. ასე რომ, არგენტინელის მუშაობას მუდამ თან ახლავს პრობლემები.*

*კუპერის და ჯოვანი ტრაპატონის დუელი პირველად 2000 წელს შედგა, როცა არგენტინელი „ვალენსიას" წვრთნიდა, ხოლო იტალიელი - „ფიორენტინას". მაშინ, ტრაპატონის გუნდს მეტად საეჭვო სიტუაციაში არ ჩაუთვალეს გოლი. ამას წინათ, აპენინელმა თქვა - წლების შემდეგ კუპერმა დამიდასტურა, რომ კარგად დაინახა ის ეპიზოდი და თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებით მსაჯმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღოო. ამის გამო ტრაპი ძალზე ბრაზობდა. მაინცის მატჩი, გარკვეულწილად, მისთვის რევანშის საშუალებაც იყო. ახლა სიტუაცია შეიცვალა - უკმაყოფილო უკვე კუპერია, რომელიც მიიჩნევს, რომ ნეიტრალურ მოედანზე ტყუილად ათამაშეს, ახლა კუპერის რევანშის დროა.*

*ქართველები ძალიან მონდომებულნი ჩანან, მათ სურთ დაკარგულის დაბრუნება, რაც იმას მოასწავებს, რომ საფეხბურთო დუბლინს „ცხელი" საღამო ელის".*




საქართველოს ნაკრებმა გუშინ ორჯერადი წვრთნა გაიმართა. მეორე ვარჯიში თბილისის დროით 23 საათზე დასრულდა და ამის მერელა მოვახერხეთ ალექსანდრე იაშვილთან დაკავშირება. ექტორ კუპერი მას გარემარბად რომ ათამაშებს, აღარავის უკვირს და, ალბათ, ხვალაც ფლანგზე უპირებს გამწესებას. სხვა საქმეა, როგორ ფორმაშია „კარლსრუეს" შემტევი, რომელსაც ბუნდესლიგის ბოლო ორ ტურში არ უთამაშია. როგორც უნდა იყოს, ნაკრებისთვის ის ერთობ ფასეული მოთამაშეა. იაშვილთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...

# ალექსანდრე იაშვილი ირლანდია უნდა მივახრჩოთ!

- გაციებული ვიყავი, საშინელი ვირუსი მქონდა, რის გამოც ერთი კვირა არ მივარჯიშია. ახლა თავს კარგად ვგრძნობ. დუბლინში წამოსვლამდე „კარლსრუეში" ორი ვარჯიში მოვასწარი.

**- ექტორ კუპერი ვარჯიშებზე მეტწილად რაზე აკეთებს აქცენტს?**

- ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაზე. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რათა ირლანდიასთან მატჩისთვის კარგ ტონუსში ვიყოთ. რაც შეეხება ტაქტიკურ ვარჯიშებს, მუშავდება როგორც დაცვითი ოპერაციები, ასევე შეტევითი.

**- მაინც რომელი ტაქტიკური სქემა მუშავდება ვარჯიშებზე?**

- სავარაუდოდ, ისევ 4-3-3 განლაგებით ვითამაშებთ. არ მგონია, კუპერმა სხვა სქემა აირჩიოს.

**- თქვენს ვარჯიშებს დუბლინში მცხოვრები ქართველები არ დასწრებიან?**

- დღეს მეორე ვარჯიშზე ხუთი ქართველი მოვიდა. როგორც ვიცი, ირლანდიაში ჩვენებურები ცოტანი არ არიან და იმედია, თამაშზე ბევრი ქართველი მოვა.

**- თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დუბლინში პირველად მოგიწევს თამაში...**

- ირლანდიასთან თბილისში მითამაშია, 6 წლის წინ დუბლინშიც უნდა გავსულიყავი მოედანზე, მაგრამ თამაშის წინა დღეს მაღალი სიცხე მქონდა და... მოკლედ, იმედია, ახლა მაინც ვითამაშებ.

**- საერთოდ, გუნდში რა ხდება, ვინც შეიკრიბეთ, ყველანი ჯანზე არიან?**

- ვინც დუბლინში ჩამოვიდა, დღეს ყველამ ივარჯიშა, ტრავმები არ არის... ყველაფერი ნორმალურადაა, კარგი მოედნებიც გამოგვიყვეს სავარჯიშოდ.

**- გასაგებია, თუმცა საქართველოს ნაკრებს არა ერთი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა 11 თებერვლის მატჩისთვის, ზოგსაც პრაქტიკა აკლია, ირლანდიის ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი კი ინგლისში თამაშობს, სადაც სეზონი გახურებულია. რისი იმედი უნდა გვქონდეს ამ შეხვედრაში?**

- ჩვენ მიზანდასახულად უნდა ვიმოქმედოთ.

**- ეს როგორ უნდა გავიგოთ?**

- ირლანდიელებს ხელი უნდა შევუშალოთ შეტევის დაწყებაში, უნდა „მივახრჩოთ", დაცვაში კი არ უნდა ჩავდგეთ, პირიქით, უნდა გავაკეთოთ - ჩვენი კარიდან რაც შეიძლება შორს უნდა გადავიტანოთ თამაში. ყველაფერ ამას კი მოხერხება უნდა...

დავით თავართქილაძე



ირლანდია საქართველოსთან ვერ უნდა გაფრინდეს

# ტრაპატონი: საქართველოს კუპერის ხელი დაეტყო

ირლანდიის ნაკრების თავკაცი **ჯოვანი ტრაპატონი** საქართველოს ნაკრებისგან მეტ წინააღმდეგობას ელის, ვიდრე ეს სექტემბერში იყო, როცა მის გუნდი მეტოქეს ნეიტრალურ მოედანზე შეხვდა. შეხსენება არ გჭირდებათ, ალბათ, რომ მაშინ ირლანდიელებმა 2:1 მოგვიგეს. ტრაპატონი მომეტებულ სიფრთხილეს **ექტორ კუპერის** ფაქტორით ხსნის:

*„ოთხშაბათს საქართველო უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე იქნება. ეს ის გუნდი აღარ არის, რომელსაც შარშან მაინცში მოვუგეთ. მაშინ, ექტორ კუპერი ნაკრებში ახალი მისული იყო. მას მერე მეტოქის გუნდი შესამჩნევად გაძლიერდა. მე ვნახე ქართველთა ამხანაგური მატჩი ნოემბერში, რუმინეთის ნაკრებთან. იმ თამაშში საქართველო კარგად ორგანიზებული გუნდი იყო", - აცხადებს ტრაპატონი.*

მოამზადა

ნიკოლოზ ნეფარიძემ

ტრანსფერი

# რატომღაც მჯეროდა, რომ ისევ სიომინთან ვიქნებოდი...

## ასათიანი დინამოში დაბრუნდა

**მალხაზ ასათიანის უგუნდოდ ყოფნას გუშინ წერტილი დაესვა, თუმცა ჯერ მხოლოდ დროებით. როგორც გუშინ გაცნობეთ, სერიოზული ტრავმა მიიღო კიევის „დინამოს" სენეგალელმა მცველმა პაპე დიახატმა (მინიმუმ სეზონის ბოლომდე დაისვენებს), რამაც კიეველთა თავკაც იური სიომინს ისევ ასათიანი გაახსენა. გუშინ მალხაზი მოსკოვიდან ესპანეთს გაემგზავრა, სადაც „დინამო" შეკრებას გადის, მანამდე კი „ლელოს" კითხვებს უპასუხა...**

- კიევიდან უკვე დამიკავშირდნენ. საბედნიეროდ, უგუნდოდ აღარ ვარ. სიმართლე გითხრათ, რატომღაც მჯეროდა, რომ ისევ იური სიომინთან ვიქნებოდი. ოთხ თვეზე ცოტა მეტი მაქვს დრო საიმისოდ, რათა ჩემი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დავამტკიცო. კიეველები ჯერ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობას დაუკავშირდნენ და საიჯარო პირობებზე შეუთანხმდნენ, ხოლო მერე მე დამირეკეს. სიომინს ვესაუბრე და სასწრაფოდ ესპანეთში ჩასვლა მთხოვა. ასე რომ, ვიწყებ...

**- უკრაინელებს იმედი აქვთ, რომ ადაპტაციის პრობლემა არც ამჯერად გექნებათ...**

- არანაირი პრობლემა! მალე ისევ კიევის „დინამოსთან" ერთად ვივარჯიშებ, ეს არის მთავარი... მაგრამ სამწუხაროდ, 18 თებერვალს „ვალენსიასთან" უეფას თასის მატჩში ვერ ვითამაშებ. კიეველებს უეფაში განაცხადი უკვე წარდგენილი აქვთ, მე კი ამ განაცხადში ვერ ვიქნებოდი... არ ვიცი, თუ არის შესაძლებელი ამ განაცხადში ცვლილების შეტანა, ან მოესწრება კი? თუ „დინამო" მერვედფინალში გავა, მერე უკვე იქნება ახალი მოთამაშეების დამატების საშუალება.




მალხაზ ასათიანი

**- კიევის „დინამოში" გადასვლა, ალბათ, ნაკრებში დაბრუნებაშიც დაგეხმარებათ...**

- რამდენიმე დღის წინაც გითხარით, რომ ეროვნულ გუნდზე უარი არასოდეს მითქვამს. თუ ჯანმრთელი ვიქნები და სანაკრებო მოთხოვნებსაც დავაკმაყოფილებ, იმედია, გამომიძახებენ და მეც ჩამოვალ. სხვა რა უნდა გითხრათ...

**- „დინამოსთან" საიჯარო კონტრაქტის ვადა 31 მაისამდეა ძალაში. როგორ ფიქრობთ, ეს პერიოდი საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ ზაფხულში კიეველებს ტრანსფერის სრულად გამოსყიდვა გადააწყვეტინოთ?**

- ამ პერიოდში მოდუნების უფლება არ მექნება. ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო და იმედი მაქვს, ამას შევძლებ კიდეც. საამისოდ, თავს არ დავზოგავ.

დავით ცაბაძე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფ. ინფ: 42 32 73, 899 55 48 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ჟურნალის მასალებისა და ფოტოების სხვა გაზეთში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელები შორს ქართველი მსაჯებისგან!



მალხაზ ბეუქლიშვილი

ესლა გვაკლდა: თითქოს, ქართულ ფეხბურთს სხვა პრობლემები არ ჰქონდეს და ახლა უკვე... არბიტრებსაც გვტაცებენ! ჰო, სამხრეთ ან ლათინური ამერიკის რომელიმე ქვეყანა რომ ვიყოთ, „ჩვეულებრივ ამბად“ (!) აღვიქვამდით უცნობ ბოროტმოქმედთაგან მსაჯის მოტაცებას და მერე მისი გათავისუფლების სანაცვლოდ გარკვეული გამოსასყიდის მოთხოვნას. ბოლოს და ბოლოს, იმავე სამხრეთ ამერიკაში ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა არბიტრებისთვის საფეხბურთო მატჩის მსვლელობის დროს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანიათ. ჩვენთან კი მსაჯებს, ყველაზე ბევრი, სიტყვიერი შეურაცხყოფის მოსმენა მოუხდეთ; აბა, კარგი ბიჭი ხარ და არბიტრებს ხელით (ან - ფეხით) შეეხე - სამუდამო დისკვალიფიკაცია არ აგცდება. მაგრამ ის, რაც შაბათს, გამთენიისას მოხდა, ძნელად ასახსნელზე მეტია: „მგლები“- “ზესტაფონის“ მატჩზე მიმავალ მსაჯთა ბრიგადას, თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალის ერთ-ერთ მონაკვეთზე შეიარაღებული პირები აჩერებენ, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ და მერე ერთ-ერთი მათგანი მძევლად აჰყავთ! ვერ გეტყვით, რატომ და რა მიზნით „ამოარჩიეს“ ოთხი მგზავრიდან ყვარლელი არბიტრი **მალხაზ ბეუქლიშვილი**; თუმცა ერთი კი ფაქტია - ქართველმა მსაჯმა დღე-ნახევარი... ტყვეობაში გაატარა! საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა ბეუქლიშვილს, ალბათ, გარკვეული დრო დასჭირდება ამ სტრესიდან გამოსასვლელად...

ჰო, აი ასეთი არასასიამოვნო ამბავი უძღოდა წინ მეორე ეტაპის საწყის ტურს. ისე, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ექნებოდათ ხუთივე მატჩის მომსახურე მსაჯთა ბრიგადას; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თითოეული არბიტრი, ალბათ, შინაგანად განიცდიდა კოლეგის გატაცების ამბავს...

ახლა კი უშუალოდ მეორე ეტაპის სასტარტო ტურზე, რომელიც გოლების მხრივ საკმაოდ მწირი გამოდგა: ხუთ შეხვედრაში ხუთი გოლი გავიდა. ასეთი რამ მეოცე ჩემპიონატში კი მხოლოდ ორჯერ იყო: მესამე და მეთექვსმეტე ტურებში. თუმცა, უკანასკნელ შემთხვევაში ხუთის ნაცვლად სამი მატჩი ჩატარდა. ასეთი დაბალი შედეგიანობა, რაღა თქმა უნდა, მოსამზადებელი ეტაპის გამოძახილია: გუნდების მთავარ მწვრთნელთა უმრავლესობამ სწორედ ამით ახსნა საკუთარი გუნდის მეტ-ნაკლებად არაშთამბეჭდავი ასპარეზობა. ისე, ზოგიერთ მწვრთნელს არც გაემტყუნება: ანთალიის კეთილმოწყობილი მოედნებიდან ჩვენს სტადიონებზე რომ გადმოინაცვლებ, ადაპტაციას გარკვეული დრო სჭირდება. სწორედ ეს ყო, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზიც, რომ ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს „ვიტ ჯორჯიას“ რაღაც განსაკუთრებული მატჩი არ ჩაუტარებია. სხვათა შორის, ობიექტურობის გრძნობა „ვეტერინართა“ თავკაცს **რამაზ მუმლაძეს**, როგორც ყოველთვის, არ დაუკარგავს და „მესხეთთან“ მატჩის შემდეგ საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილება არ გამოუხატავს. თუმცა, ამ ეტაპზე შედეგი თამაშის ხარისხზე უფრო ფასეული იყო; ამ მხრივ კი „ვიტ ჯორჯიამ“ მორიგი ნაბიჯი გადადგა საჩემპიონო რბოლაში - **ჯაბა ლიპარტიას** ერთადერთი გოლით რამაზ მუმლაძის გუნდი უკვე ცხრა ქულით უსწრებს თბილისის „დინამოს“ (არ დაგვავიწყდეს, რომ მოქმედ ჩემპიონს ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული). ისე, ურიგო შთაბეჭდილება არც „მესხეთს“ დაუტოვებია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რა მდგომარეობაში შეხვდა **კობა თედიაშვილის** გუნდი მეორე ეტაპს. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში „მესხეთის“ შემადგენლობაში ერთდროულად ექვსი ახალწვეული ვიხილეთ და დროთა განმავლობაშიც, ალბათ, შეთამაშების პრობლემა მოიხსნება.

ასევე მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა „ზესტაფონმა“ - **გია გეგუჩაძემ** თავის ახალ გუნდში პირველი მოგება ზუგდიდში შეძლო. ეს კი, დაგვეთანხმებით, მართლაც არ არის იოლი საქმე. მით უმეტეს, რომ „მგლები“ მეორე ეტაპისთვის საკმაოდ გაძლიერდა და გუნდს, შემადგენლობიდან გამომდინარე, შესაბამისი ამბიციაც გაუჩნდა. სხვათა შორის, ამ შეხვედრას გარკვეულ ინტრიგას ის ფაქტიც მატებდა, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უწევდა თამაში: **როინ ონიანი** პირველ ეტაპზე „ზესტაფონში“ თამაშობდა, **ზურაბ მამალაძე** კი, პირიქით - „მგლებში“. ისიც არანაკლებ საინტერესო იყო, თუ რამდენ ახალწვეულს დაეყრდნობოდა გია გეგუჩაძე - მეორე ეტაპის წინ ხომ „ზესტაფონში“ არაერთი ცნობილი ფეხბურთელი ჩაირიცხა. ბევრისთვის გასაკვირად, იმერული კლუბის ძირითადში მხოლოდ ერთი ახალი ფეხბურთელი (ზურაბ მამალაძე) გამოჩნდა, ხოლო **ლევან მელქაძე** და **შოთა გრიგალაშვილი** შეცვლებზე შემოვიდნენ. სხვათა შორის, მამალაძე სულაც გუნდის კაპიტნად მოგვევლინა, ხოლო შეხვედრის ერთადერთი გოლი „ზესტაფონის“ საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკა გელაშვილმა** გაიტანა.

შაბათის მესამე მატჩი უგოლოდ დასრულდა, თუმცა ორივე გუნდს - „გაგრასა“ და „ლოკომოტივს“ გოლის გასატანად ცდა არ დაუკლიათ. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, სასიამოვნოც იყო, რომ ორივე გუნდის მეკარეებმა - **რევაზ თევდორაძემ** და **გიორგი ლომაიამ** საიმედოდ ითამაშეს. ხვა ამ მატჩზე ის გვინდა ვთქვათ, რომ ორივე გუნდში არაერთი დებიუტანტი ვიხილეთ და ორ მათგანზე ცალკე გვინდა ვისაუბროთ. „გაგრას“ ცენტრალური მცველი, 29 წლის უკრაინელი **ვლადიმერ კოზლენკო** მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა: შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და ახალგაზრდა თანაგუნდელებსაც ომახიანი შეძახილებით ამხნევებდა. კოზლენკოს დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, სამაგიეროდ, „ლოკომოტივის“ 17 წლის ცენტრფორვარდმა **შალვა კვანტალიანმა** თავის სადებიუტო შეხვედრაში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. ეგ კი არა, ორ ეპიზოდში სულ მცირედი დააკლდა, დებიუტი გოლით აღენიშნა - პირველ ტაიმში ბურთი მასპინძელთა კარს ოდნავ აასცილა, მატჩის მიწურულს კი მისი „თავურის“ მერე ბურთი ხარიხას მოხვდა! საერთოდაც, „ლოკომოტივმა“ სასიამოვნოდ გაგვაოცა - პირველ ეტაპთან შედარებით ერთიანად გადახალისებულ-გაახალგაზრდავებულმა გუნდმა მეტოქეს თამაშის ბევრ კომპონენტში აჯობა. განსაკუთრებით **ირაკლი ჩირიკაშვილისა** და **კახა მახარაძის** თამაში გვინდა გამოვყოთ - ამ ორ ტექნიკურ ნახევარმცველს გუნდის ლიდერის ტვირთის ზიდვა არ უნდა გაუჭირდეს.

ახლა კი კვირის მატჩებზეც გადავიდეთ და, უპირველეს ყოვლისა, ბოლნისური შეხვედრა ვახსენოთ. XVIII ტურის წინათქმაშიც ვწერდით და კვლავაც გავიმეორებთ, რომ „სიონი“ პირველ ეტაპთან შედარებით კიდევ უფრო გაძლიერდა. „სპარტაკთან“ მატჩში **ოთარ კორღალიძის** გუნდში ერთდროულად შვიდი ახალწვეული ვიხილეთ, თანაც, მათგან უმრავლესობა ერთმანეთზე გამოცდილი ფეხბურთელია.

სამწუხაროდ, „სიონს“ კვლავ ძალიან უჭირს გოლის გატანა - მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი 16 მატჩში 17 ბურთს რომ გაიტანს, ნამდვილად ვერაფერი შედეგია. ბოლნისელებმა ვერც ამჯერად შეძლეს საშინაო გამარჯვების მოპოვება და ამ წაფორხილებით პირველ სამეულთან მიახლოების საშუალებაც ხელიდან გაუშვეს. სამაგიეროდ, მეტისმეტად საჭირო ქულა მოიპოვა ცხინვალის „სპარტაკმა“ - **სერგო გაბელაიას** გუნდისთვის ხომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრას. სხვათა შორის, „სპარტაკშიც“ ბევრი ახალწვეული ვიხილეთ: პირველ ეტაპთან შედარებით რვა ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა; თანაც, **მურმან ქურასბედიანი**, **შოთა ჯიქია** და **გიორგი ჩივაძე** სულაც ბოლნისის „სიონიდან“ გადმოვიდნენ...

ლაბოლოს, ბორჯომული მატჩიც, სადაც კვლავაც გაგრძელდა „ოლიმპის“ ძლევამოსილი და წაუგებელი სერია, რომელიც უკვე 13 მატჩს ითვლის. **ვარლამ კილასონიას** გუნდმა ამჯერად „ბორჯომს“ სძლია და კვლავაც სერიოზული განაცხადი გააკეთა მედლებისთვის ბრძოლაზე. მერამდენედ გამოიჩინა თავი **თენგიზ ჩიკვილაძემ** - ამ სეზონში რუსთაველთა საუკეთესო ბომბარდირმა ჩემპიონატში უკვე მეხუთე გოლი გაიტანა. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ჩიკვილაძე ამპლუით... მცველია! მართალია, „ოლიმპმა“ მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა, მაგრამ მეორე ტაიმში, კონკრეტულად კი ჩიკვილაძის გოლის მერე, ოთხი-ხუთი ჩინებული მომენტი ჰქონდა: **გელა ხუბუას**, **გიორგი სეთურიძეს**, **გაგა ჩხეტიანსა** და **გიორგი მეგრელაძეს** თავისუფლად შეეძლოთ ანგარიში უფრო სოლიდური გაეხადათ. მასპინძლებზე კი აუგი როგორ უნდა ვთქვათ: უფულობის გამო გუნდი კინაღამ ჩემპიონატს გამოეთიშა და სულ ბოლო მომენტში შეძლო... შემადგენლობის შეკრება. იმედი დავიტოვოთ, რომ გამოცდილი **ოთარ გაბელია** ყველა ღონეს იხმარს გუნდის „ფეხზე დასაყენებლად“. ჯერჯერობით, უმთავრესი საკითხი უამრავი ახალწვეულის ერთმანეთთან შეთამაშებაა. სხვათა შორის, „ბორჯომის“ ის ერთადერთი გოლიც დებიუტანტმა, 18 წლის **ილია პავლიაშვილმა** გაიტანა. მოკლედ, დებიუტანტები და ახალწვეულები განვლილ ტურში ყურადღების ცენტრში იყვნენ. თუმცა ყველაფერი მაინც მალხაზ ბეუქლიშვილის გატაცება-გათავისუფლებამ გადაწონა...

**გია ტუხაშვილი**

## XVIII ტურის სიმბოლური ნაკრები




## ტრანსფერი

### ადამია ბაქოშია

როგორც იქნა, **გიორგი ადამიას** გაჯანჯლებული ტრანსფერის ისტორია დასრულდა - გუშინ ქართველი ფორვარდი „ბაქოს“ ფეხბურთელი გახდა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ზეინალ მამედოვმა** განაცხადა, „ნეფთჩისთან“ ყველა პრობლემა მოგვარებულია და სეზონის ბოლომდე ფეხბურთელი „ბაქოს“ საკუთრებაო. ადამიას კონტრაქტი 6 თვე + 6 თვეა (თუ ნახევარი წლის შემდეგ ორივე მხარე თანახმა იქნება). შეგახსენებთ, რომ ადამიას სანაცვლოდ „ნეფთჩი“ სოლიდურ თანხას ითხოვდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტურის მწვრთნელი

გია გეგუჩაძე

# პიკს მარტში მივაღწევთ

## ზესტაფონის სელექცია მესამე ბუნდესლიგას სწვდება

რომელი იყო მე-18 ტურის ყველაზე ძნელად მოსაგები თამაში? ასეთად, „ზესტაფონის“ ზუგდიდური გამარჯვება მივიჩნიეთ და ტურის მწვრთნელადაც ფეროელთა დამრიგებელი გია გეგუჩაძე დავასახელეთ.

მან გუნდი პირველი ეტაპის ბოლოს ჩაიბარა. გეგუჩაძის ხელში იმერულ კლუბს აქამდე ერთი მოგებაც არ ჰქონია ეროვნულ ჩემპიონატში. ნავსი ზუგდიდში გატყდა, საიდანაც ყველა გუნდს უჭირს ქულების წაღება. ბესიკ შეროზიას მიერ გაწვრთნილი „მგლები“ ნამდვილად არ არის ურიგო გუნდი და იქაურ გულშემატკივართა მხარდაჭერაც როდია მცირე ფაქტორი.

„ზესტაფონი“ უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის და საამისოდ, მხოლოდ ჩემპიონატი დარჩენია - თასის გათამაშებას მეოთხედფინალში გამოეთიშა და მხოლოდ ერთ ფრონტზე აგრძელებს ბრძოლას. როგორც გეგუჩაძე ამბობს, „ზესტაფონი“ პიკს მარტში მიაღწევს, მანამდე კი გუნდი, შესაძლოა, ორი ლეგიონერით გაძლიერდეს...


გია გეგუჩაძე

**- რაც „ზესტაფონი“ ჩაიბარეთ, ოფიციალურ შეხვედრაში აქამდე გამარჯვება არ გქონდათ მოპოვებული. „მგლების“ ძლევამ, 3 ქულის გარდა, უალრესად საჭირო თავდაჯერებულობაც შეგძინათ, ალბათ...**

- ბუნებრივია, ამ გამარჯვებამ „ზესტაფონს“ საკუთარი ძალების რწმენა შემატა, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. პირადად ჩემთვისაც მნიშვნელოვანი იყო ეს 3 ქულა, ზუგდიდში მოგება ადვილი არავისთვისაა და ჩვენი გუნდიც არ ყოფილა გამონაკლისი.

**- თუ არ ჩავთვლით მეკარე ზურაბ მამალაძეს, ზუგდიდში „ზესტაფონის“ შემადგენლობა, ფაქტობრივად, ისეთივე იყო, როგორიც პირველ ეტაპზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალწვეულები ჯერ არ არიან სასურველ ფორმაში?**

- ამ კონკრეტული მატჩისთვის ასეთი შემადგენლობა შევარჩიე. ხოლო ახალწვეულებს რაც შეეხებათ, მათი გარჯით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. „ზესტაფონში“ კონკურენცია გაიზარდა.

**- შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდში „ზესტაფონმა“ ზედმიწევნით შემტევი ფეხბურთი ითამაშა?**

- ყოველ შემთხვევაში, შევეცადეთ, შემტევი ფეხბურთი გვეთამაშა, ბევრი საგოლე მომენტიც შევქმენით, თუმცა, სამწუხაროდ, უმეტესობა ვერ გამოვიყენეთ. შეტევაში ურიგოდ არ გამოვიყურებოდით, ეგ იყო, რომ უხარისხო მოედანი გვიშლიდა ხელს და ამანაც მნიშვნელოვნად განაპირობა ბევრი რამ.

**- „ზესტაფონმა“ გია გეგუჩაძის ხელში სათამაშო კონცეფცია უნდა შეცვალოს - ალბათ, თქვენგან პირველ რიგში ამას ელიან და როგორ შეაფასებდით „მგლებთან“ მატჩს ამ კუთხით?**

- ეპიზოდებში გამოჩნდა, რომ ფეხბურთელები ასრულებენ იმას, რასაც მათგან მწვრთნელი ითხოვს. მაგრამ ამან სისტემური ხასიათი უნდა მიიღოს. ერთი სიტყვით, მოთამაშეები ცდილობენ მწვრთნელის იდეების განხორციელებას.

**- „მგლებს“ უკვე მოუგეთ, მომდევნო ტურში კი მასპინძლობთ „ბორჯომს“ - ეს თავისებური სამზადისია ლიდერებთან საპაექროდ. როგორ ფიქრობთ, „ზესტაფონი“ ჯერ არ არის ისეთ კონდიციაში, მოწინავე გუნდებთან წარმატებით რომ ითამაშოს?**

- წინსვლას თანდათან ველით, თუმცა ლიდერებთან შეხვედრამდე ქულათა მარაგი უნდა შევქმნათ. „ზესტაფონი“ ამ დროისთვისაც არ არის ურიგო ფორმაში, „მგლებს“ მართლაც ვაჯობეთ და ახლაც მზად ვართ, რომ „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოსა“ თუ „ოლიმპს“ წარმატებით ვეთამაშოთ.

**- მოსამზადებელი შეკრების შემდეგ ნებისმიერ გუნდს უჭირს ჯიქურ საუკეთესო ფორმაში შესვლა. ამას თავი რომ დავანებოთ, კიდევ რა ფაქტორების გამო არ არის „ზესტაფონი“ ოპტიმალურ კონდიციაში? როდის ელით თქვენი გუნდისგან ფორმის პიკზე ასვლას?**

- მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი 28 დეკემბერს დასრულდა, განახლებისთვის მზადება კი 3 დეკემბერს დავიწყეთ. დასვენება ცოტა გამოგვივიდა, რა თქმა უნდა, ჯობდა, რომ რამდენიმე დღე ფეხბურთელებს კიდევ დაესვენათ. მოსამზადებელი ეტაპი გვიან რომ დაგვეწყო, დროში ველარ ჩავეტეოდით. რაც შეეხება ფორმის პიკს, ამას მარტის შუა რიცხვებისთვის ველით.

**- „ზესტაფონს“ საამსეზონო სელექცია არ დაუსრულებია, გასინჯვაზე გყავთ სენეგალის 19-წლამდელთა თავდამსხმელი სისე. როდის გადაწყდება მისი საკითხი? სხვა მოთამაშეების გამოცდასაც ხომ არ აპირებთ?**

- 11 თებერვალს ორმხრივი თამაში გვაქვს და სისეს საკითხიც ამის მერე გაირკვევა. ახლახან ტესტირებაზე ავიყვანეთ კიდევ ერთი თავდამსხმელი, 23 წლის ომარ ელ ზაინი - წარმოშობით ლიბანელი, გერმანიის მოქალაქე... ჩვენთან მესამე ბუნდესლიგიდან მოვიდა. ორმხრივ მატჩში ისიც ითამაშებს.

**- აქცენტს ლეგიონერებზე აკეთებთ?**

- ამ ეტაპზე ქართველ ფეხბურთელებს ნაკლებად ვაკვირდებით, თუმცა გამორიცხული არაფერია, ამ ლეგიონერების აყვანაც ხომ ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

**- თქვენი წინამორბედი თემურ მახარაძე უკმაყოფილო იყო კალენდრითა და ჩემპიონატის ახლანდელი სისტემით. როგორია თქვენი შეხედულება ამ საკითხზე?**

- საერთოდ არ მიყვარს კალენდარსა და მსაჯობაზე ლაპარაკი. ფაქტზე კი ვიტყვი - 22 მარტიდან 10 აპრილამდე „ზესტაფონს“ თამაში არ აქვს, პაუზა გამოწვეულია სანაკრებო მატჩებითა და კიდევ იმით, რომ ერთ ტურს ვტოვებთ. ამხელა შესვენება რიტმიდან ამოვარდნას იწვევს. ამგვარი სისტემა გუნდებს არათანაბარ სიტუაციაში აყენებს - რატომ უნდა ვეთამაშებოდეთ ლიდერებს შინ ერთ მატჩს და სტუმრად - ორს? მაგრამ, როგორც უნდა იყოს, თუ „ზესტაფონი“ წარმატებებს ვერ მიაღწევს, ამას კალენდარს არ დავაბრალებ.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩი მოახლოვდა და ამაზეც უნდა გკითხოთ. რას ელით ირლანდიასთან შეხვედრაში ჩვენი გუნდისგან?**

- ნაკრებს წარმატებას ვუსურვებ. იოლი თამაში ნამდვილად არ იქნება, იქაური გულშემატკივრების ფაქტორიც გასათვალისწინებელია... დღეს კონკრეტული შედეგი თუ არ გვექნა, არა უშავს, ხვალ უკეთესი გუნდი გვეყოლება. თუმცა ახლაც ძალიან გვინდა, რომ მოვიგოთ...

**დავით თავართქილაძე**

დინამო

# ცოზელი ანთალიით კმაყოფილია

## დღეს დინამო ახლებს წარადგენს

თბილისის „დინამოს“ ანთალიური შეკრება დაასრულა, 7 თებერვალს სამშობლოში გამოემგზავრა და დღეს, დილის საწვრთნელ ბაზაზე, ახალ მოთამაშეებსაც წარადგენს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონმა შეკრებაზე 5 მატჩი გამართა: რუსულ „ამკართან“ (0:0), ლატვიურ „მეტალურგსთან“ (3:1), ყაზახურ „ეტისუსთან“ (1:0), გერმანიის დაბალი ლიგის „ბაბელსბერგთან“ (3:2) და ბოლოს, უკრაინულ „ტავრიასთან“ (3:0).

თბილისელთა ყოფილი კაპიტანი **დავით დილმელაშვილი** მიიჩნევს, რომ სიმფეროპოლელებთან ბოლო მატჩი შეკრებაზე გამართულ შეხვედრათაგან საუკეთესო იყო.

*„ყველაზე რთული იყო პირველი შეხვედრა „ამკართან“. ის რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მათი სახით ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. ამასთან, მეტოქე რუსეთის გუნდი იყო და უკომპრომისო ბრძოლა გვქონდა. ყველაზე კარგად კი, გუნდმა ბოლო თამაში ჩაატარა - „ტავრიასთან“, და ამაზე ანგარიშიც მეტყველებს. მთლიანობაში, ყველა კარგი თვისება გამოვავლინეთ, გოლის გატანა კიდევ არაერთხელ შეგვეძლო“*, - განაცხადა დილმელაშვილმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან საუბარში.

ის რეალურად მიიჩნევს ერთდროულად ტიტულის შენარჩუნებასა და თასის მოპოვებას: *„ჩემპიონობა არათუ რეალურია, პირველობა, უბრალოდ, აუცილებლად უნდა მოვიგოთ. „დინამოს“ მიზანი ყოველთვის იყო და არის ჩემპიონობა. თასის ნახევარფინალში გავედით და ვინც უნდა შეგვხვდეს, უნდა მოვიგოთ. საბოლოო ჯამში თასსაც უნდა დავეუფლოთ“* - ამბობს დილმელაშვილი.

„დინამოს“ მთავარი მწვრთნელი **რაინერ ცობელიც** კმაყოფილი დარჩა შეკრებით: *„ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. ბიჭები მონდომებით ვარჯიშობდნენ. თამაშებიც საინტერესო და სასარგებლო იყო. საკმაოდ ძლიერ გუნდებთან კარგი შედეგები ვაჩვენეთ. ვფიქრობ, განახლებულ სეზონს მომზადებულები ვხვდებით“*.

**მერაბ მამულაშვილი**

U17. ამხანაგური მატჩი

# ხორვატებთან ჯერ უგოლოდ

**ხორვატია-საქართველო 0:0**

საქართველო: მეშველიანი, კობახიძე, მირცხულავა, ხარაბაძე (65. კვეკვესკირი), აფაქიძე, ჩელებაძე (71. ჭანტურია), ელიზბარაშვილი, ძალამიძე, კუხიანიძე, ხოჭოლავა (45. სირბილაძე), ჩაფიძე.

გაფრთხილება: ხოჭოლავა (25)

სლოვენიიდან ხორვატიაში გადაბარგებულმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი გამართა და იქაურ თანატოლებს დაუზავდა. თამაში, რომელიც გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, უშაგში ჩატარდა. მწვავე მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ შეხვედრა ისე მიიწურა, რომ ბურთის გატანა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა. ჩვენებიდან პირველ ტაიმში **ლაშა ჩაფიძეს** შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ ხორვატთა მეკარემ „მკვდარი“ ბურთი აილო. შესვენების შემდეგ ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა **აკაკი სირბილაძემ**, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთს მცველი გადაელობა.

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ხორვატ ჭაბუკებს კვლავ უშაგში შეხვდება, ხვალ დილით კი სამშობლოში გამოემგზავრება.

**დავით ცაბაძე**




**ვალტერ გუჩუა** საქართველოს ეროვნულ ნაკრებში იოჰან ბოსკამპმა დააწინაურა. მისი კარიერა ისეთი ვერ გამოდგა, როგორიც თავად ფეხბურთელს ან მის გულშემატკივარს სურდა. ისევე, როგორც ნიჭიერ ქართველთა უმრავლესობის შემთხვევაში, ვალტერის ცხოვრებაც ზიგზაგებით წავიდა, ხანმოკლე აღმასვლას დაღმასვლა ცვლიდა, მერე მძიმე შრომით ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა და მწვერვალს რომ უახლოვდებოდა, სწორედ მაშინ უცდებოდა ფეხი. „მადლობა ღმერთს, ახლა ცხოვრებაც დავალაგე, კარიერაც და დავისვენე“, - ამბობს ვალტერი. როგორი საქმეა - სამწლიანი შესვენების შემდეგ გუჩუამ კარიერა განაახლა და უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი გუნდის, ზუგდიდის „მგლების“ კაპიტნად მოგვევლინა. ის ძველი გუჩუაა - მებრძოლი, შეუპოვარი და საჭირო დროს ხისტიც. ნაზ ფეხბურთს შეჩვეული ზოგიერთი ჩვენებურისთვის მისი ეს სიხისტე ძნელი ასატანია, მაგრამ მამაკაცების თამაშში, როგორც იტყვიან, ასეთებიც მოსულა - მთავარია, გულით თამაშობს.

ინტერვიუ

ვალტერ გუჩუა

# ეს შანსი უნდა გამოვიყენო

მოკლედ, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი მრავალ განსაცდელგამოვლილი ვალტერ გუჩუაა, რომელიც 33 წლისა დაუბრუნდა ფეხბურთს და ისეთი მონდომებით ვარჯიშობს, ბევრ ახალგაზრდას შეშურდება...

**- ჯერ სეზონისწინა მოსამზადებელი შეკრებით დავიწყოთ. თქვენი აზრით, მეორე ეტაპზე „მგლებს“ რა შანსი ექნება?**

- ნორმალურად მოვემზადეთ და ვფიქრობ, სერიოზული გუნდი ჩამოყალიბდა. ცხადია, ჯერ ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ძლიერები ვართ, მაგრამ პირველ წრესთან შედარებაც არ შეიძლება, ბევრად უკეთ გამოვიყურებით. „მგლებში“ საკმაოდ დიდი ცვლილებები მოხდა. ბევრი წავიდა, ბევრიც მოვიდა... გული დამწყდა, ზურაბ მამალაძემ რომ დაგვტოვა, კარგი მეკარეა. თუმცა მიხარია, რომ გიორგი სომხიშვილი დავიმატეთ. ის არანაკლები დონის მეკარეა. ახალწვეულებმა სერიოზულად გაგვაძლიერეს. ონიანი „ზესტაფონის“ კაპიტანი იყო და ამით ყველაფერია ნათქვამი. ქირია და ჭკადუა უზბეკეთიდან დავიმატეთ, ორივე ძალიან მომეწონა. კარგ ფორმაშია თემურ რაქვიაშვილი, ჭედია კი უალრესად სასარგებლო ფეხბურთელია - სულ მოძრაობს, მცველებს აწუხებს... ვფიქრობ, გამოგვადგება.

**- თქვენი აზრით, სამეულისთვის ბრძოლა შეგიძლიათ?**

- კლუბის საპატიო პრეზიდენტი ზაზა გოროზია გუნდს შეხვდა. მისი აზრით, „მგლების“ ამოცანა სწორედ სამეულში მოხვედრა და უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლა უნდა იყოს. ჩვენც ძალიან გვინდა ევროპაში თამაში, მაგრამ ძალიან ძნელი სათქმელია, წელს ეს მოხერხდება თუ არა. პირველ წრეში ბევრი ქულა დავკარგეთ. „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“, „ზესტაფონსა“ და „ოლიმპს“ გვარიანად ჩამოვრჩებით. თუმცა არავინ იცის, რა მოხდება მეორე ეტაპზე, ვის სად დაუცდება ფეხი. უნდა ვიბრძოლოთ. იქნებ, ლიდერებს დავეწიოთ და მართლა მოვხვდეთ სამეულში. მთავარია, რომ ზუგდიდში გუნდის არსებობის დიდი სურვილი აქვთ. სერიოზული ადამიანები დაგვიდგნენ გვერდში.

**- ლამის სამი წელი იყავით ფეხბურთიდან წასული. რას საქმიანობდით ამ პერიოდში?**

- რა გითხრათ... ძველი ამბების გახსენებაც არ მინდა... „ზესტაფონიდან“ წამოსულს ცხოვრება ამერია. ლამის სიცოცხლეზეც ავიყარე გული. იმის იმედიც დავკარგე, რომ ფეხბურთში მაინც მივაღწევდი რამეს. რა დასამალია და, თავგზა ამებნა. მარტო ფეხბურთელის კარიერას ვინ ჩივის... ვხედავდი, რომ ძალიან ცუდად ვიყავი. ეკლესიაში დავიწყე სიარული... მადლობა ღმერთს, რომ ცხოვრებამ ზუგდიდში მამა ილარიონს შემახვედრა. ამ ადამიანმა ცხოვრება შემაცვლევინა. ეკლესიური გავხდი, ყოველ კვირას ზიარებას ვიღებდი. ამ გზამ ფეხზე დამაყენა. დიდად მადლიერი ვარ მამა ილარიონის... მერე ისევ გამიჩნდა ფეხბურთში დაბრუნების სურვილი, არადა, ყველგან უარს მეუბნებოდნენ, ჩემი აყვანა არავის სურდა. ბოლოს „მგლების“ მწვრთნელი ბესიკ შეროზია მენდო და მეც, იმედია, ნდობა გავუმართლე. ნეტავ, კარიერის დასაწყისში ვყოფილიყავი ასეთი მონდომებული, გაცილებით მეტს მივაღწევდი.

**- გულახდილად საუბრობთ და პირდაპირ გკითხავთ - ძნელი იყო ადამიანური სისუსტეების დაძლევა?**

- რა თქმა უნდა, ძნელი იყო, მაგრამ არეული ცხოვრება მქონდა და მინდოდა, ეს ყველაფერი წარსულში დამეტოვებინა. ბედნიერი ვარ, რომ ნელ-ნელა ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, ფეხბურთსაც დავუბრუნდი და პირადი ბედნიერებაც დავიბრუნე. რაც დანგრეული მქონდა, ალვადგინე. ამ ყველაფრისთვის ღირდა საკუთარ თავზე მაღლა დადგომა. ცხოვრებაში მეორე შანსი მომეცა და ვალდებული ვარ, გამოვიყენო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ლიგა

# სამტრედია ქუთაისელს ითხოვს, მარტვილს ფულიანების არ ეშინია

პირველი ლიგის გუნდებისთვის სეზონი 1 მარტს განახლდება. ალბათ, წელს პირველად მოხდა, რომ დასავლეთის ზონა აღმოსავლეთისაზე ბევრად სუსტი და უინტერესოა. დასავლეთში ისეთი ბრძოლაა, უმაღლეს ლიგაშიც შეშურდებათ. თანაც, იქ იმდენი ცნობილი კლუბია, წლების წინ საქართველოს ჩემპიონობისთვის რომ იბრძოდნენ - „სამტრედია", ქუთაისის „ტორპედო", ლანჩხუთის „გურია", ფოთის „კოლხეთი", ბათუმის „დინამო"...

წელს ლიგაში ლიდერობს ზუგდიდის „ბაია", რომელიც პირობებით უმაღლესი ლიგის ბევრ კლუბს სჯობია. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ მთავარი მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი, როგორც ამტკიცებენ, ანაზღაურების სახით 8 ათას ევროს იღებს...

მთავარი ბრძოლები მაინც წინ არის. „ბაიას" კუდში მისდევენ „სამტრედია" და მარტვილის „მერანი", რომელთაც უმაღლესში გადასვლის იმედი აქვთ.

## სამტრედია არ ვაჭრობს

ახლახან, „სამტრედიაში" პრეზიდენტი შეიცვალა. თანამდებობაზე აირჩიეს ზაზა ადეიშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს ხელმძღვანელობდა. მას კლუბის მომავალზე ვესაუბრეთ:

**- ბატონო ზაზა, „სამტრედია" პირველი ლიგის ლიდერებში დიდი ბიუჯეტით არ გამოირჩევა, მაგრამ მეორე ადგილზე კია. თქვენი აზრით, უმაღლესში გადასვლა რეალურად შესაძლებელია?**

- ფაქტია, რომ მხოლოდ „ბაიას" ჩამოვრჩებით. გადასვლა ნამდვილად გვინდა და ბოლომდე ვიბრძოლებთ კიდეც საიმისოდ, რათა „სამტრედიამ" უმაღლეს ლიგაში თავისი ადგილი დაიბრუნოს.

**- ფინანსური სიტუაცია ხელს გაძლევთ?**

- სასურველია, უკეთესი იყოს. თუმცა სამტრედიის გამგეობამ წელს 175 ათასი ლარი გამოგვიყო. აქ თითოეული თეთრი გათვლილია - სად და რაში უნდა დაიხარჯოს. მართალია, ეს ბიუჯეტი სოლიდური გუნდის ჩამოსაყალიბებლად საკმარისი არ არის, მაგრამ გარკვეული ამოცანების დასახვა მაინც შეიძლება. რაც მთავარია, ნესიერი გუნდი გვყავს, გუნდი, რომელიც საეჭვო გარიგებებში არავისთან შედის. გვყავს მშვენიერი მწვრთნელი, ვალერიან ჩხარტიშვილი და შეკრული გუნდი. ჩვენი კოზირიც ეს არის, ახალგაზრდებს თავის გამოჩენა სურთ, ამიტომაც მონდომებით ვარჯიშობენ და თამაშობენ.

**- მოსამზადებელ ეტაპს სად გადიხართ?**

- ადგილზე, სამტრედიაში, სადაც ფიზიკურ მომზადებაზე ვაკეთებთ აქცენტს. ძირითადად, ვაზისუბნის სტადიონზე ვვარჯიშობთ. მართალია, „ბაიასა" და „მერანის" პირობები არ გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს თავს დავუხრით.

**- სამტრედიის სტადიონი რა მდგომარეობაშია?**

- ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. 2007 წელს სტადიონი შეარემონტეს, 3 ათასი ინდივიდუალური სკამი დამონტაჟდა, შეკეთდა გასახდელები, მოედანიც ნორმალურია, ჩვენს განკარგულებაშია ახალი საცურაო აუზიც... ვფიქრობ, პირველი ლიგის გუნდისთვის არ არის ურიგო პირობები.

**- „სამტრედიას" სოფელ დიდი ჯიხაიშში ერთ-ერთი გამორჩეული ბაზა ჰქონდა. რა ხდება იქ ახლა?**

- ამ ბაზის ნაცვლად, ვაზისუბნის სტადიონზე ვვარჯიშობთ. მართალია, დიდი ჯიხაიშში მოედანი ნორმალურია, მაგრამ შენობაა გასარემონტებელი. ჯერ არ გვაქვს საამისო ფული, არადა, საშური საქმე იქნებოდა. თავის დროზე, მსგავსი ბაზა საქართველოში ორ-სამ გუნდს თუ ჰქონდა და მისი მოწესრიგება აუცილებელია. სხვათა შორის, ჩვენს მატჩებს საკმაოდ ბევრი მაყურებელი ესწრება. „სამტრედიაში" თამაშობდა მიხეილ კაკალაძე, რომელმაც ფორმა აღიდგინა და „ზესტაფონში" გადავიდა. ჩვენს კლუბში უამრავი ნიჭიერი ბიჭია და მათ გასაქანი უნდა მივცეთ. ეს არის „სამტრედიას" მთავარი დანიშნულება.

## ადონის პაპანდოპულოსი: სოხუმელი ქართველი ვარ...



მარტვილის „მერანში" არის უცნაური თანამდებობისა (მოთამაშე-დირექტორი) და საინტერესო წარსულის მქონე ადამიანი, პასპორტით - **ადონის პაპანდოპულოსი**, რომელიც საბერძნეთის მოქალაქეა. სინამდვილეში კი ეს პიროვნება ქართველი - სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი **ელდარ ბაკურია** გახლავთ. დანარჩენზე კი თავად მოგვითხრობს:

- სოხუმელი გახლავართ, ელდარ ბაკურია, საბერძნეთში კი 17 წლის განმავლობაში ადონის პაპანდოპულოსის სახელით ვთამაშობდი.

**- გვარის შეცვლა რამ გაიძულათ?**

- ჩემი ნათლია სოხუმელი ბერძენი იყო. სოხუმის დაცემის დღეს საბერძნეთში წამიყვანა, მიშვილა და მერე საბერძნეთის მოქალაქეობაც მივიღე. ათამდე გუნდში მითამაშია - ათენის „აპოლონში", „პანსერაიკოსში", რომელიც უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, „ალექსანდროპოლში", „ვერიაში"... საბერძნეთში 16 წლისა წავედი და ეტყობა, საქართველოში ამიტომაც არ მიცნობდნენ.

**- ანდრო კიურჯიევმა საბერძნეთში გვარი გადაიკეთა. ანდრო ნინიადისი ვინც იყო, ყველამ ვიცით...**

- მესმის, მაგრამ მე ძალიან პატარა წავედი... თუმცა საბერძნეთში მოთამაშე ქართველებს, მათ შორის თემურ ქეცბაიას, ძალიან ახლოს ვიცნობ. კარიერა კი დავასრულე, მაგრამ მარტვილის „მერანში" მოთამაშე-დირექტორი ვარ. მოედანს მაინც ვერ ველევი.

**- პირველ ლიგაში საფეხბურთო ტრადიციით ცნობილი კლუბები გამოდიან. მარტვილს კი უმაღლეს ლიგაში გუნდი არასდროს ჰყოლია...**

- ეს ფრიდონ ინჯიას დამსახურებაა. მან მარტვილში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება გადაწყვიტა. გარდა იმისა, რომ გუნდი ჩამოაყალიბა, სკოლა-ინტერნატიც შექმნა. თუ „მერანი" მეტს მიაღწევს და უმაღლესში გადავა, დაფინანსება 2-3-ჯერ გაიზრდება. ახლა კი ვცდილობთ, ნულიდან დავიწყოთ ევროპული სტანდარტების მქონე კლუბის ჩამოყალიბება. მაგალითისთვის გეტყვით - მოთამაშეები ფორმებს თავად კი არ რეცხავენ, კლუბი ურეცხავს, ფეხბურთელებს ქცევის კოდექსი აქვთ და საერთოდაც, ვცდილობთ, ევროპული ყაიდის კლუბი შევქმნათ. სხვათა შორის, ჩვენ ისეთი პირობები გვაქვს, უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდს შეშურდება.

**- სტადიონი რა მდგომარეობაშია?**

- მოედანი ნორმალურია. უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ჰოლანდიური სარწყავი სისტემის დამონტაჟებასა და გაზონის შეცვლას აპირებს.

**- მიუხედავად ლიდერთან მცირე ჩამორჩენისა, ბევრს მიაჩნია, რომ „ბაია" უკვე ცალი ფეხით უმაღლეს ლიგაშია. თქვენ რა შანსი გაქვთ?**

- „ბაიას" სახლში ვხვდებით და გვაინტერესებს, რამდენად საფუძვლიანია ჩვენი და მათი ამბიციები. სხვათა შორის, მეტოქეზე ერთი მატჩით ნაკლები გვაქვს ჩატარებული. „ბაია" მდიდარი კლუბია, მაგრამ ჩვენზე უკეთესი ნამდვილად არ არის, ამაში დარწმუნებული ვარ. ბევრი ფული არ ნიშნავს იმას, რომ ნაკლები ბიუჯეტის მქონე კლუბს აუცილებლად აჯობებ. პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში წელს მართლაც ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი და სერიოზული კონკურენციაც შექმნეს. ეს ძალიან კარგია...

**მერაბ მამულაშვილი**

U21 მეტოქეები

# ხუთიდან ოთხი ეჭვებს...

4 თებერვალს დანიის ქალაქ ორჰუსში ჩატარებულმა წილისყრამ ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქეები გაარკვია - თურქეთი, ირლანდია, შვეიცარია, სომხეთი და ესტონეთი. სწორედ ამ ხუთეულთან მოგვიწევს პლეიოფში გასვლისთვის ბრძოლა. მათ დღეს ამხანაგური მატჩები უწევთ. მოდით, ვნახოთ, რა ხდება ამ გუნდებში...

## თურქეთი

წილისყრის წინ თურქეთი პირველ კალათში განთესეს. ამ ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **ოგუზ ჩეთინია**. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ჯგუფში პირველი მატჩი 31 მარტს გაიმართება. ამ დღეს თურქეთი ირლანდიას უმასპინძლებს.

ჩეთინი დეკემბრის შუა რიცხვებიდან შეუდგა მზადებას. მან 21-წლამდელთა ნაკრების 41 წევრ-კანდიდატი შეკრიბა და ორკვირიანი წვრთნა ჩაუტარა. შემდეგ ჩეთინმა ეს 41 ფეხბურთელი 36-მდე დაიყვანა. მისი ჩანაფიქრია ორი 18-კაციანი გუნდის შექმნა. თურქეთი დღეს ამხანაგურ შეხვედრაში უკრაინას მიიღებს. ამ თამაშისთვის ჩეთინი ორ ათეულზე მეტ ფეხბურთელს ამზადებდა. ამ კრებულში არიან ფეხბურთელები ისეთი კლუბებიდანაც, როგორებიც არიან „ფენერბაჰჩე", ლიეჟის „სტანდარდი", „ტრაბზონი", „კიოლნი", ვისბადენის „ვეენი", „გალათასარაი", „ჰანოვერი", „ბაიერნი", „ბაზელი", „ზანკტ პაული" და სხვები.

## ირლანდია

**დონ გივენსის** გუნდი 21-წლამდელთა შორის ევრო 2009 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე გერმანიას უმასპინძლებს. ეროვნული გუნდის თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** გივენსს უკვე წაართვა ერთი ფეხბურთელი - მცველი და კაპიტანი **ედი ნოლანი**. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ნოლანმა ჯერ ახალგაზრდულში ითამაშოს და მერე შეუერთდეს ტრაპის კრებულს. გერმანელების წინააღმდეგ გივენსი 18 ფეხბურთელს ამზადებს:

**შეინ რედმონდი** (ნოტინგემი, ინგლისი), **სტივენ ჰენდერსონი** (ბრისტოლი, ინგლისი), **მაიკლ სპილეინი** (ნორვიჩი, ინგლისი), **ედი ნოლანი** (პრესტონი, ინგლისი), **შეინ ლოური** (ასტონ ვილა, ინგლისი), **ბრენდან მოლონი** (ნოტინგემი, ინგლისი), **კრისტი ფაგანი** (უკლუბოდ), **ბარი მაკგუარი** (უტრეხტი, ჰოლანდია), **ჯონ ოტული** (უოტფორდი, ინგლისი), **სტივენ გლეისონი** (ვულვზი, ინგლისი), **ჯეიმს მაკკარტი** (ჰემილტონი), **ოუენ გარვენი** (იფსვიჩი, ინგლისი), **მაიკლ ლიდლი** (სანდერლენდი, ინგლისი), **ალან ჯუდი** (ბლექბერნი, ინგლისი), **დევიდ მეილერი** (სანდერლენდი, ინგლისი), **ჯილიან შერიდანი**, **გრემ ქერეი** (ორივე სელტიკი, შოტლანდია), **შონ სქენელი** (კრისტალი, ინგლისი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიის ახალგაზრდულმა თურქებზე ადრე დაიწყო მზადება. დონ გივენსმა ჯერ კიდევ სექტემბერსა და ოქტომბერში სწორედ ის შემადგენლობა ათამაშა, რომელსაც ახალ საკვალიფიკაციო ეტაპზე დაეყრდნობა. 9 სექტემბერს ირლანდიის 21-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიელ თანატოლებს სტუმრად დაუზავდა (2:2), 14 ოქტომბერს კი ლიტვაში 3:0 მოიგო.

## შვეიცარია

შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრები პორტუგალიის ქალაქ ფატიმაშია და იქაურ თანატოლებთან დღევანდელი ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. გუნდის თავკაცმა **პიერ ანდრემ** 20 ფეხბურთელი შეკრიბა:

მეკარეები - **კევინ ფიკენშტერი** (შო დე ფონი), **იან ზომერი** (ბაზელი);

მცველები - **გაეტანო ბერარდი** (ბრეშა, იტალია), **იონას ელმერი** (არაუ), **როლფ ფელშტერი** (გრასჰოპერსი), **მიკაელ კოვაჩევიჩი** (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია), **რაფაელ მოლეტი** (შაფჰაუზენი), **ჯონათან როსინი** (ლუგანო);

ნახევარმცველები - **ალესანდრო ჩაროკი** (ბელინცონა), **მორენო კონსტანცო** (სენტ გალენი), **ფრანკ ფელჩერი** (ლეჩე, იტალია), **ფაბიან ფრაი** (ბაზელი), **შკელზენ გაში** (ბელინცონა), **მარიო გავრანოვიჩი** (ივერდონი), **სიმონე გრიპო** (კიევო);

თავდამსხმელები - **ხავიერ ჰოხშტრასე** (იანგ ბოიზი), **ადრიან ნიკი** (ციურიხი), **დანიელ პავლოვიჩი** (შაფჰაუზენი), **ვალენტინ შტოკერი** (ბაზელი), **ადილსონ ტავარეში** (სევილია, ესპანეთი).

შვეიცარიელი 21-წლამდელები 28 მარტს ამხანაგურ შეხვედრაში გერმანიას უმასპინძლებენ, 31 მარტს კი სტუმრად ავსტრიას გაეჯიბრებიან.

## ესტონეთი

ესტონეთი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პირველი მეტოქეა. **კახა ცხადაძის** გუნდს ბალტიელებთან 5 სექტემბერს, გასვლაზე უწევს თამაში. ხვალ კი ესტონელები ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ ფინეთში, სადაც 22 ფეხბურთელით სტუმრობენ. ესტონელ 21-წლამდელთა შორის მხოლოდ ერთ ლეგიონერია - დანიურ „სილკებორგში" მოასპარეზე თავდამსხმელი **კიმარ სააგი**.

## სომხეთი

მეზობელი ქვეყნის ნაკრები მესამე კალათიდან გვერგო. ამ გუნდზე, რომ არაფერი ვთქვათ მის გეგმებზე, ჯერჯერობით ვერაფერს წავაწყდით. სომეხი 21-წლამდელები შესარჩევ ციკლს 5 ივნისს, შვეიცარიასთან გასვლითი მატჩით დაიწყებენ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# ბურდულსაც გააქვს და გიგიაძესაც

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა სიმფეროპოლის „ტავრიამ" მოლდოვურ „ტირასპოლთან" მორიგი სპარინგი გამართა. უკრაინულმა კლუბმა 3:2 მოიგო. გამარჯვების გოლი **ლადო ბურდულმა** გაიტანა - ის „ტირასპოლის" საჯარიმოში შეიჭრა, სადაც ორ მცველს გასცდა და დაახლოებით 5 მეტრიდან შეაგდო. ამ სპარინგში ლადომ მეორე ტაიმი ითამაშა, **ვასილ გიგიაძემ** კი პირველი. სხვათა შორის, მოედნიდან უგოლოდ არც გიგიაძე გასულა - მან პენალტით ანგარიში 2:0 გახადა.

უკრაინულმა „ზარიამ" (ლუგანსკი) რუმინულ „ვასლუისთან" საკონტროლო მატჩი დიდი ანგარიშით დათმო - 0:3. კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ამტკიცებს, რომ პირველ გოლში დამნაშავე **გიორგი ციმაკურიძეა**, რომელმაც მეტოქის ფორვარდთან გამკლავება ვერ შეძლო. ქართველი მცველი შესვენებისას შეცვალეს, თუმცა „ზარიას" ამით არაფერი ეშველა.

ლატვიურმა „სკონტომ" ესტონური „ფლორა" 2:1 დაამარცხა. რიგელთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ვლადიმერ დვალიშვილმა**, რომელმაც საგოლე პასიც მიითვალა, **დავით გამეზარდაშვილი** კი მეორე ტაიმში გამოჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭაბუკები

# ქართველებმა გალას რაპიდის მიაყოლეს

## გამარჯვება და ბევრი ჯილდო თურქულ ტურნირში

ირაკლი ვასაძის „ნორჩმა დინამოელმა", რომელიც 16-17 წლის ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული, თურქეთში საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ანთალიაში მოსამზადებლად წასულ ქართველებს შეჯიბრებაში მონაწილეობა შესთავაზეს. ჩვენებმა „სიდე" გაანადგურეს (10:0), „მანავგატი" 4:1 დაამარცხეს, ფინალში კი თურქულ „ალანიას" (ვლადიკავკაზისაში არ აგერიოთ) 2:1 სძლიეს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ „ნორჩი დინამოელის" მოთამაშე **მურთაზ ტამოიანი** დაასახელეს. 1997-წლიანთა ტურნირში წარმატებით ითამაშა **კობა მჟავანაძისა** და **გია კილაძის** „ორბებმა", რომელიც ასევე ანთალიაში ემზადებოდა.

„ორბებმა" ჯერ თურქული კლუბები - „ტრაბზონი" (7:3), „ტრაბზონი 2" (5:1) და „ქოჯაელი" (3:2) დაამარცხეს, მერე ნახევარფინალში „გალათასარაის" სძლიეს (2:1), ფინალში კი ასეთივე ანგარიშით ვენის „რაპიდს" მოუგრიხეს კისერი.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზატორების მიერ დაწესებული 7 ინდივიდუალური პრიზიდან 6 თბილისელ მოთამაშეებს გადაეცათ: საუკეთესო მცველი გახდა **გიორგი ხეცაძე**, ნახევარმცველი - **ამირან ფურცხვანიძე**, თავდამსხმელი - **ვარლამ პირველი**, ტექნიკური მოთამაშე - **გიორგი ხუბუა**, ბომბარდირი - **შოთა კობიაშვილი**, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე კი პაატა ლუდუშაური.

**მერაბ მამულაშვილი**



# ინდივიდუალური მომზადება კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს ასწავლის საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

რეალი. სკანდალი

# ჰუნტელაარი: მომატყუეს!

## ჰოლანდიელ ფორვარდს რეალში ტრანსფერიდან 68 დღის შემდეგ მადრიდიდან წასვლა მოუნდა


ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაას იან ჰუნტელაარი

151 წუთი ხუთი შეხვედრის ჯამში. ასეთია **კლაას იან ჰუნტელაარის** მონაგარი. კაცმა რომ თქვას, ჰოლანდიელ ფორვარდს საამაყოდ ნამდვილად არ აქვს საქმე. ძირითად შემადგენლობაში ის მხოლოდ ერთხელ დააყენეს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჰუნტელაარი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ვერ მოხვდა. ეს ყველაფერი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ სამეფო კლუბის ფორვარდს ხმაურიანი განცხადება გაეკეთებინა. ჰუნტელაარმა მთელ საფეხბურთო სამყაროს ამცნო, რომ მადრიდის „რეალიდან" წასვლა უნდა.

ყველაფერი 4 დეკემბერს დაიწყო. სწორედ 68 დღის წინ სამეფო კლუბმა კლაას იან ჰუნტელაარი ოფიციალურად შეიძინა. მას ტრადიციული პრეზენტაციაც გაუმართეს. მაისურა მას თვით დონ **ალფრედო დი სტეფანომ** გადასცა. ჰოლანდიელი დარწმუნებული იყო, რომ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი ხშირად მიეცემოდა, მაგრამ **ხუანდე რამოსი** მას არ ენდობა და უმეტეს დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებინებს. ჰუნტელაარი ამით, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილოა. გუშინ მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ისაუბრა: „მშვენივრად ვიცი, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდი კლუბის ფეხბურთელი ვარ. როცა „რეალის" წინადადება მივიღე, ღამე თეთრად გავათენე. ვერ ვიჯერებდი, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლის შესაძლებლობა გამიჩნდა. გადაწყვეტილების მიღება ოდნავადაც არ გამჭირვებია. მაშინვე ვთქვი, ჩემოდნებს ვალაგებ და ესპანეთის დედაქალაქში მივდივარ-მეთქი. ტრანსფერი მართლაც შედგა. ახალ გუნდში მუშაობას უდიდესი ენთუზიაზმით შევუდექი, მაგრამ იმედი მალე გამიცრუვდა. უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ მოლოდინი არ მართლდება. მე აქ სათამაშოდ ჩამოვედი. კონტრაქტზე ხელის მოწერისას 100 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ჩამწერდნენ, მაგრამ ეს იმედიც გამიცრუვდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ დირექტორატის წევრებმა შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ეს არ არის ჩემი პრობლემა. რა გამოდის, მადრიდში ჩამოვედი, მაგრამ არც პრიმერა დივიზიონში მიწევს თამაში და ჩემპიონთა ლიგაც მიუწვდომელ ოცნებად მექცა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სამეფო კლუბიდან წასვლა მინდა. თავს მოტყუებულად ვგრძნობ. არ მინდა, ზედმეტად ამბიციური ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ მეც ხომ უნდა გამიგოთ. მადრიდში თამაშის წყურვილით ჩამოვედი, თუმცა ამის შანსი ჯერჯერობით არ მეძლევა. მზად ვარ, კიდევ უფრო დიდი შემართებით ვივარჯიშო, მაგრამ თუ უახლოეს მომავალში სიტუაცია არ შეიცვლება, გუნდის ხელმძღვანელებს საკითხს მთელი სერიოზულობით დავუყენებ და ტრანსფერს მოვითხოვ. სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს რომელიმე სხვა გუნდში გადავალ. იმედი მაქვს, რომ ჩემი მენეჯერები კარგ ვარიანტს გამომინახავენ."

ჰუნტელაარის ამ თამამ განცხადებას სამეფო კლუბის პრესსამსახური გამოეხმაურა. ოფიციალურ რელიზში ასეთ რამეს ვკითხულობთ: „თანამედროვე ფეხბურთში ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აბსოლუტურად არავინ ფლობს. ჩვენთვის ჰუნტელაარის განცხადების შინაარსი გაუგებარია. მისთვის არავის უთქვამს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ძირითადში მოხვდებოდა. კლუბს ასეთი გარანტია რომ გაეცა, ეს ყველაფერი ხელშეკრულებაში ოფიციალურ პუნქტად აისახებოდა. სამწუხაროა, რომ ჩვენმა ფეხბურთელმა გუნდის შიდა საქმეები საჯარო სჯა-ბაასის საგნად აქცია. ჩვენ კარგად გვესმის, რომ პროფესიონალ ფეხბურთელს თამაში სურს, მაგრამ ამისთვის მან სენიორ ხუანდე რამოსს უნდა დაუმტკიცოს, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოა."

შექმნილ აჟიოტაჟს ჰუნტელაარის მენეჯერიც გამოეხმაურა. ის კლიენტის მდგომარეობით გულდაწყვეტილია: „დასანანია, რომ სიტუაცია ამდენად დაიძაბა. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ჩემი კლიენტის ბრალია. კონტრაქტის გაფორმებამდე ესპანელებს გარკვევით ვუთხარი, „ჩელსის", „არსენალისა" და „იუვენტუსის" შესანიშნავი წინადადებები გვაქვს-მეთქი. ვთხოვე, კარგად დაფიქრდით, მერე ისე არ მოხდეს, რომ ჰუნტელაარი სათადარიგოთა სკამზე დასვათ-თქო. მათ მიპასუხეს, არა, გამორიცხულია, რუუდ ვან ნისტელროოი ტრავმირებულია და ჰუნტელაარი მხოლოდ და მხოლოდ ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ გვჭირდებაო. ჩვენ რა თქმა უნდა, დავუჯერეთ და ხელშეკრულება გავაფორმეთ. როგორც ხედავთ, შეთანხმების ფუნდამენტური პუნქტი დაირღვა. ბუნებრივია, ეს კონტრაქტში არ წერია, მაგრამ ჯენტლმენურ შეთანხმებას უმცირესი ფასი ხომ მაინც უნდა ჰქონდეს?"

თავს უფლებას მივცემთ, ამ ამბავთან დაკავშირებით მცირე კომენტარი შემოგთავაზოთ. ჰუნტელაარის უტიფრობა აბსოლუტურად გაუგებარია. სამეფო კლუბის პრესსამსახურის რელიზში სრული სიმართლე წერია, ფეხბურთში ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არავინ ფლობს, მათ შორის, არც **კრისტიანო რონალდო** და **ლიონელ მესი**. ჰოლანდიელს უფლება აქვს, სხვა გუნდში თამაშის სურვილი დაუფარავად გამოთქვას, მაგრამ უტიფრად იმის თქმა, გინდა თუ არა, ძირითად შემადგენლობაში მათამაშეთ და ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შემიყვანეთო, გაზულუქებული ბავშვის ახირებას ჰგავს და სხვას არაფერს. მერე რა რომ მას „ჩელსი", „არსენალი" და „იუვენტუსი" ეპატიჟებოდნენ. ფეხბურთი რისკს შეიცავს. მარტივად რომ ვთქვათ, ჰუნტელაარს ძირითადში სისტემატურად მოხვედრის გარანტია ინგლისსა და იტალიაშიც არ ექნებოდა. მოკლედ, 25 წლის ფორვარდს ნერვებმა უმტყუნა და ისეთი სისულელეები ილაპარაკა, ბრიყვის როლში აღმოჩნდა. ბოროტი ენების თქმით, მასზე ხუანდე რამოსი აღრენილია და შეგირდთან კატეგორიული ტონით დალაპარაკებას აპირებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ჩელსი



ლუიშ ფელიპე სკოლარი

# სკოლარი გაუშვეს

## დროებით მწვრთნელად რეი უილკინსი დაინიშნა, არისტოკრატებმა ახალი დამრიგებლის ძებნა დაიწყეს, ტოტალიზატორები ფსონს ძოლასა და კლარკზე დებენ...

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** "ჩელსის" მწვრთნელი აღარ არის. ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც ლონდონში გასულ ზაფხულს, ინგლისისა და ევროპის დასაპყრობად ჩაიყვანეს, გუნდის უსახურ თამაშს გადაჰყვა.

მიმომხილველების ცნობით, სკოლარის შემცვლელად **ავრამ გრანტის** კანდიდატურა განიხილება. ეს უკანასკნელი ერთხელ უკვე იყო "არისტოკრატების" დამრიგებელი – გასულ სეზონში, როდესაც "ჩელსიმ" **ჟოზე მოურინიო** დაითხოვა. მან გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, მაგრამ ევროპული თასიცა და პრემიერლიგის ტიტულიც "მანჩესტერ იუნაიტედს" დარჩა.

ინგლისური მედია კიდევ ერთ ვარიანტს განიხილავს. ზოგიერთი გაზეთის მტკიცებით, სავსებით რეალურია, "ჩელსი" მწვრთნელად რუსეთის ნაკრების თავკაცი **გუუს ჰიდინკი** დაინიშნოს. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელ სპეციალისტს რუსეთში მუშაობისათვის **რომან აბრამოვიჩი** უხდის ხელფასს.

მაგრამ ბრიტანულ ტოტალიზატორებს თავიანთი ფავორიტი ჰყავთ: "ვესტ ჰემის" მწვრთნელების, **ჯანფრანკო ძოლასა** და **სტივ კლარკის** დუეტი. მოგეხსენებათ, ძოლა "ჩელსის" ლეგენდაა, ხოლო კლარკი "არისტოკრატების" ყოფილი მეორე მწვრთნელია. მან "ვესტ ჰემს" მიმდინარე სეზონის მსვლელობისას მიაშურა - მას მერე, რაც ეს გუნდი ძოლას ჩააბარეს.

"ჰალ სიტისთან" შაბათის მატჩისას, "სტემფორდ ბრიჯზე" თვალს მოკრავდით წარწერებს, რომელშიც გულშემატკივარი სკოლარის დათხოვნასა და ძოლასა და კლარკის დაბრუნებას ითხოვდა.

სანამ "ჩელსის" ხელმძღვანელობა რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდეს, გუნდის საქმეებს დროებით **რეი უილკინსი** გაუძღვება. "არისტოკრატების" დირექტორატის გუშინდელ განცხადებაში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ კლუბი მადლიერია სკოლარის მიერ გაწეული სამსახურით და წუხს, რომ მათი თანამშრომლობა ასე მალე დასრულდა.

**შალვა ბიბილაშვილი**

აიაქსი

# ვან ბასტენს არაფერი ემუქრება

## მხოლოდ ოთხი ქულა 2009 წელს ჩატარებულ ხუთ თამაშში

"აიაქსს" პრობლემები აქვს. გუნდმა 2009 წელი უსახურად დაიწყო. იანვარსა და თებერვალში ჩატარებულ ხუთ შეხვედრაში ამსტერდამელებმა მხოლოდ ოთხი ქულა მოიპოვეს. ისინი მესამე ადგილზე იმყოფებიან და ლიდერი "ალკმაარისაგან" 14 ქულა აშორებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ "აიაქსს" ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს. დირექტორების ერთმა ნაწილმა მთავარი მწვრთნელის, **მარკო ვან ბასტენის** პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.

ორშაბათს დირექტორატი საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა და ვან ბასტენს ნდობა გამოუცხადა. გასულ უქმეებზე არნემის "ვიტესთან" 1:4 დამარცხების მიუხედავად, "აიაქსის" პრეზიდენტმა **რიკ ვან დერ ბუგმა** განაცხადა, რომ მწვრთნელს არაფერი ემუქრება და რომ მას შეუძლია, მშვიდად იმუშაოს: "დასანანია, რომ საჩემპიონო შანსი ერთი თვის განმავლობაში გავანიავეთ, მაგრამ გარწმუნებთ, მწვრთნელის დათხოვნის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მას შეუძლია, ჩვენი იმედი იქონიოს. ამავე დროს, მე, როგორც პრეზიდენტს, იმედი მაქვს, რომ იანვრის მსგავსი წარუმატებელი სერია აღარ განმეორდება."

ჰოლანდიელი მიმომხილველების შეფასებით, "აიაქსს" მაქსიმუმ მეორე ადგილისათვის შეუძლია, რომ იბრძოლოს. მეორე ადგილი ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. ამ წუთისათვის ეს საფეხური **სტივ მაკლარენის** "ტვენტეს" უკავია. ენსხედელებმა მიმდინარე სეზონში მხოლოდ სამი მატჩი დათმეს. ამსტერდამელთა ანგარიშზე ექვსი მარცხია, თუმცა მათ "ტვენტესაგან" მხოლოდ სამი ქულა ჰყოფთ.

გასული კვირის მიწურულს "აიაქსის" საწვრთნელ ბაზას 300 უკმაყოფილო გულშემატკივარი მიადგა და ბოლოდროინდელი შედეგები გააპროტესტა. ისინი ბაზის ტერიტორიაზე შევიდნენ, მინდორს შეესიენ და ვან ბასტენს ახსნა-განმარტებები მოსთხოვეს. მომხდართან დაკავშირებით, მარკომ ასეთი კომენტარი გააკეთა: "ფეხბურთი და ემოცია განუყოფელია. მე კარგად მესმის მათი გულისწყრომის. დასაფასებელია, რომ გულშემატკივარი კორექტულობის ჩარჩოებს არ გასცდენია."

გუშინ კლუბის ხელმძღვანელობას ფანებთან მორიგი შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. გულშემატკივრისათვის მიმდინარე მოვლენების დაწვრილებითი ანალიზი უნდა შეეთავაზებინათ.

**შალვა ბიბილაშვილი**



ტონი ადამსი

პორტსმუთი

# ადამსი უმუშევარი დარჩა

## გრანტი თუ კერბიშლი? კლუბის ხელმძღვანელობას კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია

**გუშინ** პრემიერლიგის კიდევ ერთი გუნდი დარჩა უმწვრთნელოდ. "პორტსმუთმა" კარისაკენ მიუთითა **ტონი ადამსს**. მას დამრიგებლის პოსტი გასული წლის ოქტომბერში ჩააბარეს. ადამსი **ჰარი რედნაპის** თანაშემწე იყო.

როდესაც რედნაპმა "ტოტენჰემს" მიაშურა, მთავარი მწვრთნელობა მას დარჩა. მაგრამ "პორტსმუთს" საქმეები სავალალოდ წაუვიდა. გუნდმა ცხრამატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო. ის მე-16 ადგილამდე დაქვეითდა და გასავარდნი ზონისაგან ერთი ქულაღა ჰყოფს.

რედნაპმა "პორტსმუთს" უპრეცედენტო წარმატება მოუტანა. გასულ სეზონში კლუბი ასოციაციის თასს დაეუფლა. წელს კი ის იმავე ტურნირს მესამე რაუნდში გამოეთიშა, წააგო რა ჩემფიონშიფის კლუბ "სვონსისთან". იანვრის ტრანსფერებისას "პორტსმუთი" საგრძნობლად დასუსტდა. მან საუკეთესო თავდამსხმელი და ნახევარმცველი, **ჯერმეინ დეფო** და **ლასანა დიარა** დაკარგა (ერთი "ტოტენჰემში" დაბრუნდა, ხოლო მეორემ მადრიდის "რეალს" მიაშურა). ადამსმა მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოახერხა. ამიტომ დანიშვნიდან სულ რამდენიმე თვით შემდეგ უმუშევარი დარჩა.

მიმომხილველებმა ერთ საინტერესო ფაქტზე გაამახვილეს ყურადღება. ადამსი ინგლისის ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი კაპიტანია, რომელსაც სამწვრთნელო კარიერა არ აეწყო. ცოტა ხნის წინ "ბლექბერნმა" **პოლ ინსი** დაითხოვა. ბევრად უფრო დიდი ხნის წინ წარუმატებლობა იწვნიეს **ბრაიან რობსონმა**, **ბობი მურმა** და **რეი ვილკინსმა** (გუშინ ეს უკანასკნელი "ჩელსის" დროებით მწვრთნელად დანიშნეს).

"პორტსმუთს" დროებით ადამსის ერთ-ერთი ასისტენტი **პოლ ჰარტი** გაუძღვება. ჟურნალისტები გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე "ჩელსის" ყოფილი თავკაცის, **ავრამ გრანტის**, აგრეთვე "ვესტ ჰემისა" და "ჩარლტონის" ყოფილი დამრიგებლის, **ალან კერბიშლის** კანდიდატურებს განიხილავენ. "პორტსმუთის" ხელმძღვანელობას მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

**შალვა ბიბილაშვილი**

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ — სამხრეთამერიკული ფეხბურთი

# იქ, დასავლეთ ნახევარსფეროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინის ნაკრები

## მარადონა: საფრანგეთთან მატჩი ამხანაგური არ არის!

### დიეგო თავგანწირვას ითხოვს. ფეხბურთელებმა ისე უნდა ითამაშონ, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალშიო...




არგენტინის ნაკრები საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან შესახვედრად ემზადება. ამ ამხანაგურ პაექრობას ფეხბურთის გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძალიან ლამაზ სანახაობას ვიხილავთ. რა დასამალია და ერთი კაცის გარდა, ამ შეხვედრას ყველა ამხანაგურად აღიქვამს. ოფიციალურადაც ხომ ასე ჰქვია, ამხანაგური მატჩი... მაგრამ რა ვუყოთ, რომ ის ერთი კაცი **დიეგო არმანდო მარადონაა**? ლეგენდარული ადამიანი, რომელიც საფეხბურთო მატჩს ამხანაგურად და გასართობად არასოდეს ეკიდება. გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა. მარადონამ გუშინ „ეკიპის" კორესპონდენტს საინტერესო ინტერვიუ მისცა. თქვენს სამსჯავროზე ყველაზე საინტერესო დეტალებს გამოვიტანთ. დიეგო ფრანგებთან პაექრობას ისე ეკიდება, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის დაპირისპირებას:

*„წარმოიდგინეთ, ერთმანეთს არგენტინა და საფრანგეთი ხვდებიან. როგორ შეიძლება, ამ თამაშს ისე მოვეკიდო, როგორც ამხანაგურ მატჩს. ამხანაგური ფეხბურთი ქუჩაში გამიგია. არგენტინა და საფრანგეთი მუნდიალის ფლეი ოფში რომ შეხვდნენ, ინტრიგა და აჟიოტაჟი პიკს მიაღწევს. მინდა, რომ ჩემმა ბიჭებმა სწორედ ამ განწყობით ითამაშონ. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ საფრანგეთთან მატჩს ამხანაგურს არ ვუწოდებ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ. თუ შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვამჟღავნებთ, ასეც იქნება. ალბისელესტეს არაჩვეულებრივი შემადგენლობა ჰყავს. მთავარია, ბიჭებმა არგენტინული ფეხბურთი ითამაშონ და მათ ვერავინ დაამარცხებს".*

„ეკიპის" ჟურნალისტი არგენტინული საფეხბურთო ცხოვრების ნიუანსებში ბოლომდე იყო გარკვეული და რესპონდენტს **ოსკარ რუჯერის** შესახებ ჰკითხა. შეგახსენებთ, მარადონამ მის თანაშემწედ სწორედ რუჯერი მოითხოვა, მაგრამ საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტს, **ხულიო გრონდონას** ალბისელესტეს ყოფილ ვარსკვლავთან ცუდი ურთიერთობა აქვს და დიეგოს თხოვნა დღემდე არ შეუსრულა. ნაკრების თავკაცმა ფრანგ კორესპონდენტს გულწრფელად უპასუხა:

*„აბა, რა გითხრათ?! უმორჩილესად ვითხოვე, რუჯერი მჭირდება-მეთქი, მაგრამ გადაწყვეტილებას არა და არ იღებენ. ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარია, მაგრამ ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ამ შეუთანხმებლობის გამო თანამდებობიდან არ გადავდგები. სხვათა შორის, კონტრაქტის გაფორმებამდე ვფიქრობდი, რომ ალბისელესტე ყველაფერზე მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ზოგჯერ ადამიანური ამბიციები ყველაფერს ჩრდილავს. წარმოგიდგენიათ, ხუხუიში თამაში დანიშნეს და რიკელმეს ნაკრებში მოსვლის პრობლემა შეექმნა. უნდა მოგახსენოთ, რომ ბატალიასაც. ასე არ შეიძლება. ნებისიერი საფეხბურთო ასოციაცია, თუ ფედერაცია იმისთვის არსებობს, რომ პირველ რიგში ნაკრებს მიხედოს. ჩვენ კი გაუგონარ პრობლემებს ვაწყდებით. განა არ შეიძლება, ყველაფერი ისე დაგეგმო, რომ საკვანძო ფეხბურთელები ეროვნულ გუნდს არ დააკლდნენ?! რას ვიზამთ, რაც მოხდა, მოხდა. ალბისელესტემ ნებისმიერ პრობლემას უნდა გაუძლოს და ყველაზე რთულად გადასალახი დაბრკოლებაც კი უნდა გადალახოს".*

მარადონამ სრულიად მოულოდნელად აღიარა, რომ საფრანგეთის ნაკრების სამი ვარსკვლავი მას შიშს ჰგვრის. დიეგო და შიში სრულიად შეუთავსებელია, მაგრამ გაირკვა, რომ **ფრანკ რიბერი, ნიკოლა ანელკა** და **ტიერი ანრი** ლეგენდარულ არგენტინელსაც კი აშინებენ:

*„რიბერი, ანელკა და ანრი მონსტრები არიან. რა დასამალია, რომ ცოტათი მეშინია. მათ შესაძლებლობებს ზღვარი არ აქვს. ამ ტრიოს თავისუფლად მოქმედების საშუალება თუ მიეცი, ვერარაფერი გიშველის, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბიჭები, ხსენებული ტრიოს ნეიტრალიზებას შეძლებენ. გადამწყვეტი სიტყვა ნახევარდაცვამ უნდა თქვას. ფრანგებს ბურთის ცენტრიდან ფლანგზე იოლად გადატანის საშუალება უნდა მოვუსპოთ. ამით, რიბერის ხელ-ფეხს შევუკრავთ. საყრდენმა ნახევარმცველებმა იმდენი უნდა გააკეთონ, რომ ფორვარდები ცენტრალურ მცველებთან მარტო არ დატოვონ. ჩვენ ახლა ყველა საჭირო სქემაზე ვმუშაობთ. დარწმუნებული გახლავართ, რომ ოთხშაბათს მაქსიმალურად მომზადებული ვიქნებით და ყველას დავანახვებთ ალბისელესტეს რა შეუძლია".*

მარადონა ეიფორიამ ხომ არ შეიპყრო? მისი განცხადებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა თავისუფლად შეიძლება. ძნელი სათქმელია, რა გახდა ამის მიზეზი, ის ხომ არა, რომ დიეგოს სადებიუტო შეხვედრაში არგენტინამ შოტლანდიას ყველა კომპონენტში აჯობა და უპრობლემოდ დაამარცხა?! თუ ასეა, სამხრეთამერიკელებს მეტი სიფრთხილე მართებთ, რადგან საფრანგეთი შოტლანდია არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრიტანელებმა „მამლები" საკუთარ მოედანზე დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ ოპტიმიზმი ალბისელესტეს ფეხბურთელებსაც არ აკლიათ. კაპიტანი **ხავიერ მასკერანო** მწვრთნელის სულისკვეთებას ახლა უკვე ბოლომდე იზიარებს:

*„მარადონა ამ თამაშისთვის უკვე რამდენიმე თვეა გვამზადებს. ის ევროპულ ტურნეში იმყოფებოდა და ეროვნული გუნდის კანდიდატებს პირადად შეგვხვდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ტელეფონით სისტემატურად გვესაუბრებოდა და გვეუბნებოდა, არავის წამოგცდეთ, რომ 11 თებერვალს ფრანგებს ამხანაგურ მატჩში ვხვდებითო. მოგვიწოდებდა, უფრო სწორად, გვიბრძანებდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის მოემზადეთო. თავიდან გამიკვირდა, ამ კაცს მუნდიალზე ხომ არ ჰგონია თავი, ასეთ დავგანწირვას რატომ ითხოვს-მეთქი... მაგრამ ის ხომ მარადონაა, დიეგო არმანდო მარადონა, რომელსაც სხვანაირად ცხოვრება უბრალოდ არ შეუძლია. არგენტინა მისთვის ყველაზე დიადი და ღირებულია. დარწმუნებული ვარ, საჭირო რომ გახდეს, დიეგო სამშობლოს თავს დაუფიქრებლად შესწირავს".*

მექსიკის ნაკრები

## მთავარია ერთიანი ძალისხმევა და... ერიქსონი

### შვედი სპეციალისტი აცტეკებს იანკების გასანადგურებლად ამზადებს

**პაველ პარდო** მექსიკური ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა და სიმბოლოა. ეროვნულ გუნდში მას 142 შეხვედრა აქვს ჩატარებული. მას, რა თქმა უნდა, მუნდიალზეც უთამაშია. სხვათა შორის, პარდო იმ იშვიათ მექსიკელ ფეხბურთელთაგან ერთ-ერთია, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები გასვლაზე ჰყავთ დამარცხებული. პაველი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხვალ ოჰაიოში ამ წარმატებას კიდევ ერთხელ მიაღწიოს. მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ გამოცდილმა მექსიკელმა თანამემამულე ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. პირველ რიგში, მან, რა თქმა უნდა, 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდზე ისაუბრა:



*„ჩემი აზრით, გუნდი არაჩვეულებრივ ფორმაშია. ამის თქმის საფუძველს ვარჯიშებზე შექმნილი შთაბეჭდილება მაძლევს. რამდენი ხანია სვენ გორან ერიქსონის ხელმძღვანელობით არ გვივარჯიშია. ის არაჩვეულებრივი მწვრთნელია და ისეთ რალაცებს გვასწავლის, რაც სხვისგან არასოდეს გაგვიგია. 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდს ოპტიმისტურად ვეკიდები. დარწმუნებული ვარ, რომ შვედი სპეციალისტის თანადგომით უდიდეს ამოცანებს გადავჭრით. ამაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ მუნდიალის საგზურის მოპოვება არ იგულისხმება".*

ამის შემდეგ კი პაველს ამერიკასთან მოახლოებულ შეხვედრაზე ჰკითხეს. მექსიკელი ვარსკვლავი ძალიან რთულ ორთაბრძოლას ელის: *„იცით რა საშინელებაა, ამერიკაში ამერიკის წინააღმდეგ თამაში?! ნამდვილი ჯოჯოხეთია, მაგრამ მე მათ მიწაზე მომიგია და მჯერა, რომ ამას კიდევ შევძლებთ. მთავარია, ერთიანი ძალისხმევა და, რა თქმა უნდა, სვენ გორან ერიქოსინი! მასთან ერთად სასწაულების მოხდენაც არ გაგვიჭირდება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ფხბურთში ამდენი რამის ცოდნა შეიძლებოდა. მე პროფესიონალი მოთამაშე ვარ, მაგრამ მართლა არ ვიცოდი, თუ ამდენი ტაქტიკური ელემენტი და ნიუანსი არსებობდა. აშკარაა, ერიკსონი სამსახურიდან სახლში მისვლის შემდეგაც ფეხბურთზე ფიქრობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გასაოცარი იდეები არ ექნებოდა".*



ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს **ბენიტო ფლორო** ძალიან კარგად ეცოდინებათ. თავის დროზე ის პრიმერა დივიზიონურ კლუბებს ავარჯიშებდა. მისი სამწვრთნელო კარიერის ყველაზე დიადი კლუბი მადრიდის „რეალია". ახლა კი ბედისწერამ ის ეკვადორში მოისროლა, სადაც გუაიაკილის „ბარსელონას" ავარჯიშებს. პირენეელი სპეციალისტი ამ კლუბის ხელმძღვანელებმა დიდი იმედით გადაიბირეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სამეფო კლუბის ყოფილი მწვრთნელი ეკვადორულ „ბარსელონას" დიდ წარმატებებს მოუტანდა. სენიორ ფლორომ მუშაობა შესაშური შემართებით დაიწყო, მაგრამ ბატონ ბენიტოს სადებიუტო ტურებში არ გაუმართლა. პირველ შეხვედრაში მისმა გუნდმა ფრე იკმარა. რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს, ერთი შეხვედრა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფლოროს წინააღმდეგ სასტიკი კამპანია აგორებულიყო. პირველი ტურის წარუმატებლობის შემდეგ „ბარსელონა" „დეპორტივო კიტოს" დაუპირისპირდა. ეს ჩვეულებრივი მატჩი ბენიტო ფლოროსთვის კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა. მისი გუნდი თამაშს ვერ იგებდა და ამით აღშფოთებულმა გულშემატკივრებმა ესპანელი სპეციალისტის მისამართით ათასი საგნის სროლა დაიწყეს. საგანიცაა და საგანიც, მთავარ მწვრთნელს რამდენიმე ვიგინდარამ საკმაოდ მოზრდილი ბებუთიც კი ესროლა. ქვებსა და წყლით სავსე ბოთლებზე აღარაფერს ვამბობთ. რამდენიმე გულშემატკივარმა ტრიბუნიდან გადახტომაც კი შეძლო. ისინი მწვრთნელს დასარტყმელ დისტანციაზე მიუახლოვდნენ და მუშტი მოუქნიეს კიდეც. ამის შემდეგ სიტუაცია უმართავი გახდა. მატჩის ორგანიზატორებმა პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმი შეიყვანეს და ბენიტო ფლოროს ევაკუაცია უზრუნველყვეს. გაოგნებულმა ესპანელმა მწვრთნელმა საგანგებო პრესკონფერენციაზე ემოციები ვერ დამალა:

შემთხვევა

## ბენიტო ფლორო სიკვდილს გადაურჩა

### რეალის ყოფილ მწვრთნელს ეკვადორის პოლიციამ უშველა

*„ფეხბურთში ათასი რამ მინახავს და მსმენია, მაგრამ ასეთი სიგიჟის შესახებ არასდროს არაფერი გამიგია. კრიტიკას არასოდეს შევუშინებივარ, მაგრამ ეს კრიტიკა კი არა, პირუტყვობაა. რა დავაშავე? გუნდმა ფრედ ითამაშა. არ მესმის, ასეთი არაადამიანობა რამ განაპირობა. უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ ორი, ან თუნდაც 10 ფრეს გამო ადამიანი მოსაკლავად გაიმეტო. არადა, პოლიციას რომ არ ეყოჩალა, ახლა მართლა მკვდარი ვიქნებოდი. არ ვიცი, სიტუაციის დრამატიზება სულაც არ მინდა, მაგრამ თუ უსაფრთხოების გარანტიებს არ მომცემენ, იძულებული გავხდები, კონტრაქტის განწყვეტაზე დავფიქრდე. სიცოცხლეზე არაფერი მილირს. დაზღვეულიც არაფრისგან ვარ, შეიძლება, ხვალ და ზეგ რამდენიმე მატჩი წავაგოთ და მომკლან. არა, სენიორებო, მე ასეთ პირუტყვობას მიჩვეული არ ვარ. არა მგონია, მადრიდის „რეალზე" მომთხოვნი გულშემატკივარი ვინმეს ჰყავდეს, თუმცა ისინი ასეთ რამეს არასოდეს იკადრებენ".*

იტალია-ბრაზილია




# როგორ აძურას ვიხილავთ ბრაზილიასთან?

როგორც იქნა, **მარჩელო ლიპიმ** დაასახელა ის ფეხბურთელები, რომელთაც ბრაზილიის ნაკრებთან დღევანდელ ამხანაგურ შეხვედრაში დაეყრდნობა. მაესტრომ შაბათს პრესკონფერენცია მოაწყო და სწორედ იქ გაახმაურა სანაკრებო სია. აპენინელ ჟურნალისტებსაც მეტი რა უნდოდათ და უმალ გამოაცხვეს რამდენიმე საინტერესო სტატია. სანამ თემას განვავრცობდეთ, შეგახსენებთ, რომ შეხვედრა ლონდონში, „ემირით სთედიუმზე“ დღეს, თბილისის დროით 23.45 საათზე გაიმართება.

მთავარი სასაუბრო თემა **ალესანდრო დელ პიერო** და მისი განაცხადს მიღმა დატოვება გახლავთ. იუვენტინო მიმდინარე სეზონს შესანიშნავად ატარებს და ტურინული გიგანტის წარმატებების მთავარი შემოქმედია, თუმცა, როგორც ჩანს, მარჩელოსთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და პინტურიკიო ოფსაიდში დატოვა. სამაგიეროდ, სიაშია **ვინჩენცო იაკვინტა**, ფეხბურთელი, რომელიც ამ სეზონს სათადარიგოთა სკამზე ატარებს. მართალია, ბოლო ტურში იაკვინტამ ძირითადში ითამაშა და გოლიც გაიტანა, მაგრამ მთლიანობაში მოედანზე საკმაოდ მცირე დროს ატარებს. ბუნებრივია, ლიპის ასეთმა გადაწყვეტილებამ იტალიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია და მწვრთნელის მიმართ მოზომილი კრიტიკაც გაისმა. თავად ალექსს ამ საკითხზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, სამაგიეროდ სიტყვაუხვი გახლდათ იაკვინტა, ვინაც დიდად მადლიერი ყოფილა „სკუადრა აძურას“ დამრიგებლის:

*„ველოდი თუ არა ნაკრებში გამოძახებას? - სიმართლე რომ გითხრათ, არა. ამ სეზონში იშვიათად მიწევს მოედანზე ყოფნა და ბუნებრივია, ლიპისგან ასეთ ნდობას არ ველოდი. ძალიან მიხარია, რომ ჩემზე გარკვეულ იმედებს ამყარებს, ვეცდები, საკუთარი შესაძლებლობები საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინო. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ოპტიმალურ კონდიციაში ვარ და ეს მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო პრაქტიკა მაკლია. რანიერიმ „კატანიასთან“ სასტარტოში დამაყენა და ამან ძალიან გამახარა. უზომოდ ბედნიერი ვიყავი, როდესაც გოლი გავიტანე. ეს იმის შედეგი გახლდათ, რომ მოედანზე დიდი ენთუზიაზმით გავედი. მაქვს იმედი, რომ თამაში ბრაზილიასთანაც მომიწევს და გპირდებით, თავს არ დავზოგავ“.*

იაკვინტას სიხარული გასაგებია, შესაძლოა მას მართლაც მოუწიოს თამაშმა, მაგრამ ვეჭვობთ, ეს პირველივე წუთებიდან მოხდეს. „გაძეტა დელლო სპორტი“ სავარაუდო თერთმეტეულის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს და თუ ამ ავტორიტეტულ გამოცემას დავუჯერებთ, იაკვინტა სასტარტო შემადგენლობაში ნამდვილად ვერ მოხვდება. თუმცა, უმჯობესია, მივყვეთ თანმიმდევრობით.

„აძურას“ კარს, რა თქმა უნდა, **ჯანლუიჯი ბუფონი** დაიცავს, ვინც კარგა ხანს დაშავებული გახლდათ და კლუბთან ერთად, ვერც ნაკრებს ეხმარებოდა. მართალია, მისმა შემცვლელმა **ამელიამ** დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვა, მაგრამ ჯიჯის დაბრუნებით იტალიაში მაინც უზომოდ კმაყოფილები არიან. ბუფონი მართლაც სიმშვიდის გარანტია. მარჯვენა მცველის ფუნქციებს ალბათ **ჯანლუკა ძამბროტა** შეასრულებს, ლიპი მას თვალდახუჭული ენდობა და მუდმივად სასტარტოში აყენებს. „მილანელი“ არ ბრწყინავს და ძველებურად ეფექტური ველარ არის შეტევებში, მაგრამ სტაბილურია და ფლანგის აწიოკების უფლებას არავის მისცემს. მარცხენა ფლანგზე ლიპის ორი კანდიდატურა ჰყავს: **ფაბიო გროსო** და **ანდრეა დოსენა**. მაესტრო სავარაუდოდ ლიონელზე შეაჩერებს არჩევანს და სწორედ მას დააყენებს ძირითადში. ფაბიო ბოლო დროს ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობს და თითქოს ძველ ფორმას იბრუნებს. ლიპი მას მაშინაც კი ენდობოდა, როდესაც გუნდში საქმეები მთლად კარგად ვერ მისდიოდა და ბუნებრივია, ახლა მის მიმართ ნდობა კიდევ უფრო დიდია. კარგ ფორმაშია დოსენაც და შესაძლოა, გარკვეული დროით მასაც მოუწიოს თამაშმა, თანაც შეხვედრა ხომ მისთვის ასე კარგად ნაცნობ ინგლისურ გარემოში გაიმართება.

დაცვის ცენტრში **ფაბიო კანავარო** უალტერნატივოა და მისი ძირითადში ყოფნის საკითხი არც კი განიხილება. კაპიტანი „ემირით სთედიუმზე“ აუცილებლად გაუძღვება გუნდს. ფაბიოს მეწყვილე კი ალბათ **ნიკოლა ლეგროტალიე** იქნება. „იუვენტუსის“ უკანახაზელი ბოლო დროს შესანიშნავად ათამაშდა და ეს რამდენჯერმე **კლაუდიო რანიერიმაც** აღნიშნა. თუნდაც, ეს სიტყვები რად ღირს:

*„საკადრო პრობლემები არ გველევა და ეს ძალიან გვირთულებს საქმეს. მადლობა იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ჯანმრთელად არიან და მოედანზე დიდ სამუშაოს ასრულებენ. გამოვყოფ ლეგროტალიეს, ვინაც კიელინის დაშავების შემდეგ, ლიდერის როლი იკისრა. ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებს დაცვის ცენტრში და რომ არა მისი ასეთი თამაში, „ცხოვრება“ გაცილებით გაგვირთულდებოდა“.*

ერთი სიტყვით, ნიკოლა კარგ ფორმაშია და წესით სასტარტოშიც უნდა ვიხილოთ. სათადარიგოზე რჩებიან **ალესანდრო გამბერინი** და **დანიელე ბონერა**. ამ უკანასკნელის გამოძახება აპენინებზე ბევრს გაუკვირდა კიდეც, რადგან დანიელე სასურველი ფორმისგან შორსაა და ეს „მილანის“ ბოლო შეხვედრებმაც დაადასტურა. თუნდაც, სულ ბოლო, „რეჯინასთან“ ჯახი გავიხსენოთ - ბონერამ“ ძალიან არადამაჯერებლად ითამაშა და პრესისგან დაბალი შეფასებაც დაიმსახურა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ბონერას მოედანზე გასვლის შანსი ფაქტობრივად მიზერულია, რადგან ის ძაბროტას დუბლიორის რანგში გაემგზავრება ლონდონში. ალბათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება თამაშში, თუ ჯანლუკას ჯანმრთელობასთან შეექმნება პრობლემები.

„გაძეტას“ ვარაუდით, ნახევარდაცვაში სამი ფეხბურთელი ერთ ხაზზე განლაგდება, პლუს ორი გარემარბი და ერთი გამოკვეთილი ფორვარდი. ვილებთ ტაქტიკას, რომელიც ლიპის ყველაზე მეტად უყვარს: 4-3-2-1. საყრდენად წესით **ანდრეა პირლო** უნდა ვიხილოთ, ვინც ჯიჯის მსგავსად დაშავებული გახლდათ და რამდენიმე სანაკრებო პაექრობის გამოტოვება მოუხდა. მის არყოფნაში, ცენტრში მუდმივად **დე როსი** თამაშობდა და საქმეს თავს კარგადაც ართმევდა. დანიელე ამჯერად ოდნავ მარცხნივ გადაიწევს და იქიდან შეეცდება გუნდისთვის სასარგებლო საქმის კეთებას. მარჯვენა მხარეს სავარაუდოდ კიდევ ერთი რომაელი, **სიმონე პეროტა** გამაგრდება და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ძველებურად შეუცვლელი აღარ არის „ჯალოროსიში“. სათადარიგოზე რჩებიან **რიკარდო მონტოლივო**, **ალბერტო აკვილანი** და **სიმონე პეპე**.

რაც შეეხება გარემარბებს, აქ **ანტონიო დი ნატალე** უალტერნატივოა. უდინელი მისთვის ჩვეულ მარცხენა ფრთას დაიკავებს და შეეცდება ააწიოკოს კიდეც, რადგან მისი პირდაპირი მოვალეობა სწორედ ეს გახლავთ. როგორც ჩანს, **რობერტო დონადონის** მსგავსად „ტოტოს“ ლიპიც ენდობა და მასზე უარის თქმას არ აპირებს. მარჯვენა ფლანგიდან კი სავარაუდოდ **მაურო კამორანეზი** იმოქმედებს. იუვენტინოს ნახევარმცველების დახმარებაც დაევალება და ამ გზით, მაესტრო იდეალური ბალანსის დაჭერას შეეცდება. ასე რომ, თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ 4-3-2-1 ძალიან მარტივად შეიძლება გადაეწყოს 4-4-2-ად. შესაძლოა, ძაღლის თავი სწორედ აქ იყოს დამარხული. ასეთ შემთხვევაში კამორანეზი მარჯვენა ნახევარმცველის ადგილს დაიკავებს, პეროტა ცენტრში შეიწევს და წინ ორი თავდამსხმელი დაგვრჩება, - დი ნატალე და სავარაუდოდ **ლუკა ტონი**.

აი, აქ კი ლიპის მართლაც დიდი არჩევანი აქვს. თავად განსაჯეთ: **ვინჩენცო იაკვინტა, ჯუზეპე როსი, ფაბიო კვალიარელა, ალბერტო ჯილარდინო**. სწორედ ეს უკანასკნელია „ბაიერნელის“ უპირველესი კონკურენტი და „გაძეტას“ ჟურნალისტები ნამდვილად არ გამორიცხავენ, რომ ძირითადში ფლორენციელი მოხვდეს. ჯილა კარგ ფორმაშია და ეს ბოლო ტურშიც დაადასტურა, როდესაც „ნაპოლის“ გამარჯვების გოლი გაუტანა. მოედანზე გამოჩენის ნაკლები შანსი აქვთ კვალიარელას და იაკვინტას, აი, როსის კი წესით, უნდა მიეცეს თავის გამოჩენის საშუალება. ახალგაზრდა იტალიელი „ვილიარეალში“ შესანიშნავ სეზონს ატარებს და გუნდის წარმატებებში ლომის წილი მიუძღვის.

მოკლედ, „გაძეტა დელლო სპორტის“ ვერსიით, იტალიის ნაკრები ბრაზილიას ამ შემადგენლობით დაუპირისპირდება: **ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, ლეგროტალიე, გროსო, პეროტა, პირლო, დე როსი, კამორანეზი, დი ნატალე, ტონი**. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ, გამართლდება თუ არა ყველაზე ავტორიტეტული იტალიური სპორტული გამოცემის პროგნოზი.

**ლაშა წიკლაური**

ვერდერი

# შააფს სინდისი აწუხებს

## მიუხედავად კრიზისისა, მწვრთნელი ხელშეუხებელიაო

ბრემენის „ვერდერი“ გერმანულ გრანდად ჩამოყალიბდა და ბოლო წლებში მინიმუმ სამეულში ხვდებოდა. „მუსიკოსებს“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც ჩვეულებად ექცათ და ერთი სიტყვით, „ვერდერი“ ბუნდესლიგაში „ბაიერნის“ ნომერ პირველი კონკურენტი გახდა. წელს კი ვითარება კარდინალურად შეცვლილია. ყველასათვის მოულოდნელად, „მუსიკოსები“ ველარც თავზე ხელაღებულ ფეხბურთს თამაშობენ (5:0 და 6:1 ამ გუნდისთვის დამახასიათებელი ანგარიშები იყო) და რაც მთავარია, შედეგიც მკვეთრად გააუარესეს, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ დღეს, სეზონის დაწყებიდან 19 ტურის შემდეგ **თომას შააფის** გუნდი მე-10 ადგილზეა. მოკლედ, „ვერდერი“ ველარ ვერდერობს და მიუხედავად ამისა, გუნდის ბოსი **კლაუს ალოფსი** მთავარ მწვრთნელს მაინც ნდობას უცხადებს - სპორტული დირექტორი შააფის შესაძლებლობებს ეჭვქვეშ არ აყენებს.

შაბათს „მუსიკოსები“ ისევ დამარცხდნენ („შალკესთან“ 0:1) და გუნდის კაპიტანმა **ფრანკ ბაუმანმა** საფინალო სასტვენის შემდეგ თქვა, **ოტო რეჰაგელმა** თავის დროზე „ვერდერში“ 14 წელი იმუშავა და კარგად გაიხსენეთ, არც მის ხელში იყო გუნდი მუდმივად საუკეთესო სამეულშიო. არადა, მაშინ სხვა დრო იყო, „ვერდერს“ ყოველ წელს ჩემპიონობას არავინ სთხოვდა. ახლა კი, ზედიზედ რამდენიმე სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლის შემდეგ, ფანებს მადა მოემატათ და ნამდვილად აღარ ხიბლავთ ისეთი „ვერდერი“, რომელიც სატურნირო ცხრილის შუაში იქნება და „არც იქით, არც აქეთ“ დევიზით ითამაშებს. 10 წელია, შააფი ბრემენულ კლუბს თავკაცობს და შეიძლება ითქვას, რომ წელს პირველად არის საგონებელში ჩავარდნილი. მას ერთგვარი იმუნიტეტი აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შექმნილი პრობლემა თვითონ 47 წლის სპეციალისტს არ აწუხებს. როცა იცი, რომ მიუხედავად წარუმატებლობისა, მაინც გენდობიან, გაცილებით რთულია მუშაობა და თომასსაც, ასე ვთქვათ, სინდისი აწუხებს.

ასეთ დროს შააფისთვის ნდობის გამოცხადება ალოფსის პრინციპი არ არის და მისივე თქმით, ეს არც იმას ნიშნავს, რომ შააფი ხელშეუხებელი არაა. კლაუსი უბრალოდ დარწმუნებულია, რომ თომასი ჯერ კიდევ ის მწვრთნელია, რომელიც „ვერდერს“ უნდა ედგას სათავეში. ასე რომ, შააფს ამ ეტაპზე სამსახურის დაკარგვის არ უნდა ეშინოდეს.

**გოტფრიდ ლენცი**



თომას შააფი საგონებელშია



გერმანიის ნაკრები

ინტერვიუ მესუთ იოზილთან



თურქი იოზილი გაგერმანელდა

# თურქი ვარ, მაგრამ გერმანია მირჩევნია!

## მესუთს სამშობლოში აღარ ჩაესვლება, თუმცა არც სურვილი კლავს

**თურქეთში** მესუთ იოზილის სახელის გაგონება აღარ უნდათ. მიზეზი მარტივია: 20 წლის ნახევარმცველმა სამშობლოს სახელით თამაშს, გერმანიის ნაკრებში თამაში არჩია. არადა, თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფატიჰ თერიმი მზად იყო, რომ იოზილი გადაებირებინა. მაგრამ მესუთმა უპირატესობა გერმანიას მიანიჭა. „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში თურქი ნახევარმცველი შეეცადა აეხსნა, რატომ მოიქცა ასე.

**- ჰერ იოზილ, ახლოვდება დღე, როცა გერმანიის ეროვნულ ნაკრებში დებიუტი გექნებათ...**

- ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია ამ დღის მოახლოება. ბედნიერი ვარ, რომ იოახიმ ლიოვმა გამომიძახა.

**- რამდენად რთული იყო თქვენთვის ამ გადაწყვეტილების მიღება?**

- ძალიან რთული იყო. თუ გახსოვთ, თურქეთის ნაკრებში 2008 წლის სექტემბერშიც მეპატიჟებოდნენ და მაშინ გადაწყვეტილება გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების სასარგებლოდ მივიღე. მას მერე თურქეთიდან უფრო და უფრო ინტენსიურად მიკავშირდებოდნენ.

**- რატომ არ მოდიოდა ინიციატივა თქვენგან, გეთამაშათ გერმანიის ნაკრებში?**

- როდესაც გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებებში ვთამაშობდი, ყოველთვის მქონდა თურქებისგან შემოთავაზებები. გერმანიის ეროვნულ ნაკრებში კი არ მეპატიჟებოდნენ. ასე რომ, ჩემი მხრიდან რომ წამოსულიყო ინიციატივა, ისე გამოვიდოდა, თითქოს თვითონ ვიბრძოდი ბუნდესგუნდისთვის.

**- რამდენად რთულია სამშობლოს ნაკრებზე უარის თქმა, თქვენ ხომ თურქი ხართ?**

- ბოლო კვირების განმავლობაში მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი და საკუთარ თავს მუდმივად ერთ კითხვას ვუსვამდი: თურქეთი თუ გერმანია. მაგრამ ყოველთვის ერთი პასუხი მქონდა: გადაწყვეტილება გერმანიის სასარგებლოდ უნდა მიმეღო. მე გერმანიაში დავიბადე და ფეხბურთის თამაშიც აქ ვისწავლე. დიახ, მე თურქული ფესვები მაქვს და თურქი ვარ, მაგრამ მხოლოდ წარმოშობით. გერმანიაში დავიბადე და გავიზარდე, გერმანიასთან იდეალურად ვარ იდენტიფიცირებული. როცა არჩევანის წინაშე დავდექი, მივხვდი, რომ გერმანიის სახელით უნდა მეთამაშა და არა თურქეთის. ლიოვი რეგულარულად მიკავშირდებოდა, დროც მომცა მოსაფიქრებლად, მაგრამ სიმართლე გითხრათ, იმ დროს გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა.

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი მათიას ზამერი სხვა ეროვნების ფეხბურთელების გერმანიის ნაკრებში ინტეგრაციის საკითხს უდიდესი სიფრთხილით ეკიდება. ის ითხოვს, რომ ასეთი ფეხბურთელი 100 პროცენტით იყოს გერმანიასთან იდენტიფიცირებული.**

- გერმანიის 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებში ვთამაშობდი, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამერის და საერთოდ, მთელი საფეხბურთო გერმანიის მოთხოვნებს 100 პროცენტით ვაკმაყოფილებ.

**- როგორი რეაქცია ჰქონდათ თურქეთში თქვენს გადაწყვეტილებაზე? ალბათ, ბევრი გაგინაწყენდათ.**

- ჯერჯერობით პირადად ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ნაწყენია. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ბევრს გავანაწყენებდი. თურქი ქომაგები ალბათ ძალიან მიჯავრდებიან. სხვათა შორის, ბევრი წერილი მივიღე გერმანიაში მცხოვრები თურქებისგან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მათგანი პოლიტიკოსია.

**- როგორ ცდილობდნენ თურქები თქვენს დათანხმებას?**

- ჰალილ და ჰამით ალთინთოფები ყოველდღე მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, რომ თერიმს ჩემი გამოძახება ძალიან უნდოდა. გადმომცეს მისი სიტყვები, აუცილებლად თურქეთისთვის უნდა ითამაშო, ეს შენი სამშობლოაო. თუმცა ჰამითს და ჰალილს არასდროს უცდიათ ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა. სექტემბერში ჩემმა აგენტმა თერიმს უთხრა, მესუთს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში დარჩენა უნდაო. ერთი სიტყვით, დიდი მადლობელი ვარ თურქეთის იმის გამო, რომ ასეთი მონდომებით ცდილობდნენ ჩემს დათანხმებას. ამავდროულად, მინდა ყველა თურქს ვთხოვო, გაგებით მოეკიდოს ჩემს გადაწყვეტილებას.

**- თურქეთში ამბობდნენ, იოზილს გერმანიის ნაკრებში მაინც არ ათამაშებენ, იმიტომ, რომ თურქია და ურჩევნია თურქეთის ნაკრებში ითამაშოს, სადაც ყველა დააფასებსო. როგორ ფიქრობთ, ახლოსაა სიმართლესთან ეს მოსაზრება?**

- ასეთი განცხადებები არ მაინტერესებს. ვიცი, რომ თუ კარგად ვითამაშებ და თავს არ დავზოგავ, არსად არავინ დამჩაგრავს.

**- გერმანიის ნაკრებში რა პერსპექტივას ხედავთ?**

- თუკი „ვერდერში" რეგულარულად ვითამაშებ, მოვინდომებ და კარგ ფორმაში ვიქნები, თუკი პროგრესს არ შევწყვეტ, მაშინ ძალიან კარგი შანსი მაქვს, რომ ბუნდესგუნდში ადგილი დავიმკვიდრო. ვფიქრობ, დანარჩენზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**- რა მიზნები გაქვთ გერმანიის ნაკრებთან ერთად?**

- პირველ რიგში, ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ გუნდში ადგილი დავიმკვიდრო. მე ნახევარდაცვის ცენტრში, შემტევ შუამარბად მირჩევნია თამაში, მაგრამ საბოლოოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, რომელ პოზიციაზე ვიასპარეზებ. წინ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატია, რომელსაც მოუთმენლად ველი.

**- გერმანიის ნაკრებში უფრო იოლია ტიტულების მოგება, ვიდრე თურქეთისაში?**

- ამ ფაქტორს გადაწყვეტილების მიღებისას არანაირი როლი არ უთამაშია.

**- „შალკედან" „ვერდერში" თქვენს ტრანსფერს სერიოზული სკანდალი მოჰყვა. ყველაფერი მოგვარდა?**

- რა თქმა უნდა, მე დიდად არც მინერვიულია. „შალკესაც" ძალიან ვემადლიერები, მე ხომ ამ გუნდში გავიზარდე. მაგრამ ფაქტია, რომ „ვერდერში" უფრო დამაფასეს. თომას შააფმა თავიდანვე ნდობა გამომიცხადა და მისი მადლიერი ვარ.

**- „ვერდერი" სერიოზულ კრიზისშია...**

- დარწმუნებული ვარ, რომ გამოვსწორდებით. „შალკესთან" მხოლოდ იმიტომ წავაგეთ, რომ შანსები ვერ გამოვიყენეთ. „ვერდერი" ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე მაინც არ დარჩება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# ზე რობერტო რჩება!

## ვან ბომელი კი ტიმოშჩუკს ემუქრება

**სეზონის** დაწყებამდე „ბაიერნის" ბრაზილიელ ნახევარმცველ **ზე რობერტოს** წელს კარიერის დასრულება თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ვეტერანი შუამარბი ამბობდა, თუ ბუცებს ლურსმანზე არ დავკიდებ, „ბაიერნში" მაინც აღარ დავრჩები და სამშობლოში წავალო. არა იმიტომ, რომ მიუნხენში თავს ცუდად გრძნობდა, არამედ იმის გამო, რომ ფიქრობდა, ველარ გავქაჩავო. მაგრამ ზე რობერტო მიმდინარე სეზონს იმდენად კარგად ატარებს, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა კონტრაქტის მინიმუმ ერთი წლით გახანგრძლივება სთხოვეს. როგორც „კიკერი" იტყობინება, ბრაზილიელი თანახმაა, რეკორდმაისტერში დარჩეს.

ზე რობერტო კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს, რასაც თვითონაც აღიარებს და ჟურნალისტებიც მუდმივად ამას წერენ. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ბავარიელები 34 წლის ნახევარმცველს კონტრაქტს უგრძელებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ახალი ხელშეკრულება თებერვალშივე უნდა გაფორმდეს. *„ჩემი ოჯახი მიუნხენში თავს იდეალურად გრძნობს. „ბაიერნიდან" წასვლაზე მხოლოდ იმიტომ ვფიქრობდი, რომ მეგონა, უმაღლეს დონეზე თამაშს ველარ შევძლებდი. მაგრამ ამ სეზონმა დამანახვა, რომ ეს ჯერ კიდევ შემიძლია,"* - აცხადებს ზე რობერტო „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში. მიმდინარე სეზონში მას 17 თამაშში 3 გოლი და 6 საგოლე პასი აქვს.

რაკი ზეს კონტრაქტს უხანგრძლივებენ, ცხადი ხდება, რომ **მარკ ვან ბომელს** მიუნხენიდან წასვლა მოუწევს, რადგან მომავალ სეზონში ჰოლანდიელი ბრაზილიელის კონკურენტი იქნება. წელს ისინი ერთად თამაშობენ, მაგრამ როგორც იცით, ზაფხულში „ბაიერნში" უკრაინელი **ანატოლი ტიმოშჩუკი** გადავა, რომელსაც სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ექნება.

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბავარიელებმა ვან ბომელს კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ ეს უკანასკნელი უარზეა - მინიმუმ ორწლიანი ხელშეკრულება მინდაო, თანაც, სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიით, რაზეც „ბაიერნის" შეფები უარს ეუბნებიან, რაც სულაც არაა გასაკვირი. შაბათს, ბავარიული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** თქვა, ვან ბომელთან დაკავშირებით ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილიო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰოლანდიელი მისთვის სასურველ გარანტიებს მიიღებს. ამასობაში, ვან ბომელი უკვე ემუქრება ტიმოშჩუკს: *„ტიმოშჩუკი კარგი ფეხბურთელია, მებრძოლი და თავდადებული. ასეთები „ბაიერნს" ძალიან სჭირდება, მაგრამ თუკი მას ჩემი ადგილი უნდა, პირდაპირ ვეტყვი, დაივიწყოს! თუ „ბაიერნში" დავრჩი, ძირითადი შემადგენლობიდან 10 ტიმოშჩუკიც ვერ ამომაგდებს!"*

თუმცაღა, მარკს „ჰამბურგიც" ეპატიჟება, სადაც მთავარი მწვრთნელი მისი თანამემამულე **მარტინ იოლია** და მისი დაბრუნება „პსვ ეინდჰოვენსაც" უნდა. ამ გუნდში ვან ბომელი 1999 და 2005 წლებს შორის თამაშობდა, ოთხჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და ორჯერ დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად.




34 წლის ზე რობერტო ბაიერნთან კონტრაქტს აგრძელებს

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამპდორია

# გენუური ფეხბურთის ნათლიმამა

## ერთადერთი, რაც ცხოვრებაში არასდროს უნანია...

2004 წლის 6 ივლისს გენუის ადმინისტრაციამ მიიღო მეტად უცნაური გადაწყვეტილება - ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას **პაოლო მანტოვანის** პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა. გასაკვირი ერთადერთი რამ იყო. სინიორ პაოლოს გარდაცვალებიდან 15 წელიწადია გასული, იქამდე კი ეს არავის გახსენებია.

*„გადავიყვან გუნდს სერია A-ში და ჩვენ მოვიგებთ სკუდეტოს,“* - განაცხადა კლუბის ახალმა პრეზიდენტმა **პაოლო მანტოვანიმ** 1979 წლის 3 ივლისს. გულშემატკივართა უმეტესობამ მისი სიტყვები არასერიოზულად მიიღო. მაშინდელი „სამპდორიისთვის“ ისტორიაში ყველაზე დიდი მიღწევა მე-5 ადგილი იყო და გულშემატკივართა ყველაზე თამამი ოცნება მხოლოდ ელიტაში დაბრუნებას უკავშირდებოდა. მანტოვანი უკვე ძალზე გავლენიან ბიზნესმენს წარმოადგენდა. მან ფული ნავთობის ბიზნესში იშოვა, თანაც საკმაოდ სწრაფად. არადა, კარიერა ერთი ჩვეულებრივი მუშის რანგში დაიწყო.

ცვლილებები კლუბში მომენტალურად მოხდა. თავდაპირველად მანტოვანი და მისი „ახირებული“ იდეები გულშემატკივართა შორის ძალზე არაპოპულარული იყო - ერთი წლის ინტერვალით გუნდი დატოვეს ისეთმა ავტორიტეტულმა პერსონებმა, როგორებიც იყვნენ **მარჩელო ლიპი და ლუჩანო კიარუჯი**, მათ ადგილას კი ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები მოვიდნენ. 1979 წლის ნოემბერში გუნდმა მოულოდნელად დათმო შეხვედრა უსახელო „მატერესთან“, რის გამოც თანამდებობა დატოვა **ლამბერტო გიორგისმა**. მის ნაცვლად კი „სამპში“ **ლაურო ტონეატო** მოვიდა. ფანები ვერც ამ საკადრო გადაადგილების აზრს ჩასწვდნენ, რის გამოც მანტოვანისთან ურთიერთობა დაეძაბათ. ტონეატოს ნაცვლად მალე გუნდი **ენცო რიკომინიმ** ჩაიბარა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ნელ-ნელა პროგრესირებდა, მუშაობა არც ამ უკანასკნელს დასცალდა. „სამპდორია“ მალე **რენცო ულივიერის** ჩააბარეს. 1981/82 წლების სეზონი ულივიერის გუნდმა ალმავლობით ჩაატარა და წლების ოცნება, სერია A-ს საგზური გაინაღდა. მანტოვანის მიერ დასახული ერთ-ერთი მიზანი ასრულებული იყო, მეორემდე კი ჯერ კიდევ წლები რჩებოდა. რა თქმა უნდა, მაღალ დონეზე თამაშის, ახალი, ამბიციური მიზნების მისაღწევად გუნდს გაძლიერება სჭირდებოდა. „სამპმა“ გადაიბირა 17 წლის **ლუკა პელეგრინი** (ვარეზედან), 22 წლის **პიეტრო ვერხოვოდი** (კომოდან) და 18 წლის **ფაუსტო სალსადო**. პელეგრინი და სალსადო გუნდმა გამოცდილების მისაღებად სხვა გუნდებში გაუშვა იჯარით, უკრაინული ფესვების ვერხოვოდი კი გუნდში დაიტოვა. ამას გარდა 1982 წლის ზაფხულში გუნდში მივიდნენ ნახევარმცველი **ფრანჩესკო კასაგრანდე**, „იუვეში“ **მიშელ პლატინის** მიერ შევიწროებული ირლანდიელი **ლაიამ ბრეიდი**, ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი **ტრევორ ფრენსისი** და რაც მთავარია, სერია B-ში დაქვეითებული „ბოლონიიდან“ მანტოვანიმ 17 წლის ფენომენი **რობერტო მანჩინი** შეიძინა.

დებიუტანტს სერია A-ს კალენდრის სასტარტო მონაკვეთი უმძიმეს გამოცდას ჰპირდებოდა: გუნდს ზედიზედ „იუვენტუსის“, „ინტერისა“ და „რომას“ წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. ულივიერის ბიჭები არ შედრკნენ - მათ სამივე გრანდი ბეჭებზე გააკრეს. *„დიდი ხნის განმავლობაში ბედი არ გვწყალობდა. სამაგიეროდ, ის ახლა გვიბრუნებს ვალს. დაე, ყველამ გაგვიწიოს ანგარიში,“* - პრესას სიამაყით განუცხადა პაოლო მანტოვანიმ. რა თქმა უნდა, „სამპმა“ ვერ მოახერხა აღებული ტემპის შენარჩუნება, მაგრამ მაინც ძალზე სიმპათიური და რაც მთავარია, ანგარიშგასაწევი გუნდის სახელი მოიპოვა. საბოლოოდ მე-7 ადგილი დაიკავა, ჩამორჩა რა ჩემპიონ „რომას“ 11 ქულით. 1983/84 წლების სეზონში გუნდი იმეორებს წარმატებას - ისევ მე-7 ადგილი. ჩემპიონთან ჩამორჩენამ ისევ 11 ქულა შეადგინა. განსხვავება ერთი იყო: ამჯერად პირველი ადგილი „იუვენტუსმა“ დაიკავა.

1984 წელს „სამპდორიამ“ კიდევ ორი უნიჭიერესი ფეხბურთელი გადაიბირა. 22 წლის **მორენო მანინი** „კომოდან“ და 20 წლის **ჯანლუკა ვიალი** „კრემონეზედან“. რაც მთავარია, გენუელებმა ევროპული მასშტაბის ვარსკვლავი დაიბვეს - ჩემპიონთა ლიგის მომგები „ლივერპულიდან“ 650 ათას გირვანქად **გრემ საუნესი** შეიძინეს. გაითვალისწინეთ, რომ სინიორ პაოლო გუნდზე ზრუნვას მაშინაც კი არ წყვეტდა, როცა მასზე იტალიელმა სამართალდამცავებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ბრალად ფულის გათეთრება დასდეს. ის იძულებული იყო, კარაბინერებს ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში დამალვოდა. 1985 წელს სასამართლომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე შეწყვიტა, რისი წყალობითაც სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა.

1984/85 წლების სეზონი იტალიის ჩემპიონატის ისტორიაში ალბათ ყველაზე უცნაური იყო. ჩემპიონობა „ვერონამ“ დამაჯერებლად მოიგო, გუნდმა, რომელსაც შემადგენლობაში ორადორი ვარსკვლავი ჰყავდა - **პრებენ ელკიაერი და ჰანს-პეტერ ბრიგელი. რობერტო ტრიჩელა, პიეტრო ფანა, ანტონიო დი ჯენარო, ჯუზეპე გალდერიზი** და მთავარი მწვრთნელი **ოსვალდო ბანიოლი** კი არ იყვნენ და დიდად ავტორიტეტული პერსონები ვერც მას მერე გახდნენ. „სამპდორია“ **ეუჯენიო ბორზელინის** ხელმძღვანელობით მე-4 ადგილზე გავიდა - უკან მოიტოვა „მილანი“, „იუვენტუსი“, „რომა“ და თვით **დიეგო მარადონას** „ნაპოლი“. „სამპი“ ჩემპიონობას ვერა, მაგრამ ვიალისა და მანჩინის გოლებით იტალიის თასს კი შესწვდა. ეს გუნდისთვის პირველი ტიტული იყო კარიერაში. იმავე ბორზელინის ხელმძღვანელობით გენუელებმა შემდეგი სეზონი ცუდად ჩაატარეს. გუნდის თავკაცი ცხრილში მე-11 ადგილს შეეწირა. წარუმატებელი გამოდგა გუნდის დებიუტიც ევროთასებზე - „ბენფიკამ“ ორი შეხვედრის ჯამში 2:1 დაამარცხა აპენინელები. ბორზელინისთან ერთად გუნდი დატოვეს საუნესმა, ფრენსისმა, **სკანციანიმ, მატეოლიმ** და **ბორდონმა**. სამაგიეროდ მანტოვანიმ უაღრესად საინტერესო ფეხბურთელები გადაიბირა: ჰანს-პეტერ ბრიგელი, **ტონინიო სერეზო, ჯანლუკა პალიუკა**. „სამპი“ ზეგამოცდილმა იუგოსლავიელმა **ვუიადინ ბოშკოვმა** ჩაიბარა. მნიშვნელოვანი იყო გამარჯვება მინდორს მიღმა ბრძოლაშიც: „როსონერის“ ამბიციურ პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონის** ჯანლუკა ვიალით „მილანის“ გაძლიერება მთელი სულითა და გულით უნდოდა. მანტოვანის თანხმობა უკვე ნათქვამი ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთელმა თქვა ისეთი ფრაზა, რომელსაც დღევანდელ ფეხბურთში იშვიათად თუ მოისმენთ: *„პრეზიდენტისა და კლუბის სიყვარულის გამო „სამპდორიაში“ ვრჩები“*. მაშინდელი „სამპისთვის“ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ალბათ ძნელად თუ გაიხსენებთ კლუბს, სადაც ფეხბურთელებს საკუთარი პრეზიდენტი ასე ჰყვარებოდათ. მოთამაშეები სინიორ პაოლოს მეორე მამას უწოდებდნენ.

სწორედ ამ პერიოდიდან გუნდის საქმეები ნელ-ნელა ლაგდება. „სამპმა“ აღიარება მოიპოვა ევროპის მასშტაბითაც, მაგრამ პრეზიდენტის უმთავრესი ოცნება სკუდეტოზე ჯერაც შეუსრულებელი რჩებოდა. 1988/89 წლების სეზონში ბოშკოვის ბიჭები თასების თასის ფინალში გავიდნენ, სადაც „ბარსელონას“ გადაეყარნენ. კატალონიელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ **ხულიო სალინასისა** და **ლოპეს რეკარტეს** გოლებით 2:0 იმარჯვეს. „სამპდორიამ“ მომდევნო სეზონშიც მოახერხა იმავე ტურნირის ფინალში გასვლა. „ანდერლეხტთან“ ფინალური შეხვედრის დამატებით დროში ჯანლუკა ვიალიმ დუბლი შეასრულა, რამაც „სამპდორიას“ პირველი სერიოზული ტიტული მოუტანა. მანტოვანისთვის ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ ეს მხოლოდ ჟურნალი იყო, კინო ჯერ კიდევ წინ იყო...

1990/1991 წლების სეზონი გუნდმა ფანტასტიკურად ჩაატარა. უშუალო კონკურენტებს „ინტერსა“ და „მილანს“ ორ-ორი თამაში მოუგო ჩემპიონატში („როსონერი“ 1:0, 2:0. „ნერაძური“ 3:1, 2:0). მანტოვანის სიხარულისგან გულმა ვერ გაუძლო და ინფარქტი დაემართა, თუმცა ყველაფერმა მალე ჩაიარა და ის ჩვეულებრივ ცხოვრებას მალე დაუბრუნდა. ფეხბურთელებმა პირობა დადეს, რომ შემდეგ სეზონშიც გაიმეორებდნენ წარმატებას, მაგრამ სხვა იტალიურ კლუბებს თავიანთი გეგმები ჰქონდათ. 1992 წელს „სამპდორია“ სერია A-ს ცხრილში მე-6 ადგილზე აღმოჩნდა. რაც მთავარია, 20 მაისს გუნდმა დათმო ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა არსებობის ისტორიაში - ჩემპიონთა ლიგის ფინალი. დათმო ისევ და ისევ **იოჰან კრუიფის** „ბარსელონასთან“. 112-ე წუთზე **რონალდ კუმანის** საჯარიმო დარტყმამ ყველანაირი ილუზია დაამსხვრია. მანტოვანი არ იყო გულუბრყვილო ადამიანი. მას ესმოდა, ამ ნაგებით გუნდმა ერთი ციკლი დაასრულა. შემდგომი წარმატებებისთვის ახალი სისხლი იყო საჭირო. ახალი სახეებიც მოვიდნენ: **კორინი, უოკერი, იუგოვიჩი, კიეზა**... მას მერე ისტორია აღარ განმეორებულა.

1993 წლის 14 ოქტომბერს იტალიის დროით 11:40 საათზე გენუის ერთ-ერთ საავადმყოფოში „სამპდორიის“ ნათლიმამის ისტორია საბოლოოდ დასრულდა. მას ისევ და ისევ გულმა უმტყუნა. სენიორ პაოლო გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ამიტომ ანდერძი დატოვა, სადაც ორად-ორი სურვილი გამოთქვა. დაკრძალვის ცერემონიაზე ნიუ ორლეანურ ანსამბლ „ჰერიტიჯ ჰოლ მარჩინგ ბენდს“ უნდა დაეკრა და რაც მთავარია, ოჯახს „სამპდორია“ უნდა გაეყიდა. პირველი სურვილი ადვილად აუსრულეს, მეორეზე მისმა ვაჟმა **ენრიკო მანტოვანიმ** უარი თქვა და ყველაფერი 1999 წლის 23 მაისს სერია B-ს საგზურის ოფიციალურად გაფორმებით დასრულდა.

გენუური ფეხბურთის ნათლიმამაზე თხრობა უპრიანი იქნებოდა მისივე სიტყვებით დაგვესრულებინა: *„ერთადერთი, რასაც ცხოვრებაში არასდროს ვინანებ, ის არის, რომ მე „სამპდორიის“ პრეზიდენტი ვიყავი“*.



სტადიონ ლუიჯი ფერარისს პაოლო მანტოვანის ვეებერთელა სურათი ამშვენებს




მანჩესტერ იუნაიტედი

# ვიდიჩი: იანვრის საუკეთესო ფეხბურთელი

## მანჩესტერში ზეიმზე ფიქრი ნაადრევად მიაჩნიათ...



ნემანია ვიდიჩი

იანვარში, პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად „მანჩესტერ იუნაიტედის“ სერბი მცველი **ნემანია ვიდიჩი** დაასახელეს. გასულ თვეში ჩატარებულ ხუთ შეხვედრაში მან ორი გოლი გაიტანა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ „ალისფერი ეშმაკები“ ნოემბრის აქეთ გოლს არ უშვებენ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის თავის უშუალო მოვალეობასაც შესანიშნავადართმევს თავს. ნემანია თვის ფეხბურთელად კარიერაში პირველად დასახელდა. დასახელდა ასევე თვის მწვრთნელის ვინაობაც. არავის გაუკვირდება თუ ვიტყვით, რომ ეს პატივი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს, სერ **ალექს ფერგიუსონს** დასდეს. მისმა გუნდმა გასულ თვეში ხუთი თამაში მოიგო ბურთების შთამბეჭდავი სხვაობით 11:0-ზე. შოტლანდიელი გენიოსისთვის ეს რიგით 22-ე მსგავსი ტიტულიაო, გვამცნობს პრემიერლიგის ოფიციალური საიტი.

25-ე ტურის მატჩში „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსიმ“ „ჰალ სიტის“ უმასპინძლა და უგოლო 90 წუთის შემდეგ პრემიერლიგის ჩემპიონ „იუნაიტედს“ კიდევ უფრო მეტად დაშორდა. ფერგიუსონმა ამ ფაქტზე მცირე კომენტარი გააკეთა: *„სიმართლე ითქვას, „ჩელსის“ საჩემპიონო რბოლაში დაბრუნება ძალიან გაუჭირდება. ფეხბურთში ყველაფერი ხდება. მაგალითად, 1998 წელს „არსენალს“ 11 ქულით ვუსწრებდით, მაგრამ ბოლოს მაინც მეორე ადგილს დავჯერდით... შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა. ხომ ხედავთ, „ვესტ ჰემთან“ მატჩის ბოლომდე სამი ქულის აღება ეჭვის ქვეშ იდგა. ასე რომ, გარწმუნებთ, ჩვენს გუნდში ზეიმზე ჯერ არავინ ფიქრობს.“*

„ვესტ ჰემთან“ თამაშის დასრულების შემდეგ ფერგიუსონი **ედვინ ვან დერ საარის** სარეკორდო სერიასაც გამოეხმაურა. მწვრთნელის აზრით, ჰოლანდიელი მეკარე პროფესიონალი ფეხბურთელის ეტალონია. შეგახსენებთ, რომ ვან დერ საარს უკვე 14 თამაშია, არ გაუშვია გოლი: *„შეიძლება ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამ შედეგს სულ სხვა თვალით შევხედოთ. "აპტონ პარკზე" თამაში ყოველთვის ძნელია. სქოულზსა და გიგზს შეუძლიათ, ახალგაზრდებს მოუთხრონ ამბავი, როგორ დავკარგეთ 1995 წლის ჩემპიონობა სწორედ ამ სტადიონზე (ბოლო ტურში „ბლექბერნმა“ „ლივერპულთან“ 2:1 წააგო, „მანჩესტერს“ „ჩაქუჩებთან“ გამარჯვების შემთხვევაში ტიტული ჯიბეში ჰქონდა, მაგრამ...). ჯანფრანკო ძოლას მშვენიერი გუნდი ჰყავს. სწორედ ამიტომაა, რომ ჩემი გუნდის მიერ მოპოვებული გამარჯვებით ასე ვამაყობ. ედვინი? ის გამორჩეული მეკარეა. ვან დერ საარი უკვე კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, მაგრამ ასაკის მიუხედავად, განუწყვეტლივ პროგრესირებს. ის პროფესიონალიზმის უიშვიათესი მაგალითია. ძალიან გაგვიმართლა, რომ ის ჩვენი გუნდის ღირსებას იცავს. აქვე, არ შემიძლია მთელი დაცვის ბრწყინვალე თამაში არ აღვნიშნო...“*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

(გაგრძელება)

## 120 დღე ერთი დაკარგული ბურთისთვის

1978 წლის აგვისტო. "ნანსი", რომელიც საფრანგეთის თასზე გამარჯვების წყალობით ჯერ კიდევ დიდების ზენიტში იმყოფება, "ჟოფრუა-გიშარის" სტადიონზე "სენტ ეტიენს" ხვდება, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველა ეროვნულ ტიტულს დაეუფლა, ხოლო 1976 წელს რეიტინგით მეორე ევროპული კლუბი გახდა. ეს გუნდი ფრანგული ფეხბურთის სახეს წარმოადგენს...

სტვენა, რომელიც "ნანსის" მისამართით ისმის...

სტვენა ჩემი გვარის გამოცხადების შემდეგ...

გულშემატკივრები არ მალავენ ორმაგ გრძნობას. ერთი მხრივ, ყველანაირი კომპლექსისგან გათავისუფლებული ახალგაზრდა ვარსკვლავი თამამად ესვრის გამოწვევას ადგილობრივ ვარსკვლავებს, მეორე მხრივ კი სწორედ მისი, როგორც წამყვანი ფეხბურთელის სინდისზეა არგენტინაში საფრანგეთის ნაკრების ფიასკო.

ამის გამო, მატჩის დასაწყისში **კრისტიან ლოპესის** ბუცი ვერ შევამჩნიე. ჩვენ ბურთისთვის ვიბრძვით, რომელიც ეს-ესაა თამაშში შეიყვანეს. ჩვეულებრივი ორთაბრძოლაა. უცებ მინდორზე მოწყვეტით ვეცემი და მარჯვენა ფეხის საშინელ ტკივილს ვგრძნობ.

ლოპესიც გაოგნებულია და ჩემი ტანჯვა-წამების შემხედვარე, ძალიან ნერვიულობს. ის მაშინვე თავის მართლებას იწყებს, ამბობს, რომ უდანაშაულოა. საცოდავი გაუჩერებლივ ერთსა და იმავეს იმეორებს: "მე მას არ მივკარებივარ... არ მივკარებივარ..." მართლაც ასე იყო. ეს მე ავყევი ტრიბუნების პროვოკაციულ სტვენას და კამიკაძესავით ვეცი ბურთს. ვიდეომაგნიტოფონში ხუთჯერ ვნახე ეს ეპიზოდი. ახლა 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ საჭირო არ იყო იმ ბურთს ვცემოდი, რომელიც ლოპესმა ჩაიგდო ხელთ.

მოთამაშეები გარს შემომეხვივნენ.

მთელი სტადიონი გაოგნებულია, გულშემატკივრები დადუმდნენ.

რომ არა მატჩის დასაწყისში ეს საშინელი სტვენა, ალბათ, მე არ მოვინდომებდი შეუძლებლის გაკეთებას. და აი, შედეგიც!

თანაგუნდელები რჩევას მაძლევენ, სწრაფად როგორ უნდა დავძლიო ტკივილი, ისინი მზად არიან პირველი მორალური მხარდაჭერის აღმოსაჩენად. მაგრამ ჩვენს მასაჟისტ **ბერნარ ბონავიას** მზრუნველად ავყავარ ხელში და მოედნის მიღმა მიმათრევს. იმდენად ცუდად ვარ, რომ მომხდარს წესიერად ვერ აღვიქვამ, თითქოს ყველაფერს ბურუსში ვხედავ.

დანარჩენი **მიშელ დენიზომ** მოჰყვა – პრესის იმ ერთ-ერთმა იშვიათმა წარმომადგენელმა, რომელიც ჩემი ნდობით სარგებლობს. მან ყველაფერი კინოფირზე გადაიღო, მოკლემეტრაჟიანი ფილმის სტილში დაამონტაჟა, კადრები კი ყოველკვირეულ FOOT-2-ში დაბეჭდა. იმ "საბრძოლო" ყოველკვირეულში, არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, საკვალიფიკაციო მატჩებით გამოწვეული ეიფორიის დროს რომ დაიბადა. დენიზოს რეპორტაჟში გულისამაჩუყებელი პათეტიკა ხანდახან ნამდვილი წუხილით იცვლებოდა.

აი, როგორ აღწერს დენიზო იმ მოვლენას: *"ვხედავ, როგორ აწვენენ ფერმკრთალ პლატინის საოპერაციო მაგიდაზე და მესმის მისი შეკითხვები: "მითხარით, მართლა ექვსი თვე ვერ ვითამაშებ? თუ სამი? მოტეხილობაა? გულახდილად მითხარით ყველაფერი!".*

*მობილიზებული, წელში გამართული, სერიოზული გამომეტყველების მქონე ბერნარ ბონავია სრულ დუმილს არჩევს. ის ხელს ადებს ტრავმირებულ წვივს, შემდეგ მუხლს: "ვაიმე! - ყვირის პლატინი. – მუხლი ძალიან მტკივა, გავიგონე კიდეც, შიგნით რაღაც გაიბზარა".*

*პლატინის ვერ იცნობთ. შუბლზე, თითქოს ბრილიანტებიაო, ოფლის წვეთებმა დაასხა, თვალები ჩაუცვივდა. თვალებს წამით ხუჭავს და შიშით ელოდება ექიმის საბოლოო განაჩენს. თავს ზემოთ სწევს, დაძაბული უყურებს თავის მარჯვენა წვივს, ცდილობს მასაჟისტის მზერა დაიჭიროს, რათა საქმის რეალური ვითარება გამოიცნოს.*




*ბონავია ცდილობს თვალი არ გაუსწოროს მას. ცხვირს სულ ქვემოთ სწევს. რაღაც ყრუ ხმაური აღწევს გასახდელის ბეტონის კედლებში. ის, როგორც თვითმხილველს, კითხვებს მისვამს და ბოლოს მოკრძალებულად მეუბნება: "კიდევ ერთხელ ვცადოთ?"*

*დიახ, რა თქმა უნდა...*

*პლატინი თავს აქნევს, მაგრამ ძალას იკრებს და ექიმის მოქმედებებს ხელმძღვანელობს: "ჰო, ცოტა ქვემოთ! მანდ შეიძლება ხელის დაჭერა..."*

*ბონავია მარჯვენა წვივის მოტეხილობას ვარაუდობს. საშინელი დარტყმა. ეს სერიოზული ტრავმაა.*

*36-ე წუთი. ჩვენ ზემოთ ტრიბუნებზე ისევ ყვირილი ისმის, ოღონდ ხმამაღალი არა, მაგრამ ის მაინც გამოხატავს გულშემატკივრების ენთუზიაზმს. კურბელოს ("ნანსი") გოლი გააქვს. დიქტორი ამას მიკროფონში აცხადებს. მე ვიმეორებ ინფორმაციას, მაგრამ პლატინი არ მისმენს. ის თავის ტკივილში ბოლომდე ჩაფლულია და მხოლოდ ამ ტრავმის სავარაუდო გამოვლინებებზე ფიქრობს.*

*მას ხომ ხუთი წლის წინაც მოტყდა წვივი, მაგრამ მაშინ, ჯერ კიდევ იუნიორს მარცხენა ფეხმა უმტყუნა. ის სინანულით იხსენებს მაშინდელ სამთვიან პაუზას. უცებ გაიფიქრა: სამთვიანი უქმობა ხაზს გადაუსვამს ჟენევის "სერვეტისა" და "ნანსის" მატჩში მონაწილეობას, არადა, ეს მისი გუნდის პირველი მატჩია ევროპულ სარბიელზე. ასევე აღარ უნდა იფიქროს მან საფრანგეთის ნაკრების მატჩებზე "ანდერლეხტისა" და შვედეთის ნაკრებებს შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, ზამთრამდე არანაირი ფეხბურთი.*

*"სასწრაფო დახმარების" მანქანა "დიდების ეზოში" შევიდა.*

*მიმართულება – უახლოესი კლინიკა.*

*რაც შეიძლება სწრაფად.*

*- ალბათ, ფეხბურთისთვის აღარ ვივარგებ, - ჩურჩულებს პლატინი.*

*- ამაზე ნუ ფიქრობ, - პასუხობს ბონავია. – უპირველეს ყოვლისა, ყველაფერს მუქ ფერებში ნუ შეხედავ, ამაღლებული განწყობა შეინარჩუნე. რენტგენის შედეგებს დაველოდოთ.*

*საყოველთაო გაოგნება: სენტ ეტიენში გადაღებული რენტგენოგრამა არაფერს აჩვენებს, ერთ ბზარსაც კი! და მხოლოდ ნანსიში, დილის სამ საათზე ვიგებთ სიმართლეს: წვივის სამმაგი მოტეხილობა! პლატინი სენტ ეტიენს თაბაშირში ტოვებს. ნანსიში კიდევ ერთხელ ადებენ თაბაშირს, რომელიც 45 დღე უნდა ატაროს. შემდეგ დაიწყება ფეხის დამუშავება. პლატინი მოედანზე დაბრუნებას ორი-სამი თვის შემდეგ შეძლებს. იმ დროისთვის პუბლიკას ის ცოტათი მიავიწყდება და თუ ამ ყველაფერს სწორედ ამ კუთხით შევხედავთ, ეს მისთვის უკეთესი იქნება"...*

გაზეთი FOOT-2 ბედის ამ საშინელ დარტყმას ბრწყინვალე სათაურით ეხმიანება: "120 დღე ერთი დაკარგული ბურთისთვის".

120 დღე: შეიძლება ეს არც ისე დიდი დროა კარიერაში, რომელიც 10-15 წელი გრძელდება. სამაგიეროდ, ხანგრძლივი პერიოდია ერთი სეზონისთვის, რომელიც სულ რაღაც ცხრა თვე მიმდინარეობს.

გარდა ყველაფრისა, ეს მძიმე ფიზიკური გამოცდაცაა: პირველი დარტყმისგან მიღებული ტკივილი, ოპერაციის შემდგომი ტკივილი და სარეაბილიტაციო და აღდგენითი ვარჯიშების ტკივილი...

მორალური თვალსაზრისითაც მძიმეა. ახლობლების ემოციური მხარდაჭერის, მთელი ოჯახის მუდმივი მზრუნველობის, მეგობრების ვიზიტების, სატელეფონო ზარების მიუხედავად, მუდმივად მძიმე მდგომარეობაში ვვარდებოდი და საკუთარ თავს კითხვას ვუსვამდი: *"შევძლებ თუ არა ისევ თამაშს?"* მეორე საკითხიც მაწუხებდა: *"შევძლებ კი საუკეთესო ფორმის აღდგენას?"*

ჩემთვის ეს კოშმარი მთელი შემოდგომა გაგრძელდება. კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ მთელი დღე მშობლებთან გავატარე, შემდეგ მეუღლემ - **კრისტელმა** მთებში, თავის სახლში წამიყვანა. იქ ყოფნის პროგრამა იყო – დასვენება, დასვენება და კიდევ ერთხელ დასვენება...

ორი თვის შემდეგ თაბაშირი მომხსნეს. რენტგენოგრამა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, მაგრამ პროფესორმა **გუმერმა** შემაშინა: *"უნდა დავიცადოთ და დავრწმუნდეთ, ყველაფერი სწორად არის თუ არა შეზრდილი"*. მთლიანად გამოჯანმრთელებული მეგონა ჩემი თავი, მაგრამ იძულებული ვიყავი ფეხის დამუშავებაზე მის რჩევებს მივყოლოდი. ჯერ ინდივიდუალური ვარჯიშები დავიწყე, შემდეგ "ნანსიში" გავაგრძელე კურსი. როგორც იქნა მიწაზე ფეხი დავდგი, სიარული დავიწყე და პირველი გარბენიც გავაკეთე...

ფეხზე დადგომის შემდეგ, ყავარჯნები სხვებს გადავეცი, ჩემსავით უილბლოებს და ვიგრძენი, რომ ვარჯიშებზე ნორმალური სუნთქვა დამიბრუნდა. დავიწყე აღდგენითი პროცესი ფეხბურთში დასაბრუნებლად.

საბოლოოდ, მინდორზე ნახევარი სეზონი გავატარე. ქვეყნის ჩემპიონატში 19 მატჩში 12 გოლი გავიტანე, სამი გოლი – საფრანგეთის თასის ხუთ შეხვედრაში და ორჯერ მოვირგე საფრანგეთის ნაკრების ლურჯი მაისურა. იმ ადამიანისთვის, რომელმაც ახლახან მოირჩინა ასეთი სერიოზული ტრავმა, ეს არც ისე ცუდი მაჩვენებელია...

გასაკვირი არ არის, რომ 1979 წლის მარტიდან მოყოლებული, პლატინის გვარი სულ უფრო ხშირად ჩნდება საფრანგეთისა და ევროპის სპორტულ გაზეთებში - ისინი სხვადასხვა ვარაუდებს გამოთქვამენ ჩემი მომავალი საფეხბურთო ბედის შესახებ.

ასე მაგალითად, **კლოდ ბეცი** ("ბორდოს" პრეზიდენტი) და **დიდიე კუეკუ** (მენეჯერი) გაზეთ "სიუდ-უესტში" აქვეყნებენ ინფორმაციას ჩემი მათ გუნდში გადასვლის შესახებ. უფრო მეტიც, ისინი გაზეთში ბეჭდავენ გაყალბებულ ფოტოს, რომელზეც "ბორდოს" ხელმძღვანელებთან ერთად ვარ გამოსახული... იქვე "ნანსის" პრეზიდენტი **კლოდ კიუნი** ხელში კალამს იჭერს და სწრაფად თხზავს წერილს, რომელშიც პროფესიულ საფეხბურთო კლუბებს გაერთიანებისა და "ბორდოს" წინააღმდეგ სანქციების შემოღებისკენ მოუწოდებს, რითაც ამ გუნდის მოქმედების გამო განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოხატავს. ერთი პატარა დეტალი: კიუნიმ ვერ შეამჩნია, რომ გაზეთი "სიუდ-უესტი" 1 აპრილს გამოვიდა...

ამ ხუმრობამ ძალიან გამახალისა, მაგრამ კარგად დამანახვა, რა ჩიხში ვიყავი შესული. იმ დროისთვის არ ვიცოდი, საით მიმეპყრო მზერა. რა თქმა უნდა, წმინდა სენტიმენტალური თვალსაზრისით, უპირატესობა იტალიას უნდა მივანიჭო. მხოლოდ ჩემი პიემონტური ფესვების გამო არ ჩავიბეჭდე გონებაში, რომ ერთ მშვენიერ დღეს იტალიაში ფეხბურთის სათამაშოდ გავემგზავრებოდი. ჯერ კიდევ ბავშვი ვამჩნევდი, რომ ევროპაში იტალიური კლუბები დომინირებდნენ და ეს, რა თქმა უნდა, ჩემს გონებაში სახიფათო ოცნებებს წარმოშობდა.




(გაგრძელება იქნება)

**გია თვალაბეიშვილი**

ჭადრაკი

# მოსკოვის ღია ქართველთათვის ცუდად დაიხურა

არ გამართლდა ჩვენი იმედები იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვის ღია საერთაშორისო ტურნირში ქართველი მოჭადრაკეები ბოლო ტურში წარმატებით იასპარეზებდნენ და მაღალ ადგილსაც დაიკავებდნენ საბოლოო ცხრილში. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო ქალთა შორის **ნაზი პაიკიძის** მარცხი, - იგი თეთრებით ხვდებოდა რუს ფიდეს ოსტატს **ელენა ტამილოვას** და დამარცხდა. ნაზის რეიტინგი რუსისას კი ჩამორჩება, მაგრამ არა ბევრით - ქართველს 2280 ქულა აქვს, ტამილოვას კი - 2300. წოდებებიც ერთნაირი აქვთ, მაგრამ პაიკიძეს სულ მალე მიენიჭება ქალთა საერთაშორისო ოსტატის წოდება და შესაძლოა, წელსვე შესწვდეს დიდოსტატობასაც. თუმცა ამისათვის ბევრად უკეთ გარჯა მოუწევს, ვიდრე ეს მოსკოვის ღია ტურნირზე გააკეთა. მარცხმა პაიკიძე საკმაოდ დახია უკან და საბოლოოდ 5,5 ქულით 32-ე ადგილზე გავიდა. ეს შედეგი მისი განთესვის ნომერს სამით კი სჯობს, რაც რეიტინგში კლებას გამორიცხავს, მაგრამ ჩვენებურს აშკარად მეტი შეეძლო და დასანანია, რომ რეიტინგის მომატების და ალბათ დიდოსტატის ერთი ბალის ალების შანსი გაუშვა ხელიდან. ასევე მოეცარა ხელი „ბ" ჯგუფში მოთამაშე **შავლეგ შამუგიას**. მასაც თეთრებით უწევდა ბოლო ტურში თამაში და მეტოქეც არ ჰყავდა მაინცდამაინც ძლიერი - რუს **სერგეი ვოლკოვთან** უნდა გაერკვია ურთიერთობა. ამათი რეიტინგები თითქმის თანაბარია, მაგრამ რუსმა შეძლო გამარჯვება და მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერა აქტივში. შავლეგმა 6 ქულით დაასრულა ტურნირი და 54-ე ადგილზე გავიდა. კარგი შედეგი არ არის, მაგრამ მისი განთესვის ნომერს - 86-ს, საკმაოდ სჯობს.

ერთ კვირაში მოსკოვში მეორე საჭადრაკო ტურნირი იწყება - „აეროფლოტ-ოუფენი", რომელიც უდიდესი ღია ტურნირია მსოფლიოში. ქართველმა მოჭადრაკეებმა შესაძლოა იქ ითამაშონ, ალბათ ნაზიც და შავლეგიც გამოიყენებენ ამ შანსს და „მოსკოვში" დაკარგულს „აეროფლოტში" აინაზღაურებენ.

**ზვიად შათირიშვილი**

# თურქული საკლუბო მოილიეს

ქართველთა ნაკლებობა ტრადიციულად არ იგრძნობა თურქულ საჭადრაკო არენაზე. ახლა სტარტი აიღო წლევანდელმა საკლუბო ჩემპიონატმა და თურქული კლუბების ქართველმა წევრებმაც სამხრეთს მიაშურეს. ჩვენებური 16 ქალ-ვაჟი საკურორტო ქალაქ ქემერში, ცხრა სხვადასხვა კლუბშია გადანაწილებული. მათგან უნდა გამოირჩეს საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები ქალთა და ვაჟთა შორის - **მაია ლომინეიშვილი** და **თორნიკე სანიკიძე**. ესენი თურქული კლუბების სტაჟიანი წევრები არიან, თუმცა ხშირად შეუცვლიათ ადგილმდებარეობა. ლომინეიშვილიც და სანიკიძეც წლეულს „იესილკოს" საჭადრაკო კლუბის სახელს იცავენ. დიდი დრო არ არის გასული, რაც საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა და გადაღლაზე ლაპარაკი შესაძლებელია, მაგრამ თორნიკე სანიკიძე შვიდჯერ მიუჯდა დაფას და საკმაოდ ძლიერი მეტოქეების კომპანიაში 6 ქულის მოგროვება შეძლო. თორნიკე თავის გუნდში მეორე დაფაზე თამაშობდა, პირველი „ვიოლინო" კი ჩვენებური **დავით არუთინიანი** გახლდათ, რომელმაც ასევე კარგად წარმოაჩინა თავი და 7 შესაძლებლიდან 5 ქულა დააგროვა. ეს მაჩვენებელი პირველ დაფაზე მეორე შედეგის ტოლია. სანიკიძის მონაგართან მიახლოება ვერავინ შეძლო, რაც მის პირველობას ნიშნავს მეორე დაფაზე.

სამწუხაროდ, ლომინეიშვილი, რომელსაც თურქულ ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ერთხელ 7-დან 7 ქულაც კი მოუხვეჭავს, პირველ 5 ტურში 4-ჯერ მიუჯდა დაფას და მხოლოდ 1,5 ქულა დააგროვა. ცხადია მეტს ალარ ენდნენ და ასეთი შეუფერებელი მარაგით დაბრუნდა მაია სამშობლოში. ალსანიშნავია, რომ მისი დამარცხება შავებით შეძლო **ბელა ხოტენაშვილმა**. ბელა კი საქართველოს ჩემპიონატში არ თამაშობდა. მიზეზი ქართველი მკითხველისთვის ცნობილია - 27-მა მოქმედმა მოჭადრაკემ ბოიკოტი გამოაცხადა. ბელამ 7-დან 5 ქულას მოუყარა თავი და ქალთა შორის მეოთხე ადგილზე გავიდა. აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი კი დიდოსტატმა **სოფიკო ტყეშელაშვილმა** აჩვენა - სანიკიძის დარად მანაც 7-დან 6 ქულით დაასრულა ტურნირი - ხუთჯერ იმარჯვა და ორჯერ დაუზავდა მეტოქეებს. სოფიკოს წარმატება ორმაგად გასაკვირია, რადგანაც რამდენიმე წელიწადია აქტიურ საჭადრაკო ცხოვრებას ალარ ეწევა; ბოლო ორი წელიწადი კი ლამის საერთოდ ჩამოშორებული იყო სპორტულ ასპარეზს. მეორე შედეგიც ქართველთა არჩივი გახდა - **სალომე მელიამ** იყოჩაღა და 7-დან 5,5 ქულა მოაგროვა. სხვათა შორის, პროცენტული მაჩვენებელი საუკეთესო ჰქონდა **ანა მათნაძეს**: 5-დან 4,5 ქულა მოაგროვა, რაც 90 პროცენტს შეადგენს. ლიდერების პროცენტული მაჩვენებელი 85, 71 პროცენტია. აშკარაა, რომ პრიორიტეტი პარტიათა რაოდენობას ენიჭება, რაც ლოგიკურად უფრო სწორია.

გამოსარჩევი ერთიც გვაქვს ქართველებს: 16-წლამდე გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი **მარიამ დანელიამ** აჩვენა – 7-იდან შვიდივეში(!) იმარჯვა და ერთადერთია ჩემპიონატში, ვინც ასპროცენტიანი შედეგით მოიწონა თავი. მიუხედავად იმისა, რომ პირველ როლებში ქართველები არიან, მათი კლუბები იმავეთი ვერ დაიკვეხნიან. თურქული წესებით ერთდროულად 10 დაფაზე მიმდინარეობს ბრძოლები. გამარჯვებულიც მარტივი წესით ვლინდება - ვინც მეტ ქულას დააგროვებს. ცხრილში კი მოგებისთვის 2 ქულა ჩაიწერება, ყაიმისთვის - 1 და, შესაბამისად, წაგებისთვის - 0. როგორც წესი, თურქებს კლუბში ორი ან სამი ძლიერი ლეგიონერი ჰყავთ, ხშირად - ერთიც; ამიტომ მატჩის მოგება ლეგიონერთა თამაშზე ნაკლებადაა დამოკიდებული. ჩვენებურები სუსტი თურქი მოჭადრაკეებით დაკომპლექტებულ კლუბებში არიან ძირითადად და მათი არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობაც ამის ბრალია. საუკეთესო ქართული გუნდი **ლევან ფანცულაიას** „ბეშიქთაშ გიმნასტიკია", რომელიც მეორე ადგილზეა, თუმცა ლევანს არ წაუვიდა თამაში და ხუთიდან მხოლოდ 2,5 ქულის დაგროვება მოახერხა. მეოთხეზეა **მერაბ გაგუნაშვილის, სალომე მელიას** და **მარიამ დანელიას** „თურქ ჰავა იოლარი"; მეექვსეზეა **მიხეილ მჭედლიშვილის, ანა მათნაძის** და **ქეთი ნაწალაშვილის** „ტარსუს ზეკა"; მეშვიდე დავით არუთინიანის, თორნიკე სანიკიძის და მაია ლომინეიშვილის „იესილკო ს.კ." სოფიკო ტყეშელაშვილის „ისტანბულ დობრუცა" კი მხოლოდ მეცამეტეა. შევნიშნავთ, რომ თურქეთის საკლუბო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი ასპარეზობს. მეთექვსმეტეზე **კონსტანტინე შანავას** „ანტალია კალისფორია." არადა, შანავა საკმაოდ კარგად გაისარჯა - შვიდიდან ხუთი ქულა მოაგროვა, რაც მეორე დაფაზე მეხუთე შედეგის ტოლია.

თურქული ლიგა ამით არ დასრულებულა, - წინ კიდევ რამდენიმე ტურია და ქართველებს არაერთხელ მოუწევთ ოსმალეთში სტუმრობა.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ბასილაშვილი დიდებში ყოჩაღობს

## ჩიხლაძე ასეულით წინ

გუშინ ქალთა და ვაჟთა ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელთა მეორე ასეულში სხვა ჩოგბურთელთა ცუდი თამაშის ხარჯზე 19 წლის **ანა ტატიშვილმა** (ანა 3 თებერვალს გახდა 19 წლის) კიდევ ოთხი საფეხურით წაიწია წინ და კარიერის მორიგ საუკეთესო ნიშნულს მიაღწია - ანა 396 ქულით მსოფლიოს 152-ე ჩოგანია. 26 წლის **მაკა ჩახნაშვილი** 258 ქულით 220-ე ადგილზეა (-3). კარიერის საუკეთესო ნიშნულზეა 20 წლის **სოფიო შაფათავაც**, სოფიოს 220 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 238-ე (+3) ჩოგანია. მხოლოდ ორი საფეხურით წაიწია წინ 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** (112 ქულა, 391-ე ადგილი). სხვები: 643 (+4) **ეკა გორგოძე** - 40 ქულა; 666 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** - 38; 698 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 34; 745 (+1) **სალომე დევიძე** - 28; 912 (+4) **სოფიო მელიქიშვილი** - 16. გორგოძეც კარიერის მორიგ პიკზეა.

ვაჟთა შორის სერიოზული ცვლილება მხოლოდ **ლადო ჩიხლაძეს** შეეხო - 23 წლის ჩოგბურთელმა 98 საფეხურით წაიწია წინ ზალცბურგის ტურნირის ნახევარფინალში გასვლისთვის. ლადო 17 ქულით მსოფლიოს 1013-ე ჩოგანი გახდა. სხვები: 521 (-) **ირაკლი ლაბაძე** - 96 ქულა; 920 (-1) **ლაზარე კუხალაშვილი** - 24; 1225 (-6) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 8; 1326 (-3) **ნოდარ ითონიშვილი** - 6; 1566 (-2) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1661 (-4) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

პარიზში „სუეც ოუფენის" საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 700 ათასი დოლარია. შარშან ეს ტურნირი რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველმა, **ანა ჩაკვეტაძემ** მოიგო. წლეულს, საკვალიფიკაციო ბადეში მაკა ჩახნაშვილმა ითამაშა, თუმცა კვლავ წარუმატებლად, მან ორ სეტში წააგო მე-3 ნომრად განთესილ გერმანელ **იულია გორგესთან** (107) - 4:6, 2:6. მაკა ჯერჯერობით პარიზში რჩება, ის გერმანელ **იულია შრუფთან** დუეტში წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშია.

სოფიო შაფათავა სეზონს შვედეთის დედაქალაქში გახსნის, ჩვენებური სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი $) ძირითად ბადეშია. კენჭისყრამ მას ნაკლებად გაუმართლა - სოფიოს მე-2 ნომრად განთესილი ავსტრიელი **ივონ მოისბურგერი** (126) ეთამაშება. ესპანეთის ქალაქ მალიორკაში საკვალიფიკაციო ბადეში მეორე ნომრად განთესილმა სოფიო ქვაცაბაიამ, ორი წრე გაიარა - მან ჯერ სლოვენიელ **ტაია მოჰორიჩს** მოუგო - 6:3, 6:4, შემდეგ ჩეხ **გაბრიელა ჰორაჩკოვას** აჯობა - 6:3, 6:2. ფინალურ წრეში ჩვენებური ესპანელ **ლუსია საინს-პელეგრის** ეთამაშება და თუ მოიგებს, ძირითად ბადეში თანამემამულე ეკა გორგოძეს შეურთდება. გორგოძე პირველ წრეში მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ **დომინის რიპოლის** ხვდება.

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში საჩოგბურთო ტურნირში (15 ათასი $) ჩაება ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელსაც ძირითად ბადეში გასაღწევად საკვალიფიკაციოში მოუწია ბრძოლმ. ნიკა საკვალიფიკაციო ბადეშიც კი „უაილდ ქარდით" იყო დაშვებული. მან ხორვატ **მარინ ფრანიევიჩს** აჯობა - 6:3, 6:4, მოუგო მე-5 ნომრად განთესილ სლოვაკ **ალექსანდერ შომუგის** - 6:2, 7:5 და იოლად გაუსწორდა ბოსნიელ **ტომისლავ ბრკიჩს** - 6:0, 6:2. ნიკა ძირითად ბადეშია, სადაც ჩეხ **იან მინარს** ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მეორის ნაცვლად ბოლო ადგილი

6-8 თებერვალს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ზამთრის თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირები ჩატარდა 16 წლამდე გოგონათა და ვაჟთა შორის. შეჯიბრება გუნდურია და ლამის ეროვნული ნაკრებები მონაწილეობენ; ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის უძლიერესი ახალგაზრდები ხვდებიან გუნდებში. საქართველოს ნაკრებშიც ასეთივე პრინციპით შეირჩნენ ჩოგბურთელები და საკმაოდ იმედიანადაც გაემგზავრნენ ტურნირზე, - გოგონების კრებული იტალიის ქალაქ მანიაგოში, ხოლო ვაჟთა ერთობა საფრანგეთის ქალაქ შოლეში ცდიდა ძალას. წარმატებას ველოდით, მაგრამ უფრო ვაჟების გვეიმედებოდა, რადგან განთესვით მეორენი იყვნენ 8 გუნდში და როგორც მთავარმა მწვრთნელმა, **ალექსანდრე ყარანგოზიშვილმა** გამგზავრებამდე გვითხრა, ბიჭები კარგ ფორმაში იყვნენ. სამწუხაროდ, აბსოლუტურად საპირისპირო სურათი ვიხილეთ და ფიასკო განვიცადეთ. პირველ დღეს თურქეთის ნაკრებთან მოგვიწია პაექრობამ და 1:2 დავმარცხდით. წააგო ჩვენმა პირველმა ნომერმა **ალექსანდრე მეტრეველმა**; მოიგო მეორე ნომერმა **გიორგი ცივაძემ**, მაგრამ მანვე წააგო მესამე შეხვედრა და ქართველები უმთავრესი მიზნისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. თუმცა ასპარეზობა გააგრძელეს და მეორე დღეს მე–5-6 ადგილისათვის პორტუგალიის ნაკრებთან მოუხდათ შეხლა. ჯერ კორტზე **დავით ხუციშვილი** გავიდა, მაგრამ **ვასკო მესკურადოსთან** ვერაფერი გააწყო და დამარცხდა ორ სეტში - 3:6, 0:6. გიორგი ცივაძემ **ფრანსისკო რამოსი** დაამარცხა ორ სეტში საკმაოდ იოლად - 6:2, 6:3 და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მეტრეველმა კვლავ ვერ იმარჯვა და იმავე ფრანსისკო რამოსთან ორ სეტში ღათმო - 5:7, 5:7.

მესამე დღესაც მოგვეცა თამაშის შესაძლებლობა, მაგრამ ამჯერად მე-7-8 ადგილებისთვის მოგვიწია ბრძოლამ. მეტოქე უნგრეთის ნაკრები იყო. ფავორიტისგან ამ ეტაპზე გამარჯვებას მაინც ველოდით, მაგრამ კვლავ დავმარცხდით და კვლავაც იმავე ანგარიშით - 1:2. ხუციშვილმა ორ სეტში წააგო **გაბორ ჩონკასთან** - 1:6, 5:7 ხოლო მეტრეველმა **ბადაშ ბარტასთან** პირველი სეტის 2:6 წაგების შემდეგ მეორეში თამაშზე უარი თქვა. მესამე შეხვედრა არაფერს წყვეტდა, მაგრამ მაინც უშელავათო ბრძოლა გაიმართა და გიორგი ცივაძემ სამ სეტში დაამარცხა **ოერგელ მადარაში** - 6:3, 5:7, 11:9.

მე- 8 ადგილი აშკარად მოულოდნელი და შეუფერებელი შედეგია, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო და დავმარცხდით. თუ რატომ ვერ ვიყოჩაღეთ, მიზეზებზე ალბათ გუნდის მწვრთნელი თბილისში დაბრუნების შემდეგ გვეტყვის.

ასეთივე წარუმატებელი იყო იტალიის მანიანოში მოასპარეზე გოგონათა ნაკრების გამოსვლაც. მათ ჯერ პოლონეთთან წააგეს მშრალი ანგარიშით -0:3, ხოლო მე-5-6 ადგილებისთვის ბრძოლაში იტალიელებთანაც ვერას გახდნენ - ისევ 0:3.

ჩვენმა ოპტიმიზმმა რომ ჩაილურის წყალი დალია, კი გამოჩნდა, მაგრამ აშკარა ის არის, რომ ქართველ ჩოგბურთელებს საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილება აკლიათ.

12 თებერვალს ესტაფეტას 14-წლამდელი გოგონები გადაიბარებენ, რომლებიც იმავე თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში მინსკში ითამაშებენ.

**ზვიად შათირიშვილი**

# გივი ზაუტაშვილის ტურნირი ძიუდოში

ამ დღეებში გორის **გურამ პაპიტაშვილის** სახელობის დარბაზში გაიმართა ჩვენი ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელის, **გივი ზაუტაშვილის** იუბილესადმი მიძღვნილი ქალაქის ღია პირველობა ძიუდოში. მონაწილეობდნენ გორის (ორი), თბილისის (სამი), კასპის, ხაშურის, ბორჯომისა და ქარელის გუნდები. „გუნდები წამყვანი მოჭიდავეებით იყვნენ წარმოდგენილი და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ტურნირი საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა. დაძაბულ ორთაბრძოლებს ინტერესს ისიც სძენდა, რომ ძიუდოს წესებში შეტანილი ცვლილებების შემდეგ გორმა პირველად უმასპინძლა ტურნირს და, სხვათა შორის, შემიძლია გითხრათ, რომ საკმაოდ კარგადაც მიმდინარეობს ადაპტირება. პირადად ჩემთვის კი, ბუნებრივია, სასიხარულოა, როცა ჩემი სახელობის ტურნირი წლიდან წლამდე უკეთესი ხდება, როგორც სპორტული ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით" — განაცხადა შეჯიბრების დასრულების შემდეგ ჩვენთან საუბარში ბატონმა გივი ზაუტაშვილმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გახდნენ: 42 კგ - ბექა შავდათუაშვილი (გორი), 45კგ - ალეკო ბერდოშვილი (ქარელი), 50კგ - თემურ გოგიაშვილი, 55კგ - გიორგი გიუნაშვილი (ორივე გორი), 60კგ - ტარიელ ფეიქრიშვილი (თბილისი), 66კგ - ირაკლი სამხარაძე (გორი), 73კგ - ბაჩანა ტიტვინიძე, 81კგ - გიორგი სეტიელი (თბილისი) და მძიმე - კობა ტატულაშვილი (კასპი).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

იპონი

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის გამოცემა №1, თებერვალი, 2009 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტულ ფედერაციებთან მჭიდროდ თანამშრომლობის კარგი მაგალითი პირველმა მოგვცა ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ. მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი დავით ბერძენიშვილი გვეწვია რედაქციაში და გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც პერიოდულად გვერდის (გვერდების) მომზადებას ითვალისწინებს „ლელოში". რაც იმას ნიშნავს, რომ ფედერაციამ გადაწყვიტა, თავად შექმნას ქართული ძიუდოს მატიანე, ნაბიჯ-ნაბიჯ აღნუსხოს ყველა ფაქტი და მოვლენა, რომ მომავალს გაუადვილდეს კვლევა-შეფასება.

და აი, თქვენს ხელთაა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის გაზეთ „იპონის" პირველი ნომერი. რედაქციისა და ფედერაციის ურთიერთთანამშრომლობით, ვფიქრობთ, მიზანი უთუოდ მიიღწევა.

# საიდან მოდის და რას ნიშნავს ძიუდო?

**ძიუდო იაპონური ეროვნული ჭიდაობაა და ნიშნავს - *ძიუ* - მოქნილი, მსუბუქი, *დო* - გზა. ხალხის წიაღიდან წამოსული სპორტის ეს სახეობა გავრცელდა მთელ მსოფლიოში და ორთაბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ საშუალებადაა მიჩნეული.**

ძიუდოს საფუძვლად დაედო ჯიუჯიცუს (ძიუ ძიუცუს) მრავალფეროვანი სისტემა, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს შექმნა ახალგაზრდა პედაგოგმა და სწავლულმა **ძიგარო კანომ.** ჯიუჯიცუს მე-16 საუკუნიდან ხელჩართული ბრძოლების მანამდე არსებული სისტემების გამაერთიანებელი სახელწოდებაა. დიდხანს გასაიდუმლოებულად იყენებდნენ სამურაების საბრძოლო მომზადებისთვის. ძიგარო კანო თავად იყო სამურაების გვარის შთამომავალი. მრავალმხრივი სპორტსმენი სტუდენტობისას საბრძოლო ხელოვნებამ გაიტაცა და 1982 წელს ტოკიოში დააარსა ძიუდოს სკოლა „ვოდოკანი", რომელიც გზის წვდომის ტაძარს ნიშნავს. ეს სკოლა იქცა ძიუდოს უმთავრეს ცენტრად და დღემდე უდიდეს ავტორიტეტს ინარჩუნებს მთელ მსოფლიოში.

კანო პირადად უწევდა პროპაგანდას თავისი ქვეყნის გარეთ ძიუდოს, რაშიც მას ხელს უწყობდა იმ ხანებში განათლების მინისტრის მრჩევლის თანამდებობის გამო ხშირი მოგზაურობა სხვადასხვა ქვყანაში. XX საუკუნის დასაწყისიდან ძიუდო შეიტანეს იაპონიის ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლო დაწესებულებებში, არმიასა და პოლიციის სტრუქტურებში. აღიარების საფუძვლად იქცა ის, რომ ძიუდო ხელს უწყობდა ფიზიკურ წვრთნასთან ერთად სულიერ და მორალურ-ესთეტიკური ღირებულებების გამომუშავებას, ყოველმხრივ განვითარებულ-გაწონასწორებული პიროვნების აღზრდას.

ძიუდოს ოსტატები საჩვენებელ გამოსვლებს მართავდნენ საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ამერიკაში.

ძიუდო იაპონიაში კულტად იქცა, რიტუალი კი საერთაშორისო დონეზე შეინარჩუნა. 1925 წლიდან სისტემატიურად იმართებოდა იაპონიის ეროვნული ჩემპიონატები. გამარჯვებულებს განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ და ზეიმს უმართავდნენ. ეს რიტუალი 1938 წელს შეწყდა, როცა ქვეყნის სათავეში მოვიდა მილიტარისტული ხელისუფლება. მხოლოდ 1948 წლიდან განახლდა ეროვნული ჩემპიონატები, აღდგა ფედერაცია. ძიუდო კვლავ გამოცხადდა სკოლების სავალდებულო სასწავლო დისციპლინად სუმოსთან და კენდოსთან ერთად. ცალკეულ ქვეყნებში ადგილობრივი ტურნირების ჩატარებას მოჰყვა საერთაშორისო შეჯიბრებები და ევროპის ოფიციალური ჩემპიონატი. წესები და რიტუალი უცვლელი დარჩა, ცვლილებები შეეხო მხოლოდ წონით კატეგორიებს. მერე ძიუდო ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შევიდა.



ძიგარო კანო

## მკითხველებს!

*ძიუდოს ფედერაცია თხოვნით მოგმართავთ, მოგვაწოდეთ თქვენი წინადადებები და მოსაზრებები, როგორი გინდათ იხილოთ „იპონის" გამოცემა, ვისთან შეხვედრას ისურვებდით მის ფურცლებზე, რა შეკითხვებზე გსურთ მიიღოთ პასუხი და ა.შ. ველით თქვენს გამოხმაურებას!*

## ვიქტორინა

1. ვინ არის ძიუდოს ფუძემდებელი?
   ა. ტაკეჟიდო ნაკატანი
   ბ. ისაო ოკანო
   გ. ძიგარო კანო
2. რომელ წელსა და სად დაარსდა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია?
   ა. 1948 წელს პარიზში
   ბ. 1951წელს ლონდონში
   გ. 1954 წელს ტოკიოში
3. რომელ წელს შეიტანეს ოლიმპიურ თამაშების პროგრამაში ძიუდო?
   ა. 1964 წელს
   ბ. 1968 წელს
   გ. 1972წელს
4. რომელ წელს ამოიღეს ძიუდო ოლიმპიური პროგრამიდან?
   ა. 1960 წელს
   ბ. 1968 წელს
   გ. 1976 წელს
5. რომელ წელს გავიდნენ პირველად საქართველოს ძიუდოისტები საერთაშორისო სარბიელზე?
   ა. 1955 წელს
   ბ. 1956 წელს
   გ. 1957 წელს

*პასუხები "იპონის" შემდეგ ნომერში.*

მონაბარი

## ყულაბაში 13 მედალია

თვეზე ცოტა მეტი გავიდა, რაც ძიუდოისტებისთვის ახალი სეზონი დაიწყო. იგი ფრიად დაძაბული იქნება, რადგან ლონდონის ოლიმპიადისთვის სალიცენზიო ქულების დაგროვების განსხვავებული სისტემა ამოქმედდა. ათვლა დაიწყო თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშებიდან, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზეს მასპინძლებმა - 12 მედალი დაიმსახურეს. პირველ ადგილებზე გავიდნენ **ამირან პაპინაშვილი** (60 კგ), **ვარლამ ლიპარტელიანი** (90) და **ადამ ოქრუაშვილი** (მძიმე). ვერცხლის მედლები ხვდათ **ლევან ჩუბინიძეს** (60), **ნესტორ ხერგიანს** (66), **ზაზა კედელაშვილს** (73), **ლევან ნიკლაურსა** (81) და **ლაშა გუჯეჯიანს** (მძიმე), ხოლო **ბეთქილ შუკვანი** (60), **თენგიზ პაპოშვილი** (73), **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81) და **დავით ლორიაშვილი** (100) „ბრინჯაოს" დასჯერდნენ.

წარმატებული სტარტის შემდეგ კარგ შედეგებს ველოდით პარიზის დიდი სლემის ტურნირზეც. იქ კი კვარცხლბეკს მხოლოდ პაპინაშვილი შესწვდა - ამირანმა მეორე ადგილი დაიკავა.

გასულ უქმეებზე პარიზში დამთავრებულ ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირში საქართველოდან სპორტსმენებთან ერთად A კატეგორიის საერთაშორისო არბიტრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ამირან ტოტიკაშვილიც** მონაწილეობდა.

საერთოდ, იშვიათია შემთხვევა, როცა უნიკალური შედეგების სპორტსმენი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ან არბიტრი გახდეს. ამირან ტოტიკაშვილი სწორედ ამ გამონაკლისებს განეკუთვნება.

40 წლის წინათ მარტყოფში დაბადებულმა და გაზრდილმა ძიუდოისტმა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში 1988 წელს ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო, მერე ევროპის ჩემპიონატზეც ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, ხოლო სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მომდევნო 1989 წელს კი ერთბაშად ოთხ „ოქროს" გამოჰკრა ხელი მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებსა და მსოფლიოს უნივერსიადაზე. 1990 წელს კეთილი ნების თამაშებში გაიმარჯვა, ევროპის ჩემპიონატზე „ბრინჯაოს" დასჯერდა.

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ტატამს მაინც ვერ შეელია - ერთ მშვენიერ დღეს არბიტრის რანგში მოგვევლინა. წლიდან წლამდე იმაღლებდა კვალიფიკაციას. შარშან დეკემბერში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა სემინარებს დაესწრო, წარმატებით ჩააბარა გამოცდები და სეულში (კორეა) - სწორედ, იმ ქალაქში, სადაც 20 წლის წინათ ოლიმპიური „ბრინჯაო" მოიპოვა, A კატეგორიის საერთაშორისო არბიტრის წოდება დაიმსახურა. ამირან ტოტიკაშვილი ერთადერთი მსოფლიოს ჩემპიონია, ვისაც ჯერჯერობით ეს მაღალი ტიტული მიენიჭა.

# მსოფლიოში პირველი და ერთადერთი

და კიდევ...

**ძიუდოს ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით, სპორტის დამსახურებული ოსტატი ამირან ტოტიკაშვილი ძიუდოში საქართველოს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნა.**

# იქ დგას, სადაც მართვეები ფრთიანდებიან

**„შევარდენის" სპორტდარბაზის ტატამზე ხალხმრავლობაა. ოფლში გახვითქული ლურჯ-თეთრკიმონოიანი ბიჭები ფანდებს ამუშავებენ. ძიუდოისტთა თითოეულ მოძრაობას თვალს არ აშორებს სპორტულფორმიანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხან ხმამაღალი შეძახილით ამხნევებს შეგირდებს, ხან კი საქმიან შენიშვნებს აძლევს მათ...**

ასეა ყოველდღე - ადრე დილიდან შებინდებამდე. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **გურამ მოდებაძის** ხელმძღვანელობით „ჩემპიონთა სამჭედლოში", როგორც სიყვარულით ეძახიან, ისეთი მართვეები ფრთიანდებიან, რომლებსაც საერთაშორისო ტურნირებიდან უხვი ნადავლი ჩამოაქვთ. თუნდაც ის რად ღირს, რომ მოდებაძის ოთხმა აღზრდილმა (**ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, ლომერ ჟორჟოლიანი, ლაშა გუჯეჯიანი**) შარშან პეკინის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა...

გურამ მოდებაძემ სამი ათეული წლის წინათ გაუსინჯა ძიუდოს გემო - ჭიათურის რაიონის სოფელ ზედუბანში დაბადებულ-გაზრდილმა ვარჯიში 12 წლისამ დაიწყო **მურთაზ ხვედელიძის** დახმარებით. ორი წლის შემდეგ ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა.

როგორც პერსპექტიული სპორტსმენი, 1981 წელს გურამ მოდებაძე თბილისის სკოლა-ინტერნატში გადმოიყვანეს და **ხვთისო ნიკლაურის** ხელმძღვანელობით განაგრძო წვრთნა. სამი წლის შემდეგ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. სწორედ ამ დროიდან იმატა შედეგებმა: 1989 წელს საქართველოს ჩემპიონატი და თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მერე ჰოლანდიასა და იაპონიაშიც იყოჩაღა. ტოკიოში ცხრაჯერ იხმეს ტატამზე და ყველა შეხვედრა მოიგო: ხუთი ორთაბრძოლა პირადში და ოთხიც - გუნდურში. ძლეულთა შორის აღმოჩნდნენ გერმანელი **უდო კველმანცი** და ფრანგი **ბრუნო კარაპეტა**. საგულისხმოა, რომ გერმანელმა მერე ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ატლანტაში ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა, ფრანგი კი მომდევნო წელს ევროპის ჩემპიონი გახდა.

- 1990 წლის სეზონი წარმატებით დავიწყე, - მითხრა გურამმა. - თბილისისა და უნგრეთის ტურნირებში გავიმარჯვე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში ვიაჩესლავ შიშკინს ვძლიე და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავედი. საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზეც ვიასპარეზე. სამწუხაროდ, უმედლოდ დავრჩი.

**- მომდევნო წელს ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვე...**

- მინსკში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რადგან ბარსელონის ოლიმპიადის წინ ძიუდოისტებს საკუთარი შესაძლებლობების შემოწმება სურდათ.

შვიდი კილო მქონდა მომატებული. იმდენი მოვახერხე, რომ ჩვეული წონა დავიბრუნე. თუმცა აწონვის შემდეგ არაქათგამოლეული ფეხზე ძლივს ვიდექი. უსაშველოდ მწყუროდა. ოთახში შევედი თუ არა, კარადიდან თბილისიდან ნალებული შავი ღვინო გამოვიღე, ჭიქაში დავისხი და სულმოუთქმელად გადავკარგი. სასიამოვნოდ დამიარა სხეულში. ჩემი მეგობარი ბათო ჯიქური ლოგინიდან წამოხტა - რას შერები, ხომ არ გაგიჟდიო, მიყვირა. სრულ ჭკუაზე ვარ, ახლა ორი საათი უნდა დავისვენო და ხელი არავინ შემიშალოს-მეთქი. ბალიშზე თავი მივდე და დავიძინე. ისეთ ჯანზე გამოვიღვიძე, რომ შეჯიბრებაზე ყველა მეტოქეს ვძლიე, ფინალში ერთ-ერთ უძლიერეს ძიუდოისტ სერგეი კოსმინინს ორი ვაზარით ვაჯობე.



გურამ მოდებაძე

**- კი მაგრამ, დოპინგკონტროლი?**

- მაშინ ამდენ წვრილმანს ყურადღებას არავინ აქცევდა. მით უმეტეს, რომ მცირე დოზით ალკოჰოლის მიღება დოპინგკონტროლზე ზეგავლენას ვერ ახდენდა.

**- სპარტაკიადის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში სუსტად გამოსვლის მიზეზი რა იყო?**

- ცუდად არც იქ მიჭიდავია. უბრალოდ, შიშკინთან შეხვედრისას ძირითადი და დამატებით დრო ფრედ ლავამთავრე. მსაჯებმა უპირატესობა ჩემს მეტოქეს მიანიჭეს. საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავედი, ჩემპიონობა კოსმინინმა მოიპოვა.

**- ატლანტის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი რატომ გაუშვი ხელიდან?**

- 90-იან წლების მოვლენებმა სპორტსაც დაატყო ხელი. ფაქტობრივად, სამი წელიწადი არც მივარჯიშია. 1994 წლიდან განვაახლე წვრთნა. მომდევნო წელს წონამეცვლილმა იაპონიის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-9-10 ადგილები გავიყავი, რაც ოლიმპიადის საგზურისთვის არ მეყო...

შემდეგ გურამ მოდებაძემ ფეხზე ოპერაცია გაიკეთა და აქტიურ სპორტსაც გამოეთხოვა. მწვრთნელობას მიჰყო ხელი. სპორტსაზოგადოება „შევარდენში" **ბერდია გუგავას** რეკომენდაციით სასპორტო სკოლის დირექტორად დაანინაურეს. მისი შეგირდები 2001 წლიდან წარმატებით ასპარეზობენ საერთაშორისო სარბიელზე. პირველები, ვინც ოსტატი ასახელა, **ჯარჯი ზვიადაური** და **ლაშა გუჯეჯიანი** იყვნენ, რომლებმაც 2001 წელს ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიური თამაშები მოიგეს. ჯარჯიმ შემდეგ საბერძნეთის სახელით ევროპის ჩემპიონატზეც გაიმარჯვა და ათენის თამაშებშიც, გუჯეჯიანმა კი ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის პირველობები მოიგო, უფროსებში ევროპის ჩემპიონატებზე „ვერცხლი" და „ბრინჯაო" დაიმსახურა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი ორჯერ მესამე ადგილი დაიკავა; **ზაზა კედელაშვილმა** ევროპის ჩემპიონატებზე ზედიზედ სამჯერ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო, **დავით ქევხიშვილს** კი მსგავს შეჯიბრებებზე ორ-ორჯერ მეორე და მესამე ადგილები ხვდა; 19 წლის **ვარლამ ლიპარტელიანმა** შარშან თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის პირველობები მოიგო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს გუნდური თასის მფლობელი გახდა; სხვადასხვა დროს ევროპის ახალგაზრდული პირველობების გამარჯვებულები და პრიზიორები არიან **დავით ციხელაშვილი, ბექა ბექაური, არსენ მაჭარაშვილი, გიორგი მემარნიშვილი, ბეთქილ შუკვანი, ვაჟა დაბრუნდაშვილი, ხვიჩა და უჩა ხუციშვილები, ლომერ ჟორჟოლიანი.** გვერწმუნეთ, ამგვარი შედეგებით ნებისმიერი მწვრთნელი იამაყებდა. ორგზის ღირსების მედალოსანი გურამ მოდებაძე კი მონაგარს არ სჯერდება.

- აქამდე მოპოვებული ყველა წარმატება უკვე ისტორიის კუთვნილებაა, - ამბობს იგი. - მათი მიღწევა მარტოს გამიჭირდებოდა, ჩემ გვერდით რომ არ იდგნენ სპარტაკ გორგაძე, ამირან კელეხაშვილი, ავთანდილ დილმელაშვილი და ბათო ჯიქური. ახლახან ახალგაზრდა მწვრთნელი ლექსი ლვინიაშვილი შემოგვიერთდა. ყველანი ერთად ვეცდებით, სამომავლოდ გამარჯვებები ვამრავლოთ.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ატლანტის ოლიმპიური თამაშების (1996) მესამე პრიზიორს, ევროპის ჩემპიონატის (1993) მეორე პრიზიორს, ძიუდოსა და სამბოს მსოფლიოს ჩემპიონატების (1993) ბრინჯაოს მედალოსან **სოსო ლიპარტელიანს.**

## ძიუდოში 2009 წლის თებერვლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი

9-12. საფრანგეთი. პარიზში ერთობლივი ვარჯიშები. დიდები
14-15. უნგრეთი. მსოფლიოს თასი. დიდები
20-26. ჰოლანდია. ჰამბურგის დიდი სლემი ერთობლივი ვარჯიშები. დიდები
21-22. ბოლნისი. ა. მარგველანის ხსოვნის ტურნირი. ჭაბუკები (1993-1994 წწ)
28.02-1.03. პოლონეთი. მსოფლიოს თასი. დიდები

კალათბურთი

ესპანეთის ჩემპიონატი

# ნევენ სპაჰია: შენგელიამ იმაზე უკეთესად ითამაშა, ვიდრე მოველოდი

## თორნიკე ფერარის სიჩქარით


თორნიკე შენგელია

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო, 22-ე ტურში ნიკოლოზ ცქიტიშვილის „ფუენლაბრადამ“ დაისვენა. ამის მიუხედავად იქაურ პირველობაზე საქართველოს ნაკრების სამმა კალათბურთელმა ითამაშა - „ვალენსიას“ შემადგენლობაში ესპანეთის პირველობაზე დებიუტი ჰქონდა 17 წლის თორნიკე შენგელიას. იგი ვალენსიელთა შემადგენლობაში 13 იანვარსაც გამოჩნდა, ოღონდ, მაშინ ევროთასზე ითამაშა. ესპანურ პირველობაზე კი დებიუტი 22-ე ტურში, ვლადიმერ ბოისას „მენორკას“ წინააღმდეგ ჰქონდა.

| ვალენსია-მენორკა | 87:56 |
|---|---|

თორნიკე შენგელია: 9 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი

ვლადიმერ ბოისა: 17 წუთი, 0 ქულა, 0 ოხსნა, 1 პასი

ვალენსიელებმა მენორკელებთან მატჩის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყვიტეს - მეოთხე ათწუთეულში 24:7 აჯობეს. მასპინძელთა ხორვატმა მწვრთნელმა, **ნევენ სპაჰიამ** თორნიკე მოედანზე მანამდე, მესამე პერიოდში შეუშვა და არც უნანია. შენგელიამ თავიდან 2 ფოლი მიიღო, მაგრამ შემდეგ ბოლომდე გაიხსნა და ესპანურ გაზეთებს თუ ვენდობით, იგი ბურთის მიღებისთანავე ჯიქურ მიიწევდა მეტოქის კალათისკენ. ან ესპანური გაზეთების თქმა რად გვინდა, ინტერნეტსაიტ www.acb.com-ზე მატჩის საუკეთესო ეპიზოდებში თორნიკეს დრიბლინგიცაა შესული. მან ბურთი საკუთარ მოედანზე მიიღო, მეტოქის ნახევარზე ელვის სისწრაფით გადავიდა, ორ მოწინააღმდეგეს კარგად დაუძვრა, ბურთი ფარქვეშიდან მაღალი ტრაექტორიით ააგდო და კალათში მოათავსა. ერთ-ერთი მეტოქე ვლადიმერ ბოისა რომ არ ყოფილიყო, უფრო მეტად გაგვიხარდებოდა.

შენგელიამ საბოლოოდ 9 წუთში 7 ქულა რომ მიითვალა, ზემოთ უკვე წაიკითხავდით. აქ დავამატებთ, რომ თორნიკემ 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

ვიდრე ესპანურ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე გადავიდოდეთ, მოგახსენებთ - შენგელია „ვალენსიას“ შემადგენლობაში **რუბენ დაგლასის** წასვლით გამოთავისუფლებულ ადგილზე ჩაჯდა. ამერიკელი კალათბურთელი მწვრთნელმა ნევენ სპაჰიამ დისციპლინის დარღვევის გამო მოკვეთა.

ინტერნეტგამოცემა „სოლობასკეტში“ დეტალურად არის განხილული, თორნიკეს თამაში: *„შენგელიას დებიუტი ევროთასზე ჰქონდა, მაგრამ გუშინ „მენორკასთან“ მატჩში დაამტკიცა, რომ ესპანეთის ჩემპიონატისთვისაც მზადაა. მით უმეტეს, რომ თავიდან ორი ჯარიმა მიიღო. თუმცა ამან ვერ შეაშინა და მომდევნო შეტევისას* ***ბუდ ელის*** *წესების დარღვევა აიძულა. ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ, მორიგი იერიში კვლავ თორნიკემ დააგვირგვინა - სწრაფი შეტევა ფარქვეშიდან ტყორცნით დაასრულა. ახალგაზრდა ქართველის თამაშს ოვაცია მოჰყვა როგორც „პამესას“ სათადარიგოთა სკამიდან, ასევე ტრიბუნებიდან. მისი გარჯა საბოლოოდ 5 ბალით შეფასდა.“*

ახლა გაზეთი „ტუბასკეტი“ გადავფურცლოთ. იქ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას საინტერესო სათაური აქვს: „შენგელიას „პამესას“ ბოლო 12 დებიუტანტს შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა“. ქვემოთ ვკითხულობთ: *„ვალენსიელთა შემადგენლობაში ესპანეთის პირველობაზე ქართველი თორნიკე შენგელიას დებიუტი შედგა. იგი ბოლო 12 დებიუტანტს შორის საუკეთესო იყო. თოკოს თითოეულ ქულას გულშემატკივარი ხმაურიანად ხვდებოდა. საბოლოოდ შენგელიამ 7 ქულა ჩააგდო. 7 ქულამდე სადებიუტო მატჩებში ვერ მიაღწიეს* ***მეტ ნილსენმა, კოსტა პეროვიჩმა, რაფა მარტინესმა, ერმალ ქუკომ, ფლორან პიეტრუსმა.***

თორნიკე შენგელიამ დებიუტანტ ახალგაზრდა ვალენსიელებსაც აჯობა: **ბოჟიდარ აბრამოვს, მარკ მოლინას, ფაბიო ფონსეკასა და კლაუდიო კრუზს.“**

გაზეთ „ლას პროვინსიასში“ ჩვენთვის საყურადღებო შედარებები იყო მოყვანილი. ეს ყველაფერი ავტორმა ერთ აბზაცში ჩატია: *„მიუხედავად იმისა, რომ აბრამოვი ბულგარელია, ხოლო შენგელია - ქართველი, მაინც ვალენსიას სკოლის წარმომადგენლები არიან და მათ მოედანზე გამოჩენას ადგილობრივი ქომაგი გიჟური ოვაციით შეხვდა.*

*202 სმ სიმაღლის თორნიკეს ნამდვილად არ ეტყობოდა, რომ ახალბედა იყო. იგი მოედანზე „ფერარის“ სისწრაფით გადაადგილდებოდა და თამამად შეგვიძლია შევადაროთ მშვენიერ ყვავილს, აყვავებულ ბაღში. ...მაგრამ არის ერთი პრობლემა: საკითხავია, მომდევნო მატჩებში მისცემს თუ არა მას მწვრთნელი საკმარის სათამაშო დროს.“*

დაბოლოს, თავად ნევენ სპაჰიასეულ კომენტარს, თორნიკეს შესახებ გაზეთ „ლევანტეში“ ვხვდებით: *„პამესას მთავარმა მწვრთნელმა, სპაჰიამ დებიუტანტ ახალგაზრდებზე მოკლედ ისაუბრა: „აბრამოვმა თავიდანვე ჯარიმები მიიღო და იგი მარიო სტოიჩით შევცვალე. შენგელიამ კი იმაზე უკეთესად ითამაშა, ვიდრე მოველოდი. საერთოდ, კარგი მატჩი ჩავატარეთ. დაცვაში ისე ვითამაშეთ, როგორც აქამდე, შეტევაში კი სხვა მატჩებზე უკეთესად გავისარჯეთ.“*

| კახასოლ-რეალი | 92:95 |
|---|---|

ტაირონ ელისი: 36 წუთი, 7 ქულა, 1 მოხსნა. 4 პასი

სევილიურ „კახასოლს“ სეზონის პირველი გამარჯვება მადრიდში, „რეალთან“ ჰქონდა. **ტაირონ ელისის** თანაგუნდელებმა მეორე შეხვედრაც კარგად ჩაატარეს, მაგრამ „რეალთან“ ბოლო წუთებზე დამარცხდნენ.

21 მატჩის შემდეგ „კახასოლს“ 4 მოგება აქვს და უკანასკნელ, მე-17 პოზიციაზეა. მის ზემოთ, მე-16 ადგილს ამაგრებს ვლადიმერ ბოისას „მენორკა“ - 5 მოგება. ლიგიდან სწორედ ორი ბოლოადგილოსანი ვარდება. მერვე პოზიციაზეა ნიკა ცქიტიშვილის „ფუენლაბრადა“ - 10 მოგება 10 წაგება. პლეი ოფში საუკეთესო რვაეული გადის. მეშვიდეა თორნიკე შენგელიას „პამესა“ - 12 მოგება, 9 მარცხი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ესტონეთის ჩემპიონატი

# ორმაგ დუბლზე რა მოგახსენოთ...

## მაგრამ სანიკიძე მატჩის საუკეთესო იყო

| ტტუ-როკი | 66:96 |
|---|---|

გიორგი ცინცაძე: 28 წუთი, 9 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი

ვიქტორ სანიკიძე: 29 წუთი, 22 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 2 დაფარება

**ვიქტორ სანიკიძისგან** ზედიზედ მეოთხე ორმაგ დუბლს მოუთმენლად ველოდით, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ვიქტორმა მართალია დაბლდაბლი ვერ გაიფორმა, მაგრამ თანაგუნდელთა შორის მაინც საუკეთესო იყო - 29 წუთში 22 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი, 7-დან 3 საჯარიმო), 4 მოხსნა, 5 პასი და 2 დაფარება მიითვალა. მასზე ორი ქულით მეტის ჩამგდებ **კულმაეს** მხოლოდ 2 მოხსნა და ერთი პასი ჰქონდა. სწორედ ამიტომ, მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით მატჩის საუკეთესო კალათბურთელი ვიქტორი იყო.

იკითხავთ: ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ რომელ მატჩზე საუბრობთო? მაგასაც მოგახსენებთ და გიორგი ცინცაძის მონაგარსაც.

ესტონეთის ჩემპიონატში „ტარტუ როკმა“ მეოეადგილოსანი ტტუ მისსავე მოედანზე დაიბრიყვა - 96:66.

ცინცაძემ სანიკიძის დარად მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, 4-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 9 ქულას გამორჩა.

ესტონეთის პირველობაზე ტარტუელებს 12 მატჩი აქვთ ჩატარებული და ჯერ ერთიც არ დაუთმიათ.

უკრაინის ჩემპიონატი

# შურისძიება დონეცკში

| დონეცკი-კიევი | 80:81 |
|---|---|

მანუჩარ მარკოიშვილი: 19 წუთი, 10 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა

უკრაინის ჩემპიონატში მორიგი გასვლითი მატჩი მოიგო **მანუჩარ მარკოიშვილის** „კიევმა“. დედაქალაქელებმა „დონეცკი“ მისსავე მოედანზე **სკუნი პენის** გადამწყვეტი ტყორცნის წყალობით დაამარცხეს. შეგახსენებთ, რომ „კიევს“ პირველ წრეში სეზონის პირველი მარცხი სწორედ „დონეცკმა“ აგემა.

მანუჩარ მარკოიშვილმა 19 წუთში 2-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი ჩააგდო და 10 ქულამდე ავიდა. მატჩის სნაიპერი კიეველი **კლეი ტაკერი** გახდა - 16 ქულა ჩააგდო.

**ვაჟა სიმონიშვილი**


ვიქტორ სანიკიძე

რაგბი

ლეგიონერები


მალხაზ ურჯუკაშვილი

# ურჯუკაშვილის პრესტიჟის ლელო

სანამ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ჰაიდელბერგში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ იბრძოდა, ეროვნული გუნდის მიღმა დარჩენილმა რამდენიმე ლეგიონერმა, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონის გათამაშების მორიგ ტურში იასპარეზა.

მე-19 ტურში გათამაშების ლიდერმა **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა“ სტუმრად დაამარცხა **მალხაზ ურჯუკაშვილის, გიორგი ჟღენტისა და ლევან დათუნაშვილის** „ორიაკი“ - 35:16. ურჯუკაშვილმა, რომელიც 79-ე წუთზე შეცვალეს, 57-ე წუთზე პარიზელებს ლელო გაუტანა, თუმცა ამან ორიაკელებს ვერაფერი შვება მოჰგვარა, რადგან უკვე 11:28 აგებდნენ. ძირითად შემადგენლობაში იყო ჟღენტიც, რომელმაც მოედანი 76-ე წუთზე დატოვა. დათუნაშვილი განაცხადში არ იყო. ჩხაიძე ეროვნულ ნაკრებში ირჯებოდა.

„ორიაკმა“ ზედიზედ მეხუთე მარცხი იგემა და სულ რაღაც ერთი თვის წინათ ლიდერთა ჯგუფში მყოფი მე-10 ადგილამდე დაქვეითდა. პარიზელებმა კი კიდევ უფრო გაიმყარეს პოზიციები. მით უფრო, რომ უახლოესმა მდევარმა „ალბიმ“ სტუმრად წააგო მინიმალური ანგარიშით - 9:10 **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონთან“. თამაში ძალზე უხეში გამოდგა. კუთარაშვილს, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო, მატჩის არბიტრმა ჯერ ყვითელი ბარათი უჩვენა და 10 წუთით გააძევა პირველი ტაიმის მიწურულს. მერე კი, 56-ე წუთზე „ბომბორამ“ წითელ ბარათსაც გამოჰკრა ხელი და თამაშის ბოლომდე დატოვა მინდორი.

საკმაოდ უხვლელოიანი გამოდგა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენის“ საშინაო შეხვედრა **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბთან“. მასპინძლებმა მატჩი - 45:23 მოიგეს. ფეიქრიშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 22-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელი გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში.

სტუმრად „ლიონთან“ დამარცხდა საპლეიოფო ოთხეულში მყოფი **დავით აშვეთიას** „ოიონაქსი“ - 6:9. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 40-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრადვე წააგო „გრენობლთან **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ“ - 8:12. მალაღურაძე ბორჯღალოსანთა რიგებში ირჯებოდა.

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

XIX ტური: **ნარბონი-ალბი 10:9, გრენობლი-ბეზიე 12:8, ლიონი-ოიონაქსი 9:6, კოლომიე-პო 18:13, ბურგ ან ბრესი-ოში 36:0, აჟენი-ტარბი 45:23, ლა როშელი-ბორდო 13:16, ორიაკი-მეტრო რასინგი 16:35.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 63 ქულა, 2. ალბი - 57, 3. ლა როშელი - 54, 4. ოიონაქსი - 53, 5. აჟენი - 53, 6. პო - 48, 7. ლიონი - 47, 8. გრენობლი - 45, 9. ტარბი - 42, 10. ორიაკი - 42, 11. ბორდო - 41, 12. ოში - 37, 13. ნარბონი - 37, 14. კოლომიე - 36, 15. ბეზიე - 27, 16. ბურგ ან ბრესი - 21.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლელოელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი, „ლელოს“ ყოფილი თანამშრომელი

**ნუგზარ შატაიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს



## კალათბურთი

**ბოსტონი-სან ანტონიო 99:105**

23:22, 29:38, 24:14, 23:31

ბ: გარნეტი (26+12 მოხსნა), პირსი (19+8 მოხსნა), რ. ალენი (18), ტ. ალენი (11), პერკინსი (10+7 მოხსნა), რონდო (6+16 პასი).

ს-ა: დანკანი (23+13 მოხსნა), ბონერი (23+8 მოხსნა), ჯინობილი (19+3 ჩაჭრა), რ. მეისონი (11).

**კლივლენდი-ლეიკერსი 91:101**

32:30, 29:21, 16:29, 14:21

კ: ილგაუსკასი (22+9 მოხსნა), მ. უილიამსი (19), ლ. ჯეიმსი (16+8 მოხსნა+12 პასი), შჩერბიაკი (16), ვარეჟაო (6+9 მოხსნა).

ლ: ოდომი (28+17 მოხსნა), ბრაიანტი (19), პ. გასოლი (18+12 მოხსნა+6 პასი), ფიშერი (13+3 ჩაჭრა).

**მაიამი-შარლოტი 96:92**

18:20, 25:19, 26:22, 27:31

მ: უეიდი (22+4 ჩაჭრა), ჩელმერსი (16+13 პასი), დ. კუკი (16), ჰასლემი (14+8 მოხსნა), მერიონი (8+10 მოხსნა).

შ: ოგუსტინი (27+6 პასი), ჯ. ჰოვარდი (14), ოკაფორი (10+8 მოხსნა), დიაო (10), ფელტონი (9+11 პასი).

**ორლანდო-ნიუ ჯერსი 101:84**

32:18, 27:27, 20:20, 22:19

ო: დ. ჰოვარდი (30+16 მოხსნა+3 ჩაჭრა), პიეტრუსი (17), თურქოგლუ (15+8 პასი), ლუისი (14).

ნ-ჯ: დ. ჰარისი (28+12 პასი), ბ. ლოპესი (19+12 მოხსნა), ჯ. ჰეიესი (13).

**პორტლენდი-ნიუ იორკი 109:108**

36:27, 23:23, 23:32, 27:26

პ: აუთლო (23), როი (19+8 პასი), ოდენი (17+12 მოხსნა+6 დაფარება), როდრიგესი (16+6 პასი), ოლდრიჯი (16+7 მოხსნა).

ნ-ი: დ. ლი (29+11 მოხსნა), რობინსონი (19), ელ ჰარინგტონი (19), ტ. ტომასი (17), დუჰონი (10+10 პასი).

**ვაშინგტონი-ინდიანა 119:117**

29:37, 32:26, 31:31, 27:23

ვ: კ. ბატლერი (35+13 მოხსნა), ჯეიმისონი (34), ნ. იანგი (20), სონგაილა (13).

ი: გრეინჯერი (29), ფორდი (23+7 პასი), მერფი (18+10 მოხსნა), ჯეკი (16), ბ. რაში (11).

**ნიუ ორლეანი-მინესოტა 101:97**

24:31, 25:21, 27:28, 25:17

ნ-ო: რ. ბატლერი (23+8 მოხსნა), მერქსი (18), დ. ბრაუნი (14), ა. დენიელსი (12+7 პასი), სტოიაკოვიჩი (11).

მ: ელ ჯეფერსონი (25+14 მოხსნა), გომესი (21), ტელფეირი (14+6 პასი), ლავი (12+10 მოხსნა), ფოიე (10).

**ოკლაჰომა-საკრამენტო 116:113**

34:23, 25:23, 25:34, 32:33

ო: დურანტი (39+7 მოხსნა), ჯ. გრინი (15+7 მოხსნა), კოლისონი (15), კრსტიჩი (14), უესტბრუკი (11+7 მოხსნა+8 პასი).

ს: უდრიხი (29), სალმონსი (23+11 პასი), მარტინი (23), ჰოვსი (15), გარსია (10).

**დეტროიტი-ფინიქსი 97:107**

29:29, 21:33, 24:21, 23:24

დ: ჰემილტონი (27), აივერსონი (25+7 პასი+4 ჩაჭრა), რ. უოლასი (16+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), პრინსი (11), მაკდაესი (4+13 მოხსნა).

ფ: ჯ. რიჩარდსონი (21), შ. ო'ნილი (20+10 მოხსნა), სტაუდმაიერი (18+7 მოხსნა), ბარბოზა (17), ნეში (15+21 პასი), ჰილი (10).

**გ. სტეიტი-იუტა 116:96**

23:21, 25:24, 38:24, 30:27

გ-ს: მაგეტი (24+3 ჩაჭრა), ს. ჯექსონი (20+10 მოხსნა+8 პასი), აზუბუიკე (16), უოტსონი (14), ტურიაფი (13), ელისი (12), კროუფორდი (11+6 პასი).

ი: დ. უილიამსი (31+7 მოხსნა+10 პასი), ოქური (21+9 მოხსნა), მაილზი (10+7 მოხსნა).

## ჰოკეი. NHL

**პიტსბურგი-დეტროიტი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 დაციუკი-21 (ზეტერბერგი-28, რაფალსკი-32), 0:2 მარიან ჰოსა-30 (ფილპულა-20, ლილია-10), 0:3 დაციუკი-22 (ლიდსტრიომი-27).

**ატლანტა-ფილადელფია 2:3**

0:1, 0:1, 2:1

გოლები: 0:1 ჯ. კარტერი-33 (ჰარტნელი-19), 0:2 ლუპული-16 (მ. კარლი-11, ჯ. კარტერი-24), 0:3 ჯ. კარტერი-34 (ჰარტნელი-20, ქობურნი-14), 1:3 კოვალჩუკი-22 (ტ. უაიტი-31, ვიაჩ. კოზლოვი-28), 1:4 ვიაჩ. კოზლოვი-17 (შნაიდერი-9, კოვალჩუკი-30).

**მინესოტა-ედმონტონი 3:2 (ბ)**

1:1, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 სურეი-14 (გრებეშკოვი-21, ჰემსკი-28), 1:1 ბელანჟე-11 (ნოალნი-10, კ. იონსონი-13), 2:1 მიეტინენი-11 (მ. კოივუ-36, შულტცი-6), 2:2 სემ განიე-5 (შმიდი-6, რ. ნილსონი-13).

ბულიტები გაიტანეს: მ. კოივუ (მინესოტა).

**დალასი-ნეშვილი 4:1**

2:0, 0:1, 2:0

გოლები: 1:0 სატერბი-6 (ბ. რიჩარდსი-32, რობიდასი-18), 2:0 პერიში-7 (ნილი-10, გროსმანი-6), 2:1 არნოტი-20 (დუმონი-28, რ. ჯონსი-7), 3:1 ბ. რიჩარდსი-15 (რიბეირო-36, ლეჰტინენი-13), 4:1 ოტი-11 (ლეჰტინენი-14, ნისკანენი-20).

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# საკრამენტომ უებერი დააფასა




"საკრამენტო კინგზმა" თავის ყოფილ ფორვარდ **კრის უებერს** სამუდამო მფლობელობაში გადასცა 4-ნომრიანი მაისურა.

"საკრამენტოს" არენის თაღზე მაისურის აღმართვის საზეიმო ცერემონია "იუტა ჯაზთან" მატჩის წინ გაიმართა. ამიერიდან, "კინგზის" რიგებში ვერც ერთი კალათბურთელი ვერ ითამაშებს მეოთხე ნომრით.

36 წლის უებერმა აქტიური სპორტული კარიერა შარშანდელ სეზონში დაასრულა. ის 1993 წლის დრაფტზე პირველ ნომრად აირჩიეს და იქიდან მოყოლებული, ლიგაში 15 სეზონი გაატარა. "საკრამენტოს" გარდა, კრისს "ვაშინგტონში", "დეტროიტში", "გოლდენ სტეიტსა" და "ფილადელფიაში" უთამაშია. "მეფეების" რიგებში უებერმა 6 წელი გაატარა და ექვსივე სეზონში გუნდი პლეი ოფის მიღმა არ დარჩენილა.

სულ კარიერაში უებერმა 17 182 ქულა, 8 124 მოხსნა და 3 526 პასი დააგროვა. მას ხუთჯერ აქვს ნათამაშები NBA-ის "ყველა ვარსკვლავის მატჩში".

# აურზაური ამარეს გამო

მას შემდეგ, რაც "ფინიქს სანზის" ხელმძღვანელობამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერის - **ამარე სტაუდმაიერის** სავარაუდო გასხვისების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, ფინიქსელ მძიმე ფორვარდს უამრავი მსურველი გამოუჩნდა.

The New York Daily News-ის ინფორმაციით, "ფინიქსთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს "ნიუ ჯერსი ნეტსი". ეს უკანასკნელი მზად არის ამარეში **იი იანლიანი და რაიან ანდერსონი** დათმოს. გარდა ამისა, "ნიუ ჯერსი" მომავალი დრაფტის ერთ ნომერსაც შეელევა. თუმცა "სანზი" ამგვარ კომპენსაციას არ თანხმდება და ცდილობს ცენტრი **სტრომაილ სვიფტი** და ფორვარდი **ჯერვის ჰეიესიც** ჩაიგდოს ხელში.



სტაუდმაიერით დაინტერესებას არ მალავს "ტორონტო რეპტორზი". კანადური კლუბი მომავალ ტრეიდში მესამე გუნდის ჩართვას აპირებს. ეს გახლავთ "დეტროიტ პისტონზი", რომელიც დიდი ხანია გეგმავს "ტორონტოს" ლიდერ **კრის ბოშის** ხელში ჩაგდებას. სამგუნდიანი ტრეიდის თანახმად, ამარე "ტორონტოში" წავა, ბოში - "დეტროიტში", ხოლო "პისტონზიდან" "ფინიქსის" მიმართულებით, სავარაუდოდ, ფორვარდი **ტაიშონ პრინსი** გაემგზავრება.

■ ■ ■

"ფინიქსის" გარდა, "ნიუ ჯერსის" შეფობა "კლივლენდთან", "ჩიკაგოსთან" და "სან ანტონიოსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. "ნეტს" თავისი ვარსკვლავური ფორვარდის **ვინს კარტერის** გაშვება აქვს განზრახული.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, 32 წლის კალათბურთელმა მომავალ ორ სეზონში 33 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს და შესაძლებელია, ტრეიდის განხორციელებას სწორედ ამ მაღალმა თანხამ შეუშალოს ხელი.

■ ■ ■

"მილუოკი ბაქსი" თავის მსუბუქ ფორვარდ **რიჩარდ ჯეფერსონის** გაცვლის თაობაზე დაფიქრდა. სხვათა შორის, ეს გახლავთ დიდი კონტრაქტის მქონე ერთადერთი ჯანმრთელი კალათბურთელი "ირმების" შემადგენლობაში.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, ამ კალათბურთელით, ალბათ, "კლივლენდ კავალიერზი" დაინტერესდება, რომელსაც სანაცვლოდ "მილუოკისთვის" მსუბუქი ფორვარდის **უოლი შჩერბიაკის** შეთავაზება შეუძლია.

■ ■ ■

ბოლო პერიოდში "ვაშინგტონ უიზარდსს" ხშირად უკავშირდებიან გუნდის ორი ლიდერის – **ანტუან ჯეიმისონისა და კერონ ბატლერის** შეძენის თაობაზე. მაგრამ დედაქალაქური კლუბის პრეზიდენტმა **ერნი გრიუნფელდმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდი არ აპირებს ამ ორ ფორვარდთან გამოთხოვებას და შესაბამისად, არანაირ მოლაპარაკებებში არ ჩაებმება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ტერიმ თითი მოიტეხა

"დალას მავერიქსს", შესაძლოა, დიდი ხნით გამოაკლდეს ამ სეზონში კლუბის მეორე ბომბარდირი **ჯეისონ ტერი**. მცველმა "ჩიკაგოსთან" მატჩში მარცხენა ხელის თითი მოიტეხა. გუნდის მთავარი მწვრთნელის **რიკ კარლაილის** თქმით, ტრავმის ხარისხის შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია დღევანდელი სამედიცინო შემოწმების შემდეგ გახდება ცნობილი.

"ჩიკაგოსთან" ტერიმ 16 წუთი დაყო მოედანზე და 8 ქულა დააგროვა. ამ სეზონში "მავერიქსის" მცველის საშუალო მონაგარი 20.2 ქულასა და 3.2 შედეგიან გადაცემას უდრის.

## რივერსი 15 ათასით დასაჯეს

"ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** "ლეიკერსთან" მატჩში მსაჯების შეურაცხყოფისთვის 15 ათასი დოლარით დაჯარიმდა.

ინციდენტი შეხვედრის ბოლო წუთზე მოხდა. მოქმედი ჩემპიონის დამრიგებლის აზრით, მსაჯმა კალიფორნიელი **დერეკ ფიშერის** მხრიდან წესის დარღვევა არ დააფიქსირა იმ მომენტში, როცა ბოლო წამებზე სამქულიანს ბოსტონელი მცველი **რეი ალენი** ასრულებდა.

გარდა ამისა, რივერსი მეორე მეოთხედშიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა მსაჯის მოქმედებით. "ბოსტონის" თავკაცმა ჩათვალა, რომ ორივე გუნდის მხრიდან "ბინძური თამაში" მსაჯის კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ლიდსი-მილუოლი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-რაშდენი | 3:0 |
| კიდერმინსტერი-კემბრიჯი | გადაიდო |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ჩიტადელა-აველინო | 4:0 |
| **სერია C1/B** | |
| კროტონე-კავეზე | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ნიურნბერგი-კაიზერი | 3:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონპელიე-რეიმსი | 2:2 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-ბელენენსეში | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კავალა-ეთნიკოსი (ა) | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიარბაქირი-ადანა | 1:0 |
| **კვიპროსი** | |
| აპეპ-აპოპ | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბეითარი | 4:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კლუჟი-ბელხატოვი | 2:3 |
| სპარტა-დინამო (კ) | 0:2 |
| შლიონსკი-ცრვენა ზვეზდა | 2:2 |
| დუბლინი-სტ. პატსი | გადაიდო |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. როტერდამი** | |
| ტურსუნოვი-კლემანი | 6:0, 6:3 |
| ფ. ლოპესი-ბენეტო | 4:6, 7:5, 2:6 |
| იუჟნი-რეკოდერკი | 6:4, 6:4 |
| დავიდენკო-ანდრეევი | 6:3, 6:2 |
| სეპი-დე ბაკერი | 6:7, 6:2, 7:6 |
| **ATP. კოშტა დე სოუპე** | |
| ლაპენტი-მარტინი | 4:6, 5:7 |
| ლოპესი-სილვა | 7:5, 6:7, 3:6 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| ნიემინენი-სერა | 5:7, 7:6, 4:6 |
| კუნიცინი-კ. როხუსი | 2:6, 6:7 |
| **WTA. პარიზი** | |
| ნა ლი-შავაი | 7:6, 6:2 |
| მედინა გარიგესი-კანეპი | 6:3, 2:6, 5:7 |
| პავლიუჩენკოვა-რაზანო | 6:4, 6:1 |
| რეზაი-ლიუბცოვა | 6:7, 6:7 |
| შპრემი-გერგესი | 7:6, 7:5 |
| კამერინი-სევასტოვა | 3:6, 6:4, 4:6 |
| პინი-ლუა | 3:6, 3:6 |
| **WTA. პატაია** | |
| პენგი-სანტანჯელო | 3:6, 6:2, 6:0 |
| გროტი-ვოსკობოევა | 6:4, 2:6, 1:6 |
| დუშევინა-ბოვინა | 6:4, 7:5 |
| პერვაკი-იონემურა | 6:1, 6:1 |

ევროპული ბიბლიოთეკა

## TV პროგრამა

**10 თებერვალი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:15 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:15 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
01:05 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
02:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:50 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

07:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ლიდსი-სელტიკი.
09:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ვახტანგ დარჩინიანი-ჯორჯ არსე.
11:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
11:20 დროთა კავშირი.
11:25 ჰარმონიის ფორმულა.
11:40 მძლეოსნობა. ბელგია.
14:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
14:15 ჰარმონიის ფორმულა.
14:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა.
15:30 ექო – საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
17:30 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
17:45 თხილამურის კვალი.
18:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
18:35 რკინის ფაქტორი.
19:15 მაგიდის ჩოგბურთი. TOP12-ის საერთაშორისო ტურნირი. გერმანია.
21:00 სინქრონული ციგურაობა.
22:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
22:15 დროთა კავშირი.
22:25 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
22:30 კალათბურთი. NBA-ის საკვირაო მიმოხილვა.
23:20 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/8 ფინალი. I მატჩი. ნოლიკო (ბელგია)-ისკრა (რუსეთი) (LIVE).
01:15 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
01:35 დროთა კავშირი.
01:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
02:00 მძლეოსნობა. ბელგია.
04:30 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
04:50 დროთა კავშირი.
04:55 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
05:00 ტაილანდური კრივი.
06:00 კალათბურთი. NBA-ის საკვირაო მიმოხილვა.
06:45 სინქრონული ციგურაობა.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრია-თურქეთი.
13:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-შვედეთი.
14:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საბერძნეთი-იტალია.
15:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
16:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
20:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:50 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი.
23:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
00:00 პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. სატიტულო ბრძოლა. სუპერმძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-ე. ჰოლიფილდი (აშშ). აშშ.
02:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია.
02:45 ავტოსპორტი. დეიტონას 24 საათი. აშშ.
03:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პანათინაიკოსი-პანიონიოსი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. II ტური. ხიმკი (რუსეთი)-დინამო (რუსეთი).
18:15 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. II ტური. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ბილბაო (ესპანეთი).
19:15 ხელბურთი. ესპანეთის ლიგა. ტელეჟურნალი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
20:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. III ტური. დინამო (რუსეთი)-მარუსი (საბერძნეთი) (LIVE).
22:15 ახალი ამბები.
23:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
00:45 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი III ტური. ზადარი (ხორვატია)-უნიქსი (რუსეთი).
02:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ახალი წითელი ხარი




**გუშინ**, "რედ ბულ რეისინგმა" ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებთაგან, ერთ-ერთმა უკანასკნელმა წარმოადგინა ახალი სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდი.

**ადრიან ნიუის** მიერ შექმნილი RB5-ის პრეზენტაცია ესპანეთის ხერესის ტრასაზე შედგა და ხანმოკლე ფოტოსესიის შემდეგ, მანქანამ ტრასაზე გადაინაცვლა.

პრეზენტაციის მთავარი მოქმედი პირები "რედ ბულის" ძირითადი პილოტები - გერმანელი **სებასტიან ფეტელი** და ავსტრალიელი **მარკ უებერი** იყვნენ. ეს უკანასკნელი ფეხის უმძიმესი ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგა და მალე სატესტო სერიაში ჩაებმება.

გუნდის შეფმა **კრისტიან ჰორნერმა** "რედ ბულს" მიზნად ახალი სეზონის ერთ-ერთ გრანპრიში გამარჯვება დაუსახა.

*"2009 წელს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ გუნდის სტაბილურობა და ჩვენი ტექნიკური განყოფილების თანამშრომელთა პროფესიონალიზმი. ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ შექმნეს მანქანა, რომელმაც 2008 წელს "ტორო როსოსა" და სებასტიან ფეტელს გრანპრი მოაგებინა.*

*რატომ არ უნდა ვიფიქროთ ასეთივე წარმატებაზე ახალ სეზონში, მით უმეტეს, რომ წელს ახალ რეგლამენტის პირობებში მოგვიწევს გამოსვლა და არავინ იცის, როგორ აუღებენ გუნდები ალღოს გადახალისებულ წესებს. პირადად ჩვენ ახალ პირობებთან შესაგუებლად დიდი ძალისხმევა არ დაგვჭირვებია და მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებთ"*, - ამბობს ჰორნერი.

■ ■ ■

ჯერჯერობით უცნობია "ტორო როსოს" ახალი ბოლიდის პრეზენტაციის ზუსტი თარიღი. ამ გუნდის ფრანგი პილოტი **სებასტიან ბურდე** აცხადებს, რომ ხერესში უახლოეს ტესტებზე საჯინიბო 2008 წლის მანქანებს გამოიყვანს, ახალი ბოლიდი კი დღის სინათლეს გაზაფხულის დასაწყისში იხილავს.

*"რა თქმა უნდა, არც ისე სახარბიელო სიტუაციაა, როცა ახალი მანქანის პრემიერა ფაქტობრივად ახალი სეზონის დასაწყისს ემთხვევა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა"*, - აცხადებს ბურდე.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ჩემპიონატის პირველი რბოლა 29 მარტს, ავსტრალიაში ჩატარდება.




# ჰოკეისტი კიმი

**ბაჰრეინში** გასამართი ტესტების წინ, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ფინელმა **კიმი რაიკონენმა** რამდენიმე დღე სამშობლოში გაატარა.

როგორც გაზეთი Iltalehti წერს, კიმი ფინეთში პარასკევს ჩავიდა და იმავე საღამოს ის ღამის კლუბში მეგობრებთან ერთად შეამჩნიეს. თუმცა თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ალკოჰოლის მოყვარული კიმი იმ ღამით სპირტიან სასმელს არ მიჰკარებია და მხოლოდ "კოკა კოლას" მიირთმევდა.

მეორე დღეს კი რაიკონენი მისთვის უჩვეულო ამპლუაში მოგვევლინა - მან მონაწილეობა მიიღო ჰოკეის საქველმოქმედო მატჩში, რომელსაც "ლეგენდები ყინულზე" ერქვა. როგორც ამბობენ, ფორმულა 1-ის პილოტს ცუდად არ უთამაშია.

*"ის დაძაბული ემზადება ახალი ჩემპიონატისთვის და ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება ტრასას. წელს კიმი აუცილებლად დაიბრუნებს ფორმულა 1-ში ლიდერობას"*, - ამბობს რაიკონენის მუდმივი პრესმდივანი **რიკუ კუვაია**.

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლინდსი და აქსელი

■ ■ ■

**მსოფლიოს** ჩემპიონატის კალენდრის მიხედვით, გუშინ ვალ დ'იზერში მამაკაცებს შორის სუპერკომბინაციაში მედლების მორიგი კომპლექტი უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ გუშინდელი პროგრამა, უამინდობის გამო წინა დღიდან გადმოტანილი ქალთა სწრაფდაშვების სტარტით დაიტვირთა.

ქალებმა ურთიერთობა მამაკაცთა სუპერკომბინაციის ორი სტარტს - სწრაფდაშვებასა და სლალომს შორის გაარკვიეს და კანონზომიერი ჩემპიონიც გამოავლინეს. ჩქაროსნულ დისციპლინებში ბადალი არ ჰყავს ამერიკელ **ლინდსი ვონს**, რომელმაც ამ ჩემპიონატზე ოქროს მეორე მედალი მოიპოვა.

ვონი ფავორიტთაგან ბოლო გავიდა სტარტზე და იოლად გააუმჯობესა ამ ჩემპიონატის ალმოჩენად მონათლული შვეიცარიელის **ლარა გუტის** დრო. ახლა, ლინდსის გულშემატკივრები დანანებით იხსენებენ იმ შეცდომას, რომელიც ამერიკელმა სუპერკომბინაციის სლალომის ეტაპზე დაუშვა, თორემ ვონს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონად მოვიხსენიებდით.

17 წლის გუტი კი ძალიან აოცებს სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს. ამ უშიშარმა გოგონამ ბრწყინვალე სტილში მოიგო ზედიზედ მეორე ვერცხლის მედალი. სხვათა შორის, გუტმა ტრასაზე ყველაზე მაღალი სიჩქარე განავითარა.

მამაკაცების სუპერკომბინაციაში ნორვეგიელმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა** სწრაფდაწვებაში მოპოვებული ლიდერობა შეინარჩუნა. სკანდინავიელმა სლალომში ძალიან ცუდად იასპარეზა, მაგრამ წინა დაშვებისას მიღებული უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო წარმატების მისაღწევად. აქსელმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს მესამე მედალი მოიპოვა.

გუშინდელ დისციპლინაში სვინდალს მოულოდნელად მხოლოდ ფრანგმა **ჟულიან ლიზერუმ** გაუწია წინააღმდეგობა. არადა, ფრანგი პირველი ცდის შემდეგ 22-ე ადგილზე იყო. მაგრამ სლალომში მან აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა და ამან ვერცხლის მედალი მოუტანა. სხვათა შორის, ამ ფრანგმა წინა თვეში კარიერაში პირველად მოიგო სლალომის ეტაპი, ასე რომ, ვალ დ'იზერშიც ამ დისციპლინაში ის აშკარა ფავორიტი იქნება.

**სუპერკომბინაცია. კაცები**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 2:23.00 (1:30.99+52.01); 2. **ჟულიან ლიზერუ** (საფ) - 2:23.90 (1:33.92+49.98); 3. **ნატკო ჟრნჩიჩ-დიმი** (ხორ) - 2:24.58 (1:32.59+51.99); 4. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 2:24.59 (1:32.94+51.65); 5. **პეტერ ფილი** (იტა) - 2:24.96 (1:33.23+51.73); 6. **სანდრო ვალეტა** (შვეიც) - 2:25.07 (1:33.21+51.86).




**სწრაფდაშვება. ქალები**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) 1:30.31; 2. **ლარა გუტი** (შვეიც) - 1:30.83; 3. **ნადია ფანკინი** (იტა) - 1:30.88; 4. **ელიზაბეტ გიოგლი** (ავსტრია) - 1:31.24; 5. **მარიონ როლანი** (საფ) - 1:31.45; 6. **მარი მარშან-არვიე** (საფ) - 1:31.51.

ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი

| რუსეთი-ჩინეთი | 5:0 |
|---|---|
| 1:0 სვეტლანა კუზნეცოვა-ჟი იანი | 6:2, 6:4 |
| 2:0 ელენა დემენტიევა-შუაი ჟანგი | 6:3, 6:0 |
| 3:0 ანა ჩაკვეტაძე-ჟი იანი | 6:1, 6:2 |
| 4:0 ალისა კლეიბანოვა-ტიან ტიან სუნი | 6:1, 6:1 |
| 5:0 დემენტიევა/კუზნეცოვა-სუნი/იანი | 1:6, 6:4, 6:4 |
| **საფრანგეთი-იტალია** | **0:5** |
| 0:1 ამელი მორესმო-ფლავია პენეტა | 6:2, 6:7(7), 4:6 |
| 0:2 ალიზე კორნე-ფრანჩესკა სკიავონე | 1:6, 6:2, 6:8 |
| 0:3 ალიზე კორნე-ფლავია პენეტა | 2:6, 2:6 |
| 0:4 ამელი მორეზმო-სარა ერანი | 3:6, 4:6 |
| 0:5 ბრემონი/დეში-ერანი/ვინჩი | 4:6, 4:6 |
| **აშშ-არგენტინა** | **3:2** |
| 1:0 ჯილ კრეიბასი-ბეტინა ხოსამი | 6:2, 6:1 |
| 1:1 მელანი ოუდინი-ხისელა დულკო | 2:6, 5:7 |
| 1:2 ჯილ კრეიბასი-ხისელა დულკო | 1:6, 3:6 |
| 2:2 მელანი ოუდინი-ბეტინა ხოსამი | 2:6, 6:1, 6:2 |
| 3:2 დიტი/ჰუბერი-დულკო/ხოსამი | 6:2, 6:3 |
| **ჩეხეთი-ესპანეთი** | **4:1** |
| 1:0 პეტრა კვიტოვა-კარლა სუარეს ნავარო | 6:4, 6:4 |
| 1:1 ივეტა ბენეშოვა-ნურია ლაგოსტერა ვივესი | 6:1, 1:6, 4:6 |
| 2:1 ლუსი საფაროვა-კარლა სუარეს ნავარო | 6:4, 6:3 |
| 3:1 პეტრა კვიტოვა-ნურია ლაგოსტერა ვივესი | 6:4, 7:5 |
| 4:1 ბენეშოვა/პეშკე-დომინგეს ლინო/მარტინეს სანჩესი | 6:4, 6:2 |
| **1/2 ფინალი** | |
| რუსეთი-იტალია, აშშ-ჩეხეთი *(მატჩები 25-26 აპრილს გაიმართება)* | |



**რუმინეთის** ნაკრების ხელბურთელი **მარიან კოზმა** დანით მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა, ხოლო მისი ორი კოლეგა მძიმედ დაიჭრა ჩხუბში, რომელიც უნგრეთის ქალაქ ვეშპრემის ღამის კლუბში მოხდა.

26 წლის კოზმა თანაგუნდელებთან ერთად ერთ-ერთი მეგობრის შვილის დაბადების დღეს აღნიშნავდა, როცა მათ 30 კაცისგან შემდგარი ჯგუფი დაესხა თავს. ვარაუდობენ, რომ ჩხუბის მიზეზი გახდა ხელბურთელის მხრიდან ერთ-ერთი თავდამსხმელის გოგონას მიმართ გამოჩენილი ყურადღება.

ხელბურთი

# უნგრეთში ხელბურთელებს ხოცავენ

შედეგად, სპორტსმენმა გულის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და საავადმყოფოში გარდაიცვალა. სერბეთის ნაკრების წევრი, 23 წლის **ჟარკო შეშუმი** თავის არეში დაიჭრა, ხოლო 20 წლის ხორვატ **ივან პეშიჩს** მიღებული ტრავმების გამო თირკმელი ამოაჭრეს. სამივე ხელბურთელი უნგრეთის „ვეშპრემის" ღირსებას იცავდა.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ავსტრიის პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი უნგრეთის სამი მოქალაქე დააკავა - ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ისინი ავსტრიის გავლით იტალიისკენ მიემართებოდნენ. ავსტრიის პოლიციის წარმომადგენლის თქმით, დაკავებამ საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. *„ისინი, ალბათ, ხვდებოდნენ, რას უკავშირდებოდა ჩვენი მოქმედება"*, - ამბობს პოლიციელი.

დაკითხვის შემდეგ ეჭვმიტანილებს უნგრეთის მხარეს გადასცემენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

